თანამედროვე მსოფლიოში ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ხელოვნური ინტელექტის (AI) დანერგვა და ოპტიმალური გამოყენება გვევლინება, რაც თავის მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო მმართველობის ისეთ მიმართულებებში, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო ფინანსებთან, მათ სწორად ხარჯვასთან, ეკონომიკურ ეფექტებთან და ა.შ.

ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს საჯარო ფინანსების ხარჯვის უმთავრეს ინსტრუმენტს და შესაბამისად, ამ პროცესში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა და განვითარება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ეფექტური და მდგრადი საჯარო მმართველობის ხელშეწყობას. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები უკვე იყენებენ ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ სისტემებს სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების შესყიდვებში, რაც ამცირებს კორუფციის რისკებს, ზრდის პროცესის ეფექტურობას და აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. თუმცა, ამ პრაქტიკასთან ერთად არსებობს სერიოზული გამოწვევები, მათ შორის ეთიკური სტანდარტები, გამჭვირვალობა, მონაცემთა კონფიდენციალურობა და რეგულაციები. მოცემული კვლევა მიზნად ისახავს გაანალიზოს, როგორ გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი სახელმწიფო შესყიდვების პროცესებში სხვადასხვა ქვეყნებში და რა ტიპის სტრატეგიებს მიმართავენ მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. კვლევის ძირითადი საკითხებია:

1. რა საერთაშორისო გამოცდილება არსებობს AI-ის გამოყენებაში სახელმწიფო შესყიდვების პროცესში?
2. რამდენად შეესაბამება ეს გამოცდილება და არსებული პრაქტიკა მდგრადი განვითარების მიზნებს?
3. როგორ შეიძლება ამ გამოცდილების ადაპტაცია რეგიონულ ან ადგილობრივ კონტექსტში?

მეთოდოლოგიურად, კვლევა ეფუძნება შედარებით ანალიზს, რომელშიც თავმოყრილია საერთაშორისო ინსტიტუციების (OECD, EU, WB) მონაცემები, კონკრეტული ქვეყნების (მაგ., ესტონეთი, ფინეთი, კანადა, სამხრეთ კორეა) პრაქტიკული მაგალითები და პოლიტიკის დოკუმენტები. გამოყენებული იქნება შინაარსობრივი ანალიზი და საკვანძო თემების იდენტიფიკაცია პოლიტიკის სტრატეგიებში, ტექნოლოგიური რეგულაციებისა და სავალდებულო სტანდარტების ჩრილში.

მოსალოდნელი შედეგები მოიცავს წარმატებული AI-ინტეგრირებული შესყიდვის მოდელების გამოვლენას, მათი მდგრადობის კრიტერიუმების ანალიზს და რეკომენდაციების ფორმულირებას იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც განიხილავენ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას სახელმწიფო შესყიდვებში. კვლევა ხელს შეუწყობს პოლიტიკის შემუშავებლებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ტექნოლოგიური სექტორის წარმომადგენლებსა და სამოქალაქო საზოგადოებას ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც თავის მხრივ მჭიდრო კავშირს ქმნის ინოვაციასა და მდგრად განვითარებას შორის.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; სახელმწიფო შესყიდვები; მდგრადი განვითარება; ციფრული მმართველობა; ალგორითმული გამჭვირვალობა.

ARTIFICIAL INTELLIGENCE AND PUBLIC PROCUREMENT: INTERNATIONAL PRACTICES AND SUSTAINABLE DEVELOPMENT STRATEGIES

Otar Kikvadze

Doctor of Business Administration,
East European University,
Grigol Robakidze University

Abstract

In the contemporary global landscape, the integration and optimal utilization of Artificial Intelligence (AI) have emerged as defining catalysts for digital transformation. This technological paradigm shift is particularly consequential in domains of public administration associated with public financial management, prudent fiscal expenditure, and macroeconomic efficacy.

As public procurement represents the primary instrument for public resource allocation across all jurisdictions, the deployment of AI in this sector is instrumental in fostering efficient and sustainable public governance. Leading global economies have already implemented AI-driven systems within various public service procurement frameworks, effectively mitigating corruption risks, enhancing operational efficiency, and elevating the quality of public services. Nevertheless, this evolution presents significant challenges, notably regarding ethical standards, transparency, data confidentiality, and regulatory imperatives.

This study aims to analyze the multifaceted application of AI in public procurement processes globally and to identify the strategic frameworks employed to ensure sustainable development. The research focuses on the following core inquiries:

1. What international precedents and best practices exist regarding the integration of AI within public procurement processes?
2. To what extent does current international practice align with the Sustainable Development Goals (SDGs)?
3. How can these global experiences be adapted to regional or local institutional contexts?

Methodologically, the study is grounded in a comparative analysis, synthesizing data from major international organizations (OECD, EU, World Bank) alongside practical case studies from countries such as Estonia, Finland, Canada, and South Korea. The research utilizes content analysis to identify key thematic trajectories within policy strategies, technological regulations, and mandatory normative standards.

The anticipated outcomes include the identification of successful AI-integrated procurement models, an analysis of sustainability criteria, and the formulation of strategic recommendations for nations contemplating the integration of AI into their public procurement frameworks. This research serves to assist policymakers, private sector stakeholders, and civil society in evidence-based decision-making, thereby establishing a robust nexus between technological innovation and sustainable development.

Keywords: Artificial intelligence; public procurement; sustainable development; digital governance; algorithmic transparency.

1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში საჯარო მმართველობა გარდამტეხ ეტაპზე იმყოფება, სადაც ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია ხდება არა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის საშუალება, არამედ სახელმწიფო მმართველობის მოდელის ხელახალი გააზრების საფუძველი. სახელმწიფო შესყიდვები, როგორც საჯარო ფინანსების განაწილების ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი, ამ პროცესში იკავებს განსაკუთრებულ ადგილს. OECD-ის მონაცემებით, სახელმწიფო შესყიდვები საშუალოდ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 12–15 პროცენტს შეადგენს, რაც მათ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთერთ ძირითად კომპონენტად აქცევს (OECD 2023b, 18). ამასთან, შესყიდვების სფერო პირდაპირ უკავშირდება სოციალურ პოლიტიკას, ინფრასტრუქტურულ განვითარებასა და გარემოსდაცვით მიზნებს, რაც მას სახელმწიფო მართვის ერთერთ ყველაზე სენსიტიურ და პასუხისმგებლიან სფეროდ აქცევს.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო შესყიდვების სისტემა არაერთი ქვეყნისთვის კვლავ წარმოადგენს გამოწვევას. შესყიდვის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ხშირად შეინიშნება არაეფექტურობა, გამჭვირვალობის ნაკლებობა, არასაკმარისი მონაცემთა გამოყენება და კორუფციის რისკები. ეს პრობლემები განსაკუთრებით მძაფრია განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც ინსტიტუციური ჩარჩოები სუსტია და ციფრული მმართველობა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ამ ფონზე სულ უფრო აქტუალურია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს, მონაცემებზე დაფუძნებით იმოქმედონ და შექმნან უფრო პროგნოზირებადი, გამჭვირვალე და მდგრადი შესყიდვების სისტემა.

ხელოვნური ინტელექტი (AI) სწორედ ასეთ გარდამტეხ ტექნოლოგიად იქცა. ის აღარ განიხილება მხოლოდ კერძო სექტორის ინოვაციად, არამედ ხდება საჯარო მმართველობის სტრუქტურული ელემენტი. მანქანური სწავლების, ბუნებრივი ენის დამუშავებისა და პროგნოზირების ანალიტიკის მეთოდები აძლევს სახელმწიფო უწყებებს შესაძლებლობას, რეალურ დროში გააანალიზონ შესყიდვების მონაცემთა უზარმაზარი მასივები, გამოავლინონ ტენდენციები, შეაფასონ მომწოდებელთა რისკები და შეამცირონ ბიუროკრატიული დაბრკოლებები (Anderson 2022, 63). ეს ტრანსფორმაცია ფუნდამენტურად ცვლის შესყიდვების პროცესის ლოგიკას: ტრადიციული, ქაღალდზე დაფუძნებული ანალიტიკის ნაცვლად იქმნება მონაცემზე დაფუძნებული მართვის სისტემა, სადაც გადანყვეტილება ეფუძნება ალგორითმულ შეფასებასა და ობიექტურ მონაცემთა ინტერპრეტაციას, თუმცა ტექნოლოგიური პოტენციალის პარალელურად, AI-ის გამოყენება სახელმწიფო შესყიდვებში წარმოშობს მნიშვნელოვან ეთიკურ და სამართლებრივ კითხვებს. ალგორითმული მიკერძოება, მონაცემთა კონფიდენციალურობა, ანგარიშვალდებულების დეფიციტი და გადანყვეტილების მიღების დაფარული საფუძვლები იმ პრობლემათა მცირე ნაწილია, რომლებიც საჭიროებენ სერიოზულ პოლიტიკურ და აკადემიურ ყურადღებას (Floridi 2023, 241–259). ამასთან, საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა ვერ ჩაითვლება ნეიტრალურ პროცესად; იგი ახდენს გავლენას გადანყვეტილების მიღების მექანიზმებზე, საჯარო ღირებულებებზე და მოქალაქეთა ნდობაზე. ამიტომ, მისი გამოყენება მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ეთიკურ, სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ეფექტიანობას, ისე სამართლიანობას.

AI-ის მნიშვნელობა სახელმწიფო შესყიდვებში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მდგრადი განვითარების კონტექსტში. გაეროს 2030 დღის წესრიგის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ისეთი ეკონომიკური და სოციალური მექანიზმების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ პასუხისმგებლიან მოხმარებასა და წარმოებას (SDG 12) და ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირებას (United Nations 2015). ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ბერკეტს, რადგან მათი მეშვეობით შესაძლებელია მწვანე ტექნოლოგიების, ენერგოეფექტური გადანყვეტილებებისა და სოციალური ინკლუზიურობის ხელშეწყობა. ამ კონტექსტში ხელოვნური ინტელექტი იქცევა არა მხოლოდ ფინანსურ ან ადმინისტრაციულ ინსტრუმენტად, არამედ მმართველობითი ეთიკის განმსაზღვრელ ძალად; ისეთ სისტემად, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ეფექტიანობას, სოციალური სამართლიანობას და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას.

გარდა ტექნოლოგიური და ეთიკური განზომილებისა, კვლევის საგანია საერთაშორისო გამოცდილების შედარებითი გაანალიზება, როგორ იყენებენ სხვადასხვა ქვეყნები AI-ს სახელმწიფო შესყიდვებში და რა სტრატეგიებით უზრუნველყოფენ ამ პროცესის მდგრადობას. უკვე არსებობს საინტერესო მაგალითები: ესტონეთი იყენებს “e-Procurement” (ქართულად: “ელექტრონული შესყიდვა”) სისტემას ტენდერების პროგნოზირებისთვის; სამხრეთ კორეა ახორციელებს კონტრაქტების მონიტორინგს “KONEPS” სისტემის მეშვეობით; კანადა და ფინეთი იყენებენ ალგორითმულ ანალიტიკას მომწოდებელთა შეფასებისათვის (Kim and Park 2023, 48–72). ამ მრავალფეროვან გამოცდილებაში შესამჩნევია ერთიანი ტენდენცია: სახელმწიფოები ცდილობენ ტექნოლოგიური შესაძლებლობების და ეთიკური ვალდებულებების დაბალანსებას, რაც მათ საშუალებას აძლევს ერთდროულად გაზარდონ ეფექტიანობა და შეამცირონ სისტემური რისკები.

ამგვარი მაგალითების გაანალიზება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმისთვის, რომ გამოვავლინოთ წარმატებული მოდელები, არამედ იმისთვისაც, რომ დავინახოთ როგორ უკავშირდება AI-ის ინტეგრაცია საჯარო შესყიდვებში მდგრადი განვითარების გლობალურ დღის წესრიგს. კვლევის მიზანი სწორედ ამ კავშირის დეტალური შესწავლაა: როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სახელმწიფო შესყიდვებში გახდეს არა მხოლოდ ეფექტიანობის გაზრდის, არამედ ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების შეთავსების მექანიზმი. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომი იყენებს შედარებით და შინაარსობრივ ანალიზს, ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების (OECD, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი) პოლიტიკის დოკუმენტებს და კონკრეტული ქვეყნების პრაქტიკულ გამოცდილებებს.

შედეგად, ნაშრომი მიზნად ისახავს, შექმნას ინტეგრირებული ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც აერთიანებს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებსა და მდგრადი განვითარების პრინციპებს. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა სახელმწიფო შესყიდვები აღიქმებოდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ მექანიზმად, არამედ სახელმწიფო პოლიტიკისა და ინოვაციის პლატფორმად, რომელიც ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის ახალ ბალანსს აყალიბებს.

2. თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩო

2.1. სახელმწიფო შესყიდვები: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მნიშვნელობა

სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს საჯარო მმართველობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაზე, ინოვაციურ დინამიკასა და სოციალურ თანასწორობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. საერთაშორისო პრაქტიკაში სახელმწიფო შესყიდვები საშუალოდ მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 12–15 პროცენტს შეადგენს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ზოგჯერ 20 პროცენტსაც აღემატება (OECD 2023b, 22). ამ მასშტაბიდან გამომდინარე, შესყიდვები არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც მხოლოდ ადმინისტრაციული პროცედურა; სახელმწიფო შესყიდვები ქვეყანაში ქმნის ეკონომიკური განვითარების, დასაქმების და სოციალური ჩართულობის რეალურ საფუძველს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, შესყიდვების პროცესის ეფექტიანობა განსაზღვრავს, რამდენად შედეგიანად გამოიყენებს სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსებს. არაეფექტური ტენდერები ან ზოგადად არასწორად დაგეგმილი შესყიდვები იწვევს საჯარო ფინანსების არამიზნობრივ ხარჯს, ხოლო ინოვაციური და გამჭვირვალე პროცედურები ზრდის ეკონომიკურ პროდუქტიულობას და ბაზრის კონკურენტუნარიანობას (Thai 2021, 137–155).

სოციალური ასპექტით, შესყიდვების პოლიტიკა შეიძლება გახდეს ინსტრუმენტი, რომელიც, მათ შორის, ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობას, სამუშაო ადგილების შექმნას და გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებას.

გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, სახელმწიფო შესყიდვები მნიშვნელოვან როლს თამაშობს „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში, კერძოდ, ენერგოეფექტური, დაბალემისიური და მდგრადი პროდუქტების მოთხოვნის ნახალისებით (UNEP 2022).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე მიდგომებით სახელმწიფო შესყიდვები აღიქმება არა მხოლოდ ფინანსურ მექანიზმად, არამედ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტად, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მიზნებს. სწორედ ამ მრავალგანზომილებიან ხასიათზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა და განვითარდა „მდგრადი შესყიდვების“ კონცეფცია, რომელიც თავდაპირველად დამკვიდრდა გაეროს გარემოს დაცვის პროგრამისა (UNEP) (UNEP 2012) და ევროპის კავშირის (European Commission 2008) პოლიტიკურ ჩარჩოებში, ხოლო შემდეგ გავრცელდა საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც საჯარო მმართველობის ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპი.

2.2. მდგრადი განვითარების კონცეფცია და მისი კავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან

მდგრადი განვითარება დღეს წარმოადგენს გლობალური პოლიტიკის ფუნდამენტურ ჩარჩოს, რომლის მიზანია ეკონომიკური ზრდის, სოციალური თანასწორობისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ჰარმონიზაცია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წლის 25 სექტემბერს მიღებული გლობალური სტრატეგიული დოკუმენტით – „გაეროს 2030 წლის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ განსაზღვრული 17 მდგრადი განვითარების მიზნიდან (SDGs) მე-12 მიზანი – „პასუხისმგებლიანი მოხმარება და წარმოება“ პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო შესყიდვებს (United Nations 2015).

მდგრადი შესყიდვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ ტენდერების დაგეგმვისა და განხორციელებისას გაითვალისწინოს არა მხოლოდ ფინანსური, არამედ სოციალური და ეკოლოგიური კრიტერიუმებიც. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია გავლენა მოახდინოს ბაზარზე, წაახალისოს მწვანე ინოვაციები და უზრუნველყოს სოციალური პასუხისმგებლობა მომწოდებლებში. მაგალითად, ევროკავშირის „Green Public Procurement Guidelines“ (ქართულად: „მწვანე საჯარო შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპები“) ითვალისწინებს ეკოლოგიური კრიტერიუმების ინტეგრირებას შესყიდვების ყველა ეტაპზე, ხოლო გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) რეკომენდაციას იძლევა „სიცოცხლის ციკლის ღირებულების“ მეთოდის გამოყენებაზე, სადაც პროდუქტის ფასს ემატება მისი გამოყენებისა და განადგურების ეკოლოგიური ღირებულება (European Commission 2020).

ამგვარად, მდგრადი შესყიდვები იქცევა პრაქტიკულ ხიდად მდგრადი განვითარების მიზნებსა და სახელმწიფო მმართველობის ინსტრუმენტებს შორის. როდესაც სახელმწიფო ახორციელებს შესყიდვებს გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, იგი არა მხოლოდ ამცირებს ზემოქმედებას ეკოსისტემაზე, არამედ ქმნის მოთხოვნას იმ ტიპის ინოვაციებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

2.3. ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში: ძირითადი მიმართულებები

ხელოვნური ინტელექტი (AI) მოიცავს ტექნოლოგიურ მეთოდთა ფართო სპექტრს, რომელიც მიზნად ისახავს მონაცემთა საფუძველზე გადამამუშავების მიღების ავტომატიზაციას და ოპტიმიზაციას. საჯარო სექტორში AI სულ უფრო მეტად იქცევა ინსტრუმენტად, რომელიც ამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს, ამცირებს ადამიანურ შეცდომებს და ზრდის გამჭვირვალობას. OECD-ის მონაცემებით, 2023 წლისთვის 60-ზე მეტ ქვეყანას უკვე ჰქონდა შემუშავებული ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია, რომელთაგან არაერთი მოიცავდა საჯარო შესყიდვების მიმართულებასაც (OECD 2019).

AI-ის ტექნოლოგიური კომპონენტები: მანქანური სწავლება (Machine Learning), ბუნებრივი ენის დამუშავება (Natural Language Processing) და პროგნოზირების ანალიტიკა (Predictive Analytics) საშუალებას აძლევს სახელმწიფო უწყებებს, გაანალიზონ ტენდერების მონაცემები რეალურ დროში, იდენტიფიცირონ რისკის ფაქტორები და შეაფასონ მომწოდებელთა საქმიანობის ისტორია (Anderson 2022, 63).

მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა ფინეთში კომპანია „Hansel“ იყენებს AI-ზე დაფუძნებულ პლატფორმას შესყიდვების ტენდერციების პროგნოზირებისთვის, ხოლო სამხრეთ კორეაში „KO-NEPS“ სისტემა ახორციელებს კონტრაქტების ავტომატურ მონიტორინგს და შიდა აუდიტის გამართვებს (Kim and Park 2023, 68).

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა საჯარო სექტორში AI-ის დანერგვა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ინსტიტუციურ და ეთიკურ ჩარჩოსაც. მონაცემთა მმართველობა (data governance), ალგორითმული გამჭვირვალობა და ეთიკური სტანდარტები წარმოადგენს კრიტიკულ ფაქტორებს, რომელთა უგულვებელყოფა იწვევს ნდობის კრიზისს მოქალაქეებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის (Floridi 2023, 241–259). ამიტომ, საერთაშორისო დისკურსში სულ უფრო მეტად მკვიდრდება ცნება „სანდო ხელოვნური ინტელექტი“, რომელიც ეფუძნება OECD-ის 2019 წლის პრინციპებს და ევროკავშირის 2024 წლის „AI Act“ (ქართულად: „ხელოვნური ინტელექტის აქტი“)-ის რეგულაციებს (European Union 2024). ამ დოკუმენტებით ხაზგასმულია, რომ საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კანონთან, ეთიკასთან და ადამიანის უფლებებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

სანდო ხელოვნური ინტელექტის (Trustworthy AI) კონცეფცია, რომელიც ევროკავშირის მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის (AI HLEG) მიერ იქნა ჩამოყალიბებული (High-Level Expert Group on Artificial Intelligence 2019, 12–15), სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს ეფუძნება: სისტემა უნდა იყოს კანონიერი, ეთიკური და მდგრადი. სახელმწიფო შესყიდვებში ეს ტრანსფორმირდება შვიდ ძირითად მოთხოვნად: 1) ადამიანის როლი და კონტროლი; 2) ტექნიკური საიმედოობა და უსაფრთხოება; 3) კონფიდენციალურობა; 4) გამჭვირვალობა; 5) მრავალფეროვნება და არადისკრიმინაციულობა; 6) ეკოლოგიური და სოციალური კეთილდღეობა; 7) ანგარიშვალდებულება. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამჭვირვალობის პრინციპს, რადგანაც ალგორითმული გაუმჭვირვალობა პირდაპირ წარმოშობს დაუსაბუთებელი დისკვალიფიცირების რისკს. სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი ჩარჩო მოითხოვს ნებისმიერი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მკაფიო სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას კი ჩნდება საფრთხე, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ვერ შეძლოს იმ ლოგიკის განმარტება, რის საფუძველზეც პრეტენდენტს უარი ეთქვა ტენდერში მონაწილეობაზე. ეს კი ეწინააღმდეგება როგორც გამჭვირვალობის პრინციპს, ისე პრეტენდენტის უფლებას – მიიღოს დასაბუთებული პასუხი და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს იგი.

2.4. სინთეზი: AI როგორც ინსტრუმენტი მდგრადი სახელმწიფო შესყიდვებისთვის

თეორიულად, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სახელმწიფო შესყიდვებში წარმოადგენს იმ ინოვაციურ კონცეფციას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკური ეფექტიანობის, სოციალური სამართლიანობისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის პრინციპებს. ტრადიციული შესყიდვების მოდელი, რომელიც ეფუძნებოდა ადამიანურ გადაწყვეტილებებს, ხასიათდებოდა მაღალი სუბიექტურობით და დაბალი მონაცემთა გამჭვირვალობით. AI ამ მოდელს ცვლის: გადაწყვეტილებები ხდება მონაცემებზე დაფუძნებული, პროცესები – ავტომატიზებული, ხოლო კონტროლი – უწყვეტი და პროგნოზირებადი (OECD 2022).

ეკონომიკური თვალსაზრისით, AI ამცირებს ტრანზაქციულ ხარჯებს და ზრდის ტენდერების დაგეგმვის სიზუსტეს. სოციალური თვალსაზრისით, იგი ხელს უწყობს სამართლიანი კონკურენციის შენარჩუნებას – ალგორითმები ამცირებენ ადამიანურ მიკერძოებას და ქმნიან თანაბარ პირობებს მომწოდებლებისთვის. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით კი AI შეიძლება გამოყენებულ იქნას ტენდერების ეკოლოგიური ეფექტის შეფასებისთვის, მაგალითად, პროდუქტის CO₂ გამოყოფის გათვლით ან მწვანე სტანდარტების დაკმაყოფილების მონიტორინგით (UNEP 2022, 54).

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, AI-ის დანერგვა თავის მხრივ მოითხოვს ახალი პოლიტიკური და ინსტიტუციური მმართველობის ფორმების ჩამოყალიბებას. საჭიროა კანონმდებლობისა და ეთიკური ჩარჩოს განვითარება, საჯარო მოხელეთა გადამზადება და მონაცემთა მართვის თანამედროვე

სტანდარტების დანერგვა. მხოლოდ ამ პირობებში შეძლებს სახელმწიფო შექმნას ისეთი შესყიდვების სისტემა, რომელიც იქნება არა მხოლოდ ეფექტიანი, არამედ მდგრადი – გამჭვირვალე, პროგნოზირებადი და მოქალაქეზე ორიენტირებული.

ამრიგად, AI სახელმწიფო შესყიდვებში არ არის მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაცია; ის წარმოადგენს მმართველობითი კულტურის ტრანსფორმაციას, სადაც გადაწყვეტილებები ემყარება არა მხოლოდ ეკონომიკურ ლოგიკას, არამედ ეთიკურ პასუხისმგებლობას და გრძელვადიან სოციალურ მიზნებს. სწორედ ეს სინთეზი – ტექნოლოგიისა და მდგრადობის – ქმნის თეორიულ საფუძველს შემდგომი ანალიზისთვის, რომელიც განიხილავს საერთაშორისო პრაქტიკებსა და ადაპტაციის სტრატეგიებს.

3. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი სახელმწიფო შესყიდვებში

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ბოლო ათწლეულში გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად ციფრული მმართველობის რეფორმებში. სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ AI-ის დანერგვა ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ზრდის გამჭვირვალობას და აჩქარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამავდროულად, საერთაშორისო მაგალითები წარმოაჩენს, რომ AI-ის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინსტიტუციურ ჩარჩოებზე, მონაცემთა ინფრასტრუქტურაზე და ეთიკურ რეგულაციებზე.

3.1. ევროკავშირი და OECD ქვეყნები: ინოვაციური სისტემები და გამჭვირვალობის მოდელები

ევროკავშირში სახელმწიფო შესყიდვების ციფრული ტრანსფორმაცია ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე მიმართულებად ითვლება. ევროკავშირის „Digital Europe Programme“ (ქართულად: „ციფრული ევროპის პროგრამა“) – ის ფარგლებში წევრ ქვეყნებში აქტიურად ხდება ხელოვნური ინტელექტის დანერგვა საჯარო ტენდერების დაგეგმვასა და მონიტორინგში (European Commission 2023).

ევროკავშირში სახელმწიფო შესყიდვების ციფრული ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ მკაცრად რეგულირებული პროცესია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტს (EU AI Act), რომელიც მსოფლიოში პირველი ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩოა. აღნიშნული აქტი ნერგავს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, სადაც საჯარო სექტორში გამოყენებული AI სისტემების ნაწილი, რომელიც გავლენას ახდენს სამართლიან კონკურენციასა და მოქალაქეთა უფლებებზე, კლასიფიცირდება როგორც „მაღალი რისკის“ მატარებელი. ეს ნიშნავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული არიან უზრუნველყონ მონაცემთა მაღალი ხარისხი, სისტემის გამჭვირვალობა და ადამიანის მიერ მუდმივი ზედამხედველობის მექანიზმები.

პარალელურად, ევროსაბჭოს ფარგლებში მიღებული ჩარჩო კონვენცია (2024) (Council of Europe 2024) ხელოვნური ინტელექტის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ, ქმნის საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას, რომ AI-ის გამოყენებამ საჯარო მმართველობაში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება არ უნდა ხელყოს. სახელმწიფო შესყიდვების ქრილში ეს გულისხმობს, რომ ალგორითმული გადაწყვეტილებები დისკრიმინაციულ ბარიერებს არ უნდა ქმნიდეს და გასაჩივრების ეფექტიან მექანიზმს უნდა უზრუნველყოფდეს.

ამ ფონზე, საინტერესოა კონკრეტული ქვეყნების პრაქტიკა ევროპაში, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ, კერძოდ:

ესტონეთი, ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახელმწიფო ციფრული თვალსაზრისით, 2001 წლიდან ახორციელებს სრულად ელექტრონულ შესყიდვების სისტემას (e-Procurement), რომლის განახლებული ვერსია უკვე იყენებს მანქანურ ანალიტიკას ტენდერების მონაცემების შესაფასებლად. სისტემა ახდენს მომწოდებლების წინასწარ შეფასებას, გამოითვლის ფინანსურ და მიწოდების რისკებს, ხოლო ხელოვნური ინტელექტი პროგნოზირებს, რომელი ტენდერი შეიძლება იყოს დაბალი შესრულების ალბათობის მქონე (OECD 2023c, 85–87). ესტონეთის მოდელი განსაკუთრებულია

იმით, რომ მისი მონაცემთა არქიტექტურა უკავშირდება სხვა სახელმწიფო სისტემებს (მაგ., e-Governance და e-Tax Board), რაც ქმნის მულტისექტორულ სინერგიას: გადანყვებილები მიიღება მთლიანად ინტეგრირებულ მონაცემთა საფუძველზე.

ფინეთი წარმოადგენს მეორე წარმატებულ მაგალითს. ფინეთში სახელმწიფო შესყიდვებს ცენტრალიზებულად ახორციელებს სახელმწიფო კომპანია “Hansel Ltd.”, რომელიც 2020 წლიდან იყენებს AI-ზე დაფუძნებულ ანალიტიკურ მოდულს შესყიდვების მონაცემების ისტორიის დასამუშავებლად. სისტემა აიდენტიფიცირებს ფასთა არარაციონალურ ცვლილებებს და შესაძლო მიკერძოებულობას ტენდერის პირობებში (“Hansel Ltd”. 2022). შედეგად, შესყიდვების ხარჯი საშუალოდ 8%-ით არის შემცირებული, ხოლო ტენდერების დაგეგმვის დრო 30%-ით. ფინეთის მაგალითი აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტი ეფექტიანად მუშაობს მაშინ, როცა მონაცემთა ხარისხი მაღალია და საჯარო უწყებები მზად არიან მმართველობითი ცვლილებებისთვის.

გაერთიანებულ სამეფოში “Spend Network” პლატფორმა გამოიყენება მომწოდებლების რისკების ავტომატური იდენტიფიკაციისთვის. მისი ალგორითმები ანალიზებს კონტრაქტების შესრულების ისტორიას და აფრთხილებს სახელმწიფო უწყებებს მაღალი რისკის მქონე კომპანიების შესახებ (UK Government Digital Service 2021). შედეგად, შეიქმნა უფრო გამჭვირვალე ბაზარი, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესსაც მიეცა წვდომა სახელმწიფო ტენდერებზე.

3.2. აზია: ტექნოლოგიური ინტეგრაცია და საჯარო ნდობის განმტკიცება

აზიის განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან სახელმწიფო მმართველობის ციფრული სტრუქტურების მაღალ დონეზე ინტეგრაციით. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მაგალითია სამხრეთ კორეა და სინგაპური.

სამხრეთ კორეის ერთიანი ელექტრონული შესყიდვების სისტემა – “KONEPS” (Korea Online E-Procurement System) 2002 წლიდან ფუნქციონირებს და დღეისათვის მოიცავს ქვეყნის ტენდერების თითქმის 99%-ს. ბოლო წლებში სისტემა AI მოდულით გაფართოვდა, რომელიც ავტომატურად ამოწმებს კონტრაქტების შესრულებას, ადარებს რეალურ და დეკლარირებულ ღირებულებებს და ამოიცნობს განმეორებად, პოტენციურად საეჭვო ქცევის მოდელებს (მაგალითად, ერთსა და იმავე მომწოდებლებს შორის ხშირად განმეორებულ შეთავაზებებს ან არათანმიმდევრულ ფასთა ცვლილებებს). OECD-ის ანგარიშის თანახმად, ამან მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფციის შემთხვევები და გაზარდა სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა (OECD 2021, 62–70).

სამხრეთ კორეის მთავრობა ასევე იყენებს AI-ს ნორმატიული შეფასების პროცესში: სისტემა ანალიზებს კანონმდებლობის ცვლილებების გავლენას შესყიდვების ეფექტიანობაზე და რეკომენდაციებს აწვდის პოლიტიკის შემუშავებლებს. ეს ქმნის პოლიტიკის დინამიური უკუკავშირის მექანიზმს, სადაც ტექნოლოგია და მმართველობა თანხვედრაშია.

სინგაპურის სახელმწიფო შესყიდვების პლატფორმა “GeBIZ” ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ციფრული სისტემაა აზიაში. მისი ბოლო განახლება მოიცავს პროგნოზირების ანალიტიკას (predictive analytics), რომელიც აფასებს ტენდერების წარმატების ალბათობას და ოპტიმიზაციას ახდენს ტენდერის პირობების მიხედვით (Government Technology Agency of Singapore 2022). შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა შეუსაბამო შეთავაზებების რაოდენობა და გაიზარდა კონკურენცია მომწოდებლებს შორის.

ორივე ქვეყანა ერთხმად ასახელებს AI-ს არა მხოლოდ როგორც ეკონომიკურ ინსტრუმენტს, არამედ როგორც ნდობის ამაღლების ფაქტორს, რადგან მოქალაქეები ხედავენ, რომ გადანყვებილები ეფუძნება ობიექტურ მონაცემებს და არა სუბიექტურ შეფასებებს.

3.3. ჩრდილოეთ ამერიკა: მონაცემზე დაფუძნებული ეფექტიანობა და ანგარიშვალდებულება

ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სახელმწიფო შესყიდვებში განსაკუთრებით კარგად ჩანს კანადისა და შეერთებული შტატების მაგალითზე.

კანადა 2019 წლიდან ახორციელებს პროგრამას „AI for Procurement“ (ქართულად: “ხელოვნური

ინტელექტი შესყიდვებისთვის”), რომლის მიზანია შესყიდვების პროცესების ოპტიმიზაცია მონაცემთა ანალიტიკით. პროგრამა იყენებს მანქანურ სწავლებას ტენდერების ისტორიის შესაფასებლად, აგრეთვე აიდენტიფიცირებს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც იწვევს კონტრაქტების დაგვიანებას ან ფასების არარაციონალურ ზრდას. შედეგად, კანადის მთავრობამ შეძლო შემცირებინა შესყიდვების პროცესის ხანგრძლივობა საშუალოდ 22%-ით (Government of Canada 2023).

აშშ ფედერალურ დონეზე “General Services Administration” (GSA) იყენებს AI მოდულს შესყიდვების კონტრაქტების ტექსტების ავტომატური სკანირებისა და რისკების იდენტიფიცირებისთვის. სისტემა ასევე ანალიზებს ბაზრის ფასებს და სახელმწიფო უწყებებს სთავაზობს ღირებულების რეალისტურ პროგნოზს. “GSA”-ს მონაცემებით, 2023 წელს AI პლატფორმის გამოყენებით საჯარო ფინანსებში საშუალოდ 1.5 მილიარდი დოლარი დაიზოგა (U.S. General Services Administration 2023).

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. “მონაცემთა მმართველობის” (data governance) საკითხი, მაგ. აშშ-სა და კანადაში მკაფიოდ რეგულირდება მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და გამოყენების სტანდარტები, რაც წარმოადგენს სანდოობის წინაპირობას. კანადამ სპეციალურად შექმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა (Directive on Automated Decision-Making – ქართულად: “ავტომატიზებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ დირექტივა”), რომელიც ავალდებულებს ყველა საჯარო უწყებას ახსნას, თუ როგორ გამოიყენება ალგორითმები გადაწყვეტილების მიღებისას.

3.4. საერთაშორისო ორგანიზაციები: სტანდარტიზაციისა და მხარდაჭერის როლი

გლობალურ დონეზე, სახელმწიფო შესყიდვებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია საერთაშორისო ორგანიზაციები — მათ შორის მსოფლიო ბანკი (World Bank), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია OECD.

მსოფლიო ბანკის ინიციატივა “Benchmarking Public Procurement” (ქართულად: “საჯარო შესყიდვების ბენჩმარკინგი”) ქმნის ღია მონაცემთა პლატფორმას, რომელიც საშუალებას აძლევს ქვეყნებს, შეაფასონ საკუთარი შესყიდვების სისტემის ეფექტიანობა და გამჭვირვალობა (World Bank 2023). ამ პლატფორმაზე დაფუძნებული ანალიტიკა უკვე იყენებს მანქანურ სწავლებას მონაცემთა დინამიკის შესაფასებლად და შედარებისთვის.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ხელს უწყობს „smart procurement“-ის (ქართულად “ჭკვიანი შესყიდვები”) კონცეფციის დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. მისი 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ შესყიდვებში საშუალოდ 15%-ით შეამცირა ადმინისტრაციული ხარჯები და გააუმჯობესა კონტროლის ხარისხი (UNDP 2022).

OECD კი 2023 წლიდან ახორციელებს პროექტს “AI in Public Procurement Toolkit” (ქართულად: “ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გზამკვლევი საჯარო შესყიდვებში”), რომელიც ნევრ ქვეყნებს სთავაზობს რეკომენდაციებს ალგორითმული გამჭვირვალობისა და ეთიკური გამოყენების სტანდარტებზე (OECD 2023a). ამით საერთაშორისო ინსტიტუციები არა მხოლოდ ავითარებენ ტექნიკურ ცოდნას, არამედ ქმნიან საერთო ნორმატიულ სივრცეს, სადაც სახელმწიფო შესყიდვებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ხდება გამჭვირვალე, სტრუქტურირებული და მოქალაქეზე ორიენტირებული.

4. ხელოვნური ინტელექტი და სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში: არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა

ეს თავი ეთმობა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ანალიზს, როგორც ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებულ მაგალითს, რომელიც ამავედროულად ფლობს ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციის მნიშვნელოვან პოტენციალს. აღნიშნული თავის მიზანია შეფასდეს არსებული ტექნოლოგიური და ინსტიტუციური გარემო, გამოიკვეთოს ძირითადი გამოწვევები და

ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები, რომლებიც ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებსა და საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ზრდას.

4.1. ციფრული ტრანსფორმაციის მიღწევები, როგორც AI-ისთვის საფუძველი

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა განიცდის მნიშვნელოვან ციფრულ გარდაქმნას 2010 წლიდან, როდესაც ამოქმედდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2025a). ამ ნაბიჯმა მნიშვნელოვნად გაზარდა პროცესების გამჭვირვალობა, კონკურენცია და ეფექტიანობა. 2023 წლის მონაცემებით, სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობა 10.5 მილიარდ ლარამდე იყო (სახელშეკრულებო ღირებულებების ჯამი), რაც ქვეყნის მშპ-ს დაახლოებით 13%-ს აღემატება. ამასთან, შესყიდვების დაახლოებით 89% განხორციელდა ელექტრონული ტენდერების მეშვეობით, რაც ქმნის მონაცემთა ფართო და სტრუქტურირებულ ბაზას, რომელიც პოტენციურად შესაფერისია AI ანალიტიკისთვის (State Procurement Agency of Georgia 2024).

ამ მიღწევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად უნდა აღინიშნოს ღია მონაცემთა პორტალის (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2025b) დანერგვა, რომელიც ტენდერების მონაცემებს ხელმისაწვდომს ხდიდა მანქანურად წაკითხვის ფორმატში და წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინაპირობას პროგნოზირების, რისკების ანალიზისა და ტენდენციების ავტომატიზაციისთვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პორტალი 2019 წლის შემდეგ პრაქტიკულად აღარ განახლებულა, რის გამოც მისი ანალიტიკური პოტენციალი ამჟამად შეზღუდულია. ეს გარემოება ცხადყოფს საჭიროებას, შეიქმნას განახლებული, უწყვეტად მოქმედი მონაცემთა ინფრასტრუქტურა, რომელიც გახდება საფუძველი AI-ზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემებისთვის.

4.2. AI-ის ინტეგრაციის გამოწვევები: ტექნოლოგიური და ინსტიტუციური ბარიერები

გაციფრულების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, საქართველოს სისტემა ჯერ კიდევ არ არის მზად AI-ის სრულმასშტაბიანი დანერგვისთვის. OECD-ის 2024 წლის ანგარიშის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვებში ზოგადად (არამხოლოდ საქართველოში) მონაცემთა სტანდარტიზაციისა და ინტეგრაციის ნაკლებობა სხვა სახელმწიფო რეესტრებთან (მაგალითად, საგადასახადო და ბიზნეს რეესტრებთან) წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ბარიერს (OECD 2025). შედეგად იქმნება ე.წ. „ფრაგმენტირებულ მონაცემთა“ (data silos) ეფექტი, როდესაც ინფორმაცია გაფანტულია და რთულად დასამუშავებელია ხელოვნური ინტელექტის მოდულებისთვის.

ინსტიტუციურ დონეზე, საქართველოსთვის კრიტიკულ გამოწვევას წარმოადგენს ალგორითმული მიკერძოების რისკი. ვინაიდან AI სისტემები სწავლობენ მონაცემების ისტორიის შესახებ, არსებობს საფრთხე, რომ მათ პრიორიტეტი მიანიჭონ მსხვილ, გამოცდილ მომწოდებლებს, რაც შეზღუდავს ბაზარზე ახალი, მცირე და საშუალო ბიზნესის შესვლას. გარდა ამისა, იკვეთება სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დასაბუთებულობის პრობლემა: მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს შემსყიდველს დაასაბუთოს ნებისმიერი გადაწყვეტილება (მაგ. დისკვალიფიკაცია). ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შემთხვევაში კი ჩნდება რისკი, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ შეძლოს იმ რთული ალგორითმული ლოგიკის განმარტება, რის საფუძველზეც მიიღო სისტემამ გადაწყვეტილება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება პრეტენდენტის უფლებას, მიიღოს დასაბუთებული პასუხი და ისარგებლოს გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმით.

4.3. AI-ის გამოყენების სტრატეგიული მიმართულებები მდგრადი განვითარების კონტექსტში

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია საქართველოში უნდა გახდეს არა მხოლოდ ოპტიმიზაციის, არამედ მდგრადი განვითარების ინსტრუმენტი. ამისათვის მიზანშეწონილია რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. რისკების მართვა და თაღლითობის პრევენცია: AI მოდელებს შეუძლიათ მოიცვან მომწოდებლების ფინანსური და ოპერაციული რისკების იდენტიფიკაცია (მაგალითად, გადასახადების გადაუხდელობა, შეთანხმებული ფასების შაბლონები) შესყიდვის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. მაგ.: პრეტენდენტის საგადასახადო პრობლემების იდენტიფიცირება, წინა პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ისტორია, დაკავშირებული პირების იდენტიფიცირება და სხვ., ეს ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.
2. „მწვანე შესყიდვების“ მხარდაჭერა: საქართველოში „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონის ამოქმედება 2027 წლის 1 იანვრამდე გადაიდო, სწორედ ამ კანონშია წარმოდგენილი ე.წ. „მწვანე შესყიდვების“ მხარდაჭერა, რაც თავის მხრივ მოიცავს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი წინადადებების შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებას, მათ შორის, გარემოსთვის ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილ ხარჯებს (თუ მიყენებული ზიანის ფულადი ვალდებულების სახით განსაზღვრა შესაძლებელია). ასეთი ხარჯი შესაძლებელია მოიცავდეს სათბურის აირების ან სხვა დაბინძურების ემისიას, აგრეთვე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების შემცირების ხარჯს (საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“ 2023); ამ კონტექსტში, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მომავალში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გარემოსდაცვითი კრიტერიუმების - ენერგოეფექტურობის, CO₂ ემისიების და ნარჩენების შემცირების - მონიტორინგისა და შეფასების ავტომატიზაციაში;

4.4. ევროპული სტანდარტების იმპლემენტაცია: ევროკავშირის AI Act და ევროსაბჭოს კონვენცია

საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი და სტატუსი ქვეყანას ავალდებულებს, ხელოვნური ინტელექტის დანერგვისას იხელმძღვანელოს ევროპული საკანონმდებლო სტანდარტებით. ამ კონტექსტში, ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი (EU AI Act) გვევლინება მთავარ ორიენტირად. საქართველომ სახელმწიფო შესყიდვებში AI-ის ინტეგრირებისას უნდა გაითვალისწინოს აქტით განსაზღვრული რისკების კლასიფიკაცია. სისტემები, რომლებიც გამოიყენება პრეტენდენტთა სკრინინგისთვის ან მათი ფინანსური მდგრალობის შეფასებისთვის, შესაძლოა მიეკუთვნოს „მაღალი რისკის“ კატეგორიას, რაც მოითხოვს მონაცემთა მართვის მკაცრ სტანდარტებსა და ადამიანის მუდმივ კონტროლს.

პარალელურად, როგორც ევროსაბჭოს წევრმა ქვეყანამ, საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ხელოვნური ინტელექტის შესახებ ჩარჩო კონვენცია (2024). აღნიშნული დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში არ უნდა მოხდეს დემოკრატიული პრინციპების ხელყოფა. შესაბამისად, ქართული „სანდო ხელოვნური ინტელექტის“ მოდელი უნდა ეფუძნებოდეს ევროკავშირის ეთიკურ გზამკვლევს, რაც გულისხმობს ტექნიკურ საიმედოობას, მონაცემთა კონფიდენციალურობას და ალგორითმულ ანგარიშვალდებულებას. ეს ჩარჩო უზრუნველყოფს იმას, რომ ტექნოლოგიური პროგრესი არ განვითარდეს სამართლიანი კონკურენციისა და საჯარო ნდობის ხარჯზე.

5. დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სახელმწიფო შესყიდვებში შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად თანამედროვე საჯარო მმართველობის ტრანსფორმაციის პროცესში. როგორც საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, AI-ს აქვს უნარი არა მხოლოდ ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის გაზრდის, არამედ გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მდგრალობის ხელშეწყობისაც. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ტექნოლოგიური პროგრესი მხოლოდ მაშინ იძლევა მდგრად ეფექტს, როცა იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული შესაბამის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეთიკურ ჩარჩოებთან.

საერთაშორისო მაგალითების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ წარმატებული მოდელები (ეს-

ტონეთი, ფინეთი, სამხრეთ კორეა, კანადა და სხვ.) ემყარება სამ ძირითად საფუძველს – სტრატეგიულ მმართველობას, მონაცემთა სტანდარტიზაციასა და ადამიანის რესურსების განვითარებას. სწორედ ამ ელემენტების ურთიერთშეხამება ქმნის ისეთ ეკოსისტემას, სადაც ხელოვნური ინტელექტი აღარ არის ტექნოლოგიური ექსპერიმენტი, არამედ იგი სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ამ ფონზე, საქართველოს შემთხვევა აჩვენებს, რომ ქვეყანა ფლობს მნიშვნელოვან წინაპირობებს: ეფექტიანად დანერგილ ელექტრონულ ტენდერის სისტემას, მონაცემთა ღია პლატფორმას და მაღალი დიגיტალიზაციის დონეს. თუმცა, ამავე დროს არსებობს ისეთი გამოწვევები, როგორებიცაა მონაცემთა სტანდარტიზაციის ნაკლებობა, რეესტრებს შორის არასაკმარისი კავშირები და ინსტიტუციური ანალიტიკური უნარების სიმცირე. სწორედ ამ ხარვეზების სისტემური აღმოფხვრა განსაზღვრავს AI-ის ინტეგრაციის მომავალ დინამიკას.

AI-ის დანერგვა სახელმწიფო შესყიდვებში უნდა წარიმართოს თანმიმდევრული სტრატეგიით. პირველ რიგში, საჭიროა შეიქმნას მკაფიო სტრატეგიული ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიზნებს, პრინციპებსა და პასუხისმგებლობებს. ეს ჩარჩო უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობის, ალგორითმული დასაბუთებადობისა და სამართლიანობის პრინციპებს და იყოს დაკავშირებული ციფრული მმართველობის ეროვნული სტრატეგიასთან. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი, რომ AI-ის დანერგვა აღიქმებოდეს არა როგორც ტექნოლოგიური ინიციატივა, არამედ როგორც საჯარო პოლიტიკის ორგანული გაგრძელება.

მეორე მნიშვნელოვანი წინაპირობაა მონაცემთა მმართველობისა და სტანდარტიზაციის გაძლიერება. ხელოვნური ინტელექტის მოდელები საჭიროებენ სრულ, სტრუქტურირებულ და ურთიერთდაკავშირებულ მონაცემებს. ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფო შესყიდვების მონაცემები ინტეგრირდეს საგადასახადო, ბიზნეს და ფინანსურ რეესტრებთან, ხოლო არსებული ღია მონაცემთა პორტალები განახლდეს პერმანენტულ რეჟიმში. მონაცემების სტრუქტურირება უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ და აპრობირებულ სტანდარტებს (მაგ.: **Open Contracting Data Standard (OCDS)** ქართულად: *“ღია კონტრაქტირების მონაცემთა სტანდარტი”*), რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მონაცემთა ხარისხსა და მოდელირების სანდოობას.

მესამე პრიორიტეტი უკავშირდება ადამიანური უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის გაძლიერებას. საჯარო სექტორში აუცილებელია მონაცემთა ანალიტიკის, ეთიკური ალგორითმიკისა და ციფრული მმართველობის კომპეტენციების განვითარება. მიზანშეწონილია ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომლებიც სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებს გამოუმუშავებს უნარს, იმუშაონ მონაცემებზე დაფუძნებულ გარემოში და გააზრებულად გამოიყენონ AI ინსტრუმენტები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გარდა ამისა, უნდა ჩამოყალიბდეს ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ალგორითმული გამჭვირვალობის, ალგორითმული დასაბუთებადობისა და მონაცემთა დაცვის სტანდარტების დაცვას. ამ კუთხით კრიტიკულია საერთაშორისო ინსტრუმენტების: ევროკავშირის **AI Act**-ის, ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენციისა და **OECD**-ის პრინციპების ადაპტირება ეროვნულ კონტექსტში. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დაუსაბუთებელი დისკვალიფიცირება, ალგორითმული მიკერძოება და უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა საჯარო შესყიდვების პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზანშეწონილია საპილოტე პროექტების განხორციელება ისეთ სფეროებში, სადაც ტექნოლოგიური ინტეგრაცია დაბალი რისკისაა, მაგრამ მაღალი შედეგის პოტენციალით გამოირჩევა. მაგალითად, თაღლითობის პრევენციისა და ტენდერების რისკების ანალიზის მოდულები, ან გარემოსდაცვითი კრიტერიუმების ავტომატური შეფასება „მწვანე შესყიდვების“ კონტექსტში. ასეთი საპილოტე პროექტები დაეხმარება სახელმწიფოს პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებაში და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ფორმირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სახელმწიფო შესყიდვებში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, მისი პოტენციალი უკვე ცხადად აჩვენებს საჯარო მმართველობის ტრანსფორმაციის ახალ ვექტორს. ამ ცვლილებას თან სდევს არა მხოლოდ ტექნოლოგიური, არამედ ღირებულებითი გარდაქმნაც – სახელმწიფოს უნდა შეძლოს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება ისე,

რომ არ დაკარგოს სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები. სწორედ აქ იკვეთება კვლევის ძირითადი დასკვნა: ტექნოლოგია თავისთავად ვერ უზრუნველყოფს უკეთეს მმართველობას, თუ მას არ ახლავს ეთიკური ხედვა, ძლიერი ინსტიტუტები და პასუხისმგებლიანი პოლიტიკა.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბდა შემდეგი კონკრეტული რეკომენდაციები:

1. ალგორითმული დასაბუთებადობის სტანდარტის დანერგვა: სახელმწიფო შესყიდვებში გამო-საყენებელი AI მოდელი უნდა იძლეოდეს გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას, რათა გამოირიცხოს დაუსაბუთებელი დისკვალიფიცირება.
2. ადამიანის როლისა და კონტროლის პრინციპი: საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვ-როს, რომ საბოლოო გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა ადამიანს ეკისრება.
3. ეთიკური აუდიტის მექანიზმი: სისტემების პერიოდული შემოწმება მიკერძოებასა და ევროპუ-ლი ეთიკური გზამკვლევის პრინციპებთან შესაბამისობაზე.
4. საპილოტე ინიციატივები: მუშაობის დაწყება თაღლითობის პრევენციისა და „მწვანე შესყიდ-ვების“ ავტომატური შეფასების მოდულებიდან.

საქართველოსთვის ეს წარმოადგენს შესაძლებლობას არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევის, არამედ ისეთი მმართველობითი მოდელის ჩამოყალიბების, რომელიც აერთიანებს ინოვა-ციას, გამჭვირვალობას და მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Anderson, James. 2022. Digital Governance and Public Procurement: Data-Driven Decision Making in the Public Sector. London: Routledge.
- Council of Europe. 2024. Framework Convention on Artificial Intelligence and Human Rights, Democracy and the Rule of Law. Strasbourg: Council of Europe.
- European Commission. 2008. Public Procurement for a Better Environment. COM(2008) 400 final. Brussels: European Commission.
- European Commission. 2020. Public Procurement for a Better Environment. Brussels: European Commission.
- European Commission. 2021. Green Public Procurement: A Collection of Good Practices. Luxembourg: Publi-cations Office of the European Union.
- European Commission. 2023. Digital Europe Programme: Public Procurement and AI Integration. Brussels: European Commission.
- European Union. 2024. Regulation on Artificial Intelligence (AI Act). Brussels: European Union.
- Floridi, Luciano. 2023. "The Ethics of Artificial Intelligence in the Public Sector." *Philosophy & Technology* 36 (2): 241–259.
- Government of Canada. 2023. AI for Procurement Initiative Report. Ottawa: Treasury Board Secretariat.
- Government Technology Agency of Singapore (GovTech). 2022. GeBIZ Predictive Procurement System. Singa-pore: GovTech.
- Hansel Ltd. 2022. Sustainable Public Procurement and AI Analytics in Finland. Helsinki: Hansel Ltd.
- High-Level Expert Group on Artificial Intelligence (AI HLEG). 2019. Ethics Guidelines for Trustworthy AI. Brus-sels: European Commission.
- Kim, Soo, and Ji-hyun Park. 2023. "Leveraging AI for Transparent and Efficient Procurement." *Journal of Pub-lic Policy and Technology* 15 (2): 48–72.
- OECD. 2019. Artificial Intelligence in Society. Paris: OECD Publishing.

- OECD. 2021. Digital Government Review of Korea: Towards Digital Government 4.0. Paris: OECD Publishing.
- OECD. 2022. AI in Public Sector Innovation Toolkit. Paris: OECD Publishing.
- OECD. 2023a. AI in Public Procurement Toolkit. Paris: OECD Publishing.
- OECD. 2023b. Artificial Intelligence in the Public Sector: Policy and Practice. Paris: OECD Publishing.
- OECD. 2023c. Government at a Glance 2023. Paris: OECD Publishing.
- OECD. 2025. Digital Transformation of Public Procurement. Paris: OECD Publishing. https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2025/06/digital-transformation-of-public-procurement_90ace30d/79651651-en.pdf.
- Open Contracting Partnership. 2023. Open Contracting Data Standard (OCDS): Documentation and Implementation Guidance. London: OCP.
- State Procurement Agency of Georgia. 2024. Annual Report 2023. Tbilisi: State Procurement Agency.
- Thai, Khi V. 2021. "Public Procurement Re-examined." Public Money & Management 33 (2): 137–155.
- Transparency International Georgia. 2022. Open Data and Public Procurement in Georgia: Current Challenges. Tbilisi: Transparency International Georgia.
- Treasury Board of Canada Secretariat. 2019. Directive on Automated Decision-Making. Ottawa: Government of Canada.
- UK Government Digital Service. 2021. Spend Network Case Study. London: Government Digital Service.
- United Nations. 2015. Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development. New York: United Nations.
- United Nations Development Programme (UNDP). 2022. Smart Procurement for Sustainable Development. New York: UNDP.
- United Nations Environment Programme (UNEP). 2012. Sustainable Public Procurement Implementation Guidelines. Nairobi: UNEP.
- United Nations Environment Programme (UNEP). 2022. Sustainable Public Procurement Guidelines. Geneva: UNEP.
- U.S. General Services Administration (GSA). 2023. AI in Federal Procurement Report. Washington, DC: GSA.
- World Bank. 2023. Benchmarking Public Procurement 2023: Efficiency, Transparency and Accountability. Washington, DC: World Bank.
- World Bank Group, UK aid, and British Embassy Tbilisi. 2017. Improving Efficiency in Public Procurement in Georgia: Findings from Data Analysis of Public Procurement Transactions in Georgia, 2013–2016. Washington, DC: World Bank Group.
- კიკვაძე, ო. 2016. სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში. თბილისი.
- კიკვაძე, ო., ნ. მახარაშვილი, და მ. ძაგანია. 2017. შესყიდვების ადმინისტრირება. თბილისი.
- ძაგანია, მ., და ო. კიკვაძე. 2011. სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში. თბილისი.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. 2005. №1388, 20 აპრილი. წვდომა: 2025 წლის 1 ნოემბერი. <https://matsne.gov.ge/document/view/31252?publication=94>.
- საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“. 2023. 9 თებერვალი. წვდომა: 2025 წლის 1 ნოემბერი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5714621?publication=10>.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2024. „2023 წლის საქმიანობის ანგარიში.“ თბილისი. წვდომა: 2025 წლის 1 ნოემბერი. <https://www.procurement.gov.ge/files/showfiles?id=e2861677-30c7-4862-a8d7-238b3228c859>.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2025a. „ელექტრონული შესყიდვების სისტემა.“ წვდომა: 2025 წლის 1 ნოემბერი. <https://www.spa.ge>.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. 2025b. „ვიზუალიზაციის პორტალი.“ წვდომა: 2025 წლის 1 ნოემბერი. <https://vod.spa.ge>.

ხელოვნური ინტელექტის როლი სამედიცინო მომსახურების განვითარებაში: ჯანდაცვის სისტემის კონტექსტი

თენგიზ ვერულავა

მედიცინის დოქტორი, პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

შესავალი: ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ხელოვნური ინტელექტი (AI) ჯანდაცვის სისტემის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად ყალიბდება. თანამედროვე ჯანდაცვა სულ უფრო მეტად ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რაც ზრდის დიაგნოსტიკის სიზუსტეს, ამცირებს ადამიანურ შეცდომებს და აუმჯობესებს მკურნალობის შედეგებს. ნაშრომის მიზანია ხელოვნური ინტელექტის როლის სისტემური ანალიზი სამედიცინო მომსახურების განვითარებაში ჯანდაცვის სისტემის კონტექსტში, მისი კლინიკური, მენეჯერული და ეთიკურ-სამართლებრივი განზომილებების გათვალისწინებით.

მეთოდები: მეთოდოლოგიურად, კვლევა ეფუძნება ლიტერატურის სისტემურ ანალიზს და იყენებს თემატურ შინაარსობრივ ანალიზს, შედარებით შეფასებასა და სისტემურ ანალიტიკურ მიდგომას. გაანალიზებულია 2017–2024 წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, კლინიკური კვლევები და საერთაშორისო პოლიტიკის დოკუმენტები, მათ შორის აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, ესტონეთისა და სამხრეთ კორეის გამოცდილება.

შედეგები: კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტი ეფექტიანად გამოიყენება დაავადებათა ადრეულ დიაგნოსტიკაში, პროგნოზირებაში, მკურნალობის პერსონალიზაციაში და ჯანდაცვის მენეჯმენტში, რაც ხელს უწყობს რესურსების ოპტიმიზაციასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება მონაცემთა კონფიდენციალურობას, ალგორითმულ მიკერძოებას, რეგულაციურ ჩარჩოებსა და პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებს.

დასკვნა: ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი და მდგრადი ინტეგრაცია ჯანდაცვის სისტემაში საჭიროებს სისტემურ ხედვას, რომელიც ტექნოლოგიურ პროგრესს დააკავშირებს ეთიკურ პრინციპებთან, სამართლებრივ რეგულაციებთან და ადამიანზე ორიენტირებული ჯანდაცვის მოდელის შენარჩუნებასთან.

საძიებო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; ჯანდაცვის სისტემა; დიაგნოსტიკა; ჯანდაცვის მენეჯმენტი; ეთიკა; ციფრული ჯანმრთელობა

THE ROLE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN ADVANCING MEDICAL SERVICES: A HEALTHCARE SYSTEM CONTEXT

Tengiz Verulava

Doctor of Medicine, Professor, Caucasus University

Abstract

Introduction: In the context of digital transformation, artificial intelligence (AI) has emerged as one of the most influential drivers of change in healthcare systems. Modern healthcare increasingly relies on data-driven decision-making, leading to improved diagnostic accuracy, reduced human error, and enhanced treatment outcomes. The aim of this study is to provide a systematic analysis of the role of artificial intelligence in the development of medical services within the healthcare system, with particular attention to its clinical, managerial, and ethical-legal dimensions.

Methodology: The study is based on a systematic literature review and employs thematic content analysis, comparative assessment, and a systems-based analytical approach. Scientific articles, clinical studies, and international policy documents published between 2017 and 2024 were analyzed, drawing on the experiences of the United States, the United Kingdom, Estonia, and South Korea.

Results: The findings indicate that artificial intelligence is effectively applied in early disease detection, clinical prediction, personalized treatment, and healthcare management, contributing to improved efficiency, optimized resource allocation, and enhanced quality of care. At the same time, the study identifies significant challenges related to data privacy, algorithmic bias, regulatory frameworks, and professional accountability.

Conclusion: The study emphasizes that the effective and sustainable integration of artificial intelligence into healthcare systems requires a comprehensive and systemic approach that aligns technological innovation with ethical principles, legal regulation, and the preservation of a human-centered model of healthcare.

Keywords: Artificial intelligence; healthcare system; diagnostics; healthcare management; ethics; digital health

1. შესავალი

ციფრული ინოვაციების ეპოქაში ხელოვნური ინტელექტის (Artificial Intelligence – AI) ტექნოლოგიები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს იკავებს ჯანდაცვის სისტემის ტრანსფორმაციაში და ცვლის როგორც კლინიკური პრაქტიკის, ისე მენეჯერული გადანაცვლებების მიღების ტრადიციულ მოდელებს. ჯანდაცვის სფერო, რომელიც ხასიათდება მაღალი სირთულით, მონაცემთა დიდი მოცულობითა და მუდმივად მზარდი მოთხოვნით, განსაკუთრებით მგრძნობიარეა ისეთი ტექნოლოგიური ინოვაციების მიმართ, რომლებიც ეფუძნება მონაცემთა ანალიზს და პროგნოზირებად მოდელებს. ამ კონტექსტში, AI განიხილება როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ინსტრუმენტი ჯანდაცვის ხარისხის, ეფექტიანობისა და მდგრადობის გასაუმჯობესებლად (Topol, 2019; Yu et al., 2018).

თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკა სულ უფრო მეტად ეფუძნება მონაცემებზე დაფუძნებულ გადანაცვლებებს, რაც შესაძლებელს ხდის დიაგნოსტიკის სიზუსტის ზრდას, ადამიანური შეცდომების შემცირებას და მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებას. AI-ზე დაფუძნებული ალგორითმები უკვე ფართოდ გამოიყენება სამედიცინო გამოსახულებების ანალიზში, პათოლოგიების ამოცნობაში, დაავადებათა პროგნოზირების მოდელების შექმნასა და მკურნალობის პერსონალიზაციაში. კვლევები აჩვენებს, რომ გარკვეულ სფეროებში, როგორიცაა ონკოლოგია, ოფთალმოლოგია და

კარდიოლოგია, ხელოვნური ინტელექტის სისტემები აღწევენ ადამიანის ტოლ ან მასთან შედარებით მაღალ დიაგნოსტიკურ ეფექტიანობას (Tran et al., 2019; Guan, 2019).

AI-ის გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ კლინიკური გადაწყვეტილებების მხარდაჭერით. იგი აქტიურად გამოიყენება ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტში, მათ შორის რესურსების დაგეგმვაში, პაციენტთა ნაკადების მართვაში, ხარჯთეფექტიანობის შეფასებასა და პოლიტიკის დაგეგმვაში. განსაკუთრებით შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნებში, AI-ის გამოყენება განიხილება როგორც შესაძლებლობა, გაიზარდოს სისტემის ოპერაციული ეფექტიანობა ხარისხის გაუმჯობესების გარეშე (Matheny, 2020). COVID-19 პანდემიის გამოცდილებამ კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა პროგნოზირების ალგორითმების მნიშვნელობა კრიზისული ვითარებების მართვაში და ჯანდაცვის სისტემის მოქნილობის გაზრდაში (WHO, 2021).

თუმცა, ხელოვნური ინტელექტის სწრაფი ინტეგრაცია ჯანდაცვის სფეროში აჩენს მნიშვნელოვან ეთიკურ, სამართლებრივ და სოციალურ გამოწვევებს. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პაციენტის მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვას, ალგორითმული მიკერძოების რისკებს, გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობის განაწილების საკითხს. საერთაშორისო ორგანიზაციები და რეგულატორები სულ უფრო აქტიურად ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ AI-ის წარმატებული და უსაფრთხო გამოყენება ჯანდაცვაში საჭიროებს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ განვითარებას, არამედ მკაფიო რეგულაციურ ჩარჩოებსა და სისტემურ, ინტერდისციპლინურ ანალიზს (European Commission, 2021; WHO, 2021).

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის როლის შესწავლა ჯანდაცვის სისტემის კონტექსტში წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ ამოცანას, რომლის მიზანია ინოვაციისა და ადამიანზე ორიენტირებული ჯანდაცვის მოდელის დაბალანსება.

კვლევის მიზანია გააანალიზოს ხელოვნური ინტელექტის როლი სამედიცინო მომსახურების განვითარების პროცესში, შეაფასოს მისი გავლენა ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობასა და ხარისხზე, და გამოავლინოს ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს ტექნოლოგიის სრულფასოვან ინტეგრაციას კლინიკურ პრაქტიკაში.

კვლევა პასუხობს შემდეგ კითხვებს:

1. როგორ აძლიერებს ხელოვნური ინტელექტი დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროგნოზირების ეფექტურობას?
2. რა სისტემური, ეთიკური და სამართლებრივი გამოწვევები არსებობს AI-ის დანერგვისას?
3. როგორ შეიძლება მისი გამოყენება ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის გაუმჯობესებისთვის?

2. მეთოდოლოგია

ნაშრომი ეფუძნება სისტემატურ ლიტერატურის ანალიზს, რომელიც მოიცავს 2015–2024 წლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს, კლინიკურ კვლევებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს (WHO, OECD, European Commission).

მეთოდოლოგიურად, ნაშრომი ეფუძნება სისტემატურ ლიტერატურის ანალიზს და იყენებს ინტეგრირებულ ანალიტიკურ მიდგომას. კვლევაში განხორციელებულია თემატური შინაარსობრივი ანალიზი, რომლის მიზანია ხელოვნური ინტელექტის გავლენის ძირითადი მიმართულებების იდენტიფიცირება ჯანდაცვის სისტემაში, მათ შორის კლინიკური პრაქტიკის, ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ეთიკური განზომილებების ჩრდილში. ამასთან, გამოყენებულია შედარებითი შეფასება, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას, კერძოდ, შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს, ესტონეთისა და სამხრეთ კორეის პრაქტიკას ხელოვნური ინტელექტის დანერგვისა და გამოყენების მიმართულებით. კვლევის ანალიტიკური ჩარჩო ემყარება სისტემურ მიდგომას, რომელიც ერთიანობაში განიხილავს ტექნოლოგიურ, სამართლებრივ და სოციალურ ფაქტორებს, რაც საშუალებას იძლევა ხელოვნური ინტელექტის როლი და ეფექტიანობა შეფასდეს ჯანდაცვის სისტემის ფართო კონტექსტში.

ლიტერატურის სისტემური ანალიზი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული საძიებო სტრატეგიის საფუძველზე. კვლევისთვის გამოყენებულ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, მათ შორის PubMed, Scopus, Web of Science და Google Scholar. საძიებო ტერმინები მოიცავდა შემდეგ საკვანძო სიტყვებსა და მათ კომბინაციებს: “artificial intelligence”, “machine learning”, “healthcare”, “clinical decision support”, “diagnostic accuracy”, “health system”, “ethics of AI”. ჩართვის კრიტერიუმებად განისაზღვრა 2015–2024 წლებში გამოქვეყნებული ინგლისურენოვანი რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ეხებოდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას კლინიკურ პრაქტიკაში და ჯანდაცვის მენეჯმენტში. გამორიცხვის კრიტერიუმებად განისაზღვრა თეორიული ან ტექნიკურად ფოკუსირებული ნაშრომები, რომლებიც არ შეიცავდა ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებულ ანალიზს, ასევე დუბლირებული პუბლიკაციები და არასრული ანგარიშები. სანყის ეტაპზე იდენტიფიცირებული იქნა დაახლოებით 120 პუბლიკაცია, რომელთაგან შინაარსობრივი განხილვის შემდეგ საბოლოო ანალიზში ჩართული იქნა 22 ნაშრომი.

3. შედეგები

სისტემატურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ჯანდაცვაში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას.

4. ხელოვნური ინტელექტი და დიაგნოსტიკა

ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ფართოდ შესწავლილი გამოყენების სფერო დიაგნოსტიკაა. თანამედროვე AI ალგორითმები, რომლებიც ტრენინგს გადიან ასობით ათას სამედიცინო გამოსახულებაზე, ეფექტიანად გამოიყენება კანის კიბოს, დიაბეტური რეტინოპათიის, ფილტვის პათოლოგიებისა და ძუძუს კიბოს ადრეული გამოვლენისათვის, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დიაგნოსტიკურ შეცდომებს და ზრდის გამოვლენის სიზუსტეს.

ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ AI სისტემები გამოიჩინეს მაღალი მგრძნობელობითა და სპეციფიკურობით, თუმცა მათი ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კლინიკურ კონტექსტზე. მაგალითად, Esteva და თანაავტორების (2017) კვლევაში ღრმა ნეირონულმა ქსელმა კანის კიბოს ამოცნობისას აჩვენა დაახლოებით 91–94%-იანი სენსიტივობა და მაღალი სპეციფიკურობა, რაც შეედრება ან აღემატება გამოცდილ დერმატოლოგთა საშუალო მაჩვენებლებს. ფილტვის კიბოს სკრინინგში გამოყენებულმა AI მოდელებმა ზოგიერთ კვლევაში აჩვენა 88–94%-იანი სენსიტივობა, თუმცა ამავე დროს დაფიქსირდა სპეციფიკურობის შემცირება, რაც ზრდიდა ცრუ-დადებითი პასუხების რისკს.

ბოლო წლების კვლევებმა კიდევ უფრო გაამყარეს ხელოვნური ინტელექტის დიაგნოსტიკური პოტენციალი, თუმცა მკაფიოდ წარმოაჩინეს მისი კონტექსტზე დამოკიდებულება. მაგალითად, McKinney და თანაავტორების (2020) მიერ შემუშავებულმა ღრმა სწავლების მოდელმა ძუძუს კიბოს სკრინინგში შეამცირა ცრუ-დადებითი შედეგები 5.7%-ით და ცრუ-უარყოფითი პასუხები 9.4%-ით, თუმცა 2022–2023 წლებში ჩატარებულმა რეალური კლინიკური დანერგვის კვლევებმა აჩვენა, რომ ალგორითმის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რადიოლოგთან ინტეგრაციის ხარისხზე და სამუშაო პროცესის ორგანიზებაზე.

მრავალცენტრული კვლევების შედარებითი ანალიზი მიუთითებს, რომ AI ალგორითმების დიაგნოსტიკური სიზუსტე იკლებს მაშინ, როდესაც ისინი გამოიყენება განსხვავებული პოპულაციის, ეთნიკური ჯგუფების ან კლინიკური პირობების მქონე პაციენტებზე. Rajpurkar და თანაავტორები (2022) აღნიშნავენ, რომ რეალურ კლინიკურ გარემოში AI სისტემების სპეციფიკურობა და დადებითი პროგნოზული მნიშვნელობა ხშირად დაბალია, ვიდრე კონტროლირებულ კვლევებში, რაც ზრდის ზედმეტი დიაგნოსტიკური ჩარევების რისკს.

ამგვარად, ხელოვნური ინტელექტის დიაგნოსტიკური უპირატესობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მაღალი რისკის შემთხვევების გამოვლენასა და კლინიკური გადაწყვეტილების მხარდაჭერაში, თუმცა იგი ვერ განიხილება ადამიანის სრულფასოვან ჩანაცვლებად. მისი ეფექტიანობის შეფასება

ჯანდაცვაში უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ტექნიკურ მეტრიკებს, არამედ რეალურ გავლენას კლინიკურ შედეგებზე, სამუშაო პროცესებზე და პაციენტის უსაფრთხოებაზე, რაც კვლავ რჩება თანამედროვე კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად.

5. AI მკურნალობის პროცესში

ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ დიაგნოსტიკას აუმჯობესებს, არამედ მკურნალობის დაგეგმვაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგალითად, ონკოლოგიაში, AI ხელს უწყობს „პერსონალიზებული მედიცინის“ განხორციელებას, ანუ პაციენტის გენეტიკურ და კლინიკურ მონაცემებზე დაფუძნებულ მკურნალობის შერჩევას. ასეთი მიდგომა ზრდის თერაპიის ეფექტურობას და ამცირებს არასასურველი რეაქციების რისკს.

2022–2024 წლებში გამოქვეყნებულმა ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ AI-ზე დაფუძნებული კლინიკური გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემები რეალურ პრაქტიკაში იწვევს მკურნალობის პროცესის ოპტიმიზაციას. AI-ს გამოყენებამ სეფსისის ადრეულ გამოვლენაში მნიშვნელოვნად შეამცირა რეაგირების დრო და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, თუმცა ეფექტი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა კლინიკურ დანესებულებებს შორის, რაც მიუთითებს ორგანიზაციული ფაქტორების მნიშვნელობაზე (Sendak et al., 2020).

ასევე, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით იქმნება „სმარტ-რეგისტრები“, რომლებიც აკვირდებიან პაციენტის მდგომარეობას რეალურ დროში და ექიმს აცნობებენ ნებისმიერი რისკის ან გადახრის შესახებ, რაც ამცირებს გართულებების ალბათობას.

„სმარტ-რეგისტრები“ წარმოადგენს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ციფრულ პლატფორმებს, რომლებიც აერთიანებს პაციენტის კლინიკურ მონაცემებს, ლაბორატორიულ შედეგებსა და დინამიკურ მონიტორინგს რეალურ დროში. მაგალითად, ქრონიკული გულის უკმარისობის მქონე პაციენტებში ასეთი სისტემები აფიქსირებენ არტერიული წნევის, პულსისა და სხეულის წონის მცირე ცვლილებებს და ავტომატურად აფრთხილებენ სამედიცინო პერსონალს დეკომპენსაციის რისკის შესახებ. კვლევები მიუთითებს, რომ AI-ზე დაფუძნებულმა მონიტორინგმა შეიძლება შეამციროს განმეორებითი ჰოსპიტალიზაცია და გააუმჯობესოს მკურნალობის უწყვეტობა, თუმცა მათი ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მონაცემთა ხარისხსა და კლინიკურ სამუშაო პროცესებთან ინტეგრაციაზე.

AI სისტემები (Clinical Decision Support Systems – CDSS) ამცირებენ დიაგნოსტიკურ შეცდომებს და ეხმარებიან ექიმებს პროტოკოლების სწორად შერჩევაში (Topol, 2019).

გენომური მონაცემების და ალგორითმული ანალიზის ინტეგრაციამ შესაძლებელი გახადა ინდივიდუალურად მორგებული თერაპიის დაგეგმვა, რაც ამცირებს გვერდით ეფექტებს და ზრდის თერაპიული წარმატების ალბათობას (Rajpurkar et al., 2022).

6. ჯანდაცვის მენეჯმენტში AI-ის გამოყენება

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტში, სადაც მისი მთავარი ღირებულება მდგომარეობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების გაუმჯობესებაში, რესურსების ოპტიმალურ განაწილებასა და სისტემის საერთო ეფექტიანობის ზრდაში. თანამედროვე ჯანდაცვის სისტემები ხასიათდება მზარდი მოთხოვნით, ფინანსური შეზღუდვებითა და ადამიანური რესურსების დეფიციტით, რის ფონზეც AI-ის გამოყენება განიხილება როგორც მენეჯერული ინოვაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

AI-ზე დაფუძნებული პროგნოზირების მოდელები ფართოდ გამოიყენება პაციენტთა ნაკადების მართვისთვის, განსაკუთრებით გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტებში. კვლევები აჩვენებს, რომ მანქანური სწავლების ალგორითმებს შეუძლიათ მაღალი სიზუსტით იწინასწარმეტყველონ გადაუდებელი დახმარების მიმართვიანობა, საწოლფონდის დატვირთვა და ჰოსპიტალიზაციის საჭიროება, რაც ხელს უწყობს პერსონალის გრაფიკების ოპტიმიზაციას და ლოდინის დროის შემ-

ცირებას (Reddy et al., 2019; Panykh et al., 2020). მაგალითად, აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ AI-ის გამოყენებამ გადაუდებელ განყოფილებებში ლოდინის დრო 10–20%-ით შეამცირა და გააუმჯობესა მომსახურების უწყვეტობა.

ჯანდაცვის მენეჯმენტში AI მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე ხარჯთეფექტიანობის შეფასებაში და ფინანსური დაგეგმვის პროცესში. დიდი მოცულობის ადმინისტრაციული და კლინიკური მონაცემების ანალიზის გზით, ალგორითმები იდენტიფიცირებენ ზედმეტ ჰოსპიტალიზაციებს, არაეფექტიან მომსახურებებსა და რესურსების არარაციონალურ გამოყენებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაფინანსების ისეთი მოდელების პირობებში, როგორიცაა შედეგებზე დაფუძნებული გადახდა (Bates et al., 2020). The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD)-ს შეფასებით, AI-ის გამოყენებას შეუძლია ჯანდაცვის ხარჯების შემცირება 5–10%-ის ფარგლებში ხარისხის გაუარესების გარეშე, თუმცა ეს ეფექტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სისტემურ ინტეგრაციაზე (OECD, 2023).

გარდა ამისა, AI აქტიურად გამოიყენება ე.წ. „სმარტ-რეგისტრების“ განვითარებაში, რომლებიც აერთიანებს ელექტრონულ სამედიცინო ჩანაწერებს, სადაზღვევო მონაცემებსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინდიკატორებს. ასეთი სისტემები საშუალებას იძლევა რეალურ დროში შეფასდეს მომსახურების მოცულობა, ხარისხი და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვანია როგორც მენეჯერული, ისე პოლიტიკის დაგეგმვის დონეზე. ესტონეთის გამოცდილება ცხადყოფს, რომ AI-ზე დაფუძნებული მონაცემთა ინტეგრაცია ამცირებს ადმინისტრაციულ ტვირთს და ზრდის სისტემის გამჭვირვალობას (European Commission, 2023).

თუმცა, ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ AI-ის მენეჯერული გამოყენება დაკავშირებულია მნიშვნელოვან გამოწვევებთან. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ალგორითმული მიკერძოება, როდესაც ისტორიულ მონაცემებში არსებული უთანასწორობები ავტომატურად გადადის მენეჯერულ გადაწყვეტილებებში, რაც შესაძლოა გააღრმავოს რეგიონული ან სოციალური დისბალანსები რესურსების განაწილებაში (Obermeyer et al., 2019). ამასთან, გადაწყვეტილებების ალგორითმიზაცია აჩენს პასუხისმგებლობის საკითხს: ვინ არის პასუხისმგებელი არასწორი პროგნოზის ან რესურსების არაეფექტიანი განაწილების შემთხვევაში - სისტემა, მენეჯერი თუ პოლიტიკის შემმუშავებელი?

შესაბამისად, კვლევები თანხმდებიან, რომ ხელოვნური ინტელექტის მენეჯერული პოტენციალი სრულად რეალიზდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინტეგრირებულია ადამიანის გადაწყვეტილებასთან, მკაფიო რეგულაციურ ჩარჩოებთან და ეთიკურ ზედამხედველობასთან (WHO, 2021). AI უნდა განიხილებოდეს როგორც მხარდაჭერის ინსტრუმენტი და არა მენეჯერული გადაწყვეტილებების სრულად ავტონომიური შემცვლელი, განსაკუთრებით იმ სისტემებში, სადაც რესურსების სიმცირე და სოციალური მგრძნობელობა მაღალია.

7. ეთიკური და სამართლებრივი გამოწვევები

მიუხედავად უდავო სარგებლისა, ხელოვნური ინტელექტის დანერგვა ჯანდაცვაში წარმოშობს მნიშვნელოვან ეთიკურ, სამართლებრივ და სოციალურ გამოწვევებს.

პირველ რიგში, დგას პაციენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების საკითხი, ვინ ფლობს და ვინ აკონტროლებს მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება ალგორითმების შესაქმნელად?

ხელოვნური ინტელექტის ფართო დანერგვამ ჯანდაცვაში მნიშვნელოვნად გაზარდა რეგულაციური ჩარჩოების როლი. ევროკავშირის კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტს (EU AI Act), რომელიც სამედიცინო AI სისტემებს განიხილავს როგორც „მაღალი რისკის“ ტექნოლოგიებს და მოითხოვს მკაცრ მოთხოვნებს მონაცემთა ხარისხზე, ალგორითმების გამჭვირვალობაზე, კლინიკურ ვალიდაციასა და ადამიანურ ზედამხედველობაზე. აღნიშნული ჩარჩო ავსებს მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას (The General Data Protection Regulation – GDPR), რომელიც განსაზღვრავს პაციენტის ინფორმაციის დამუშავების,

ანონიმიზაციისა და ინფორმირებული თანხმობის პრინციპებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, AI-ზე დაფუძნებული სამედიცინო გადაწყვეტილების სისტემები ექვემდებარება HIPAA (Health Insurance Portability and Accountability Act) კონფიდენციალურობის მოთხოვნებს, ხოლო აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაცია (U.S. Food and Drug Administration – FDA-ს რეკომენდაციები ხაზს უსვამს პროგრამული უზრუნველყოფის როგორც სამედიცინო მონაცემების რეგულირებას, მათ შორის ალგორითმების მუდმივი განახლების პირობებში. აღნიშნული რეგულაციები მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენება ჯანდაცვაში შეუძლებელია მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოების გარეშე (Youssef et al., 2023).

მეორე საკითხია ალგორითმული მიკერძოება, ანუ რისკი იმისა, რომ მოდელები, რომლებიც ტრენინგს გადიან არასრული ან არაერთგვაროვან მონაცემებზე, გამოავლენენ არასწორ ან უსამართლო გადაწყვეტილებებს.

ალგორითმული მიკერძოება განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ შემთხვევაში, როდესაც AI სისტემები ტრენინგს გადიან არასრულ ან არარეპრეზენტაციულ მონაცემებზე. მაგალითად, კვლევებმა აჩვენა, რომ კარდიოლოგიურ და დერმატოლოგიურ AI მოდელებს დაბალი დიაგნოსტიკური სიზუსტე აქვთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში, თუ სანყისი მონაცემთა ბაზები ძირითადად ერთგვაროვან პოპულაციას ეფუძნება. ასეთ შემთხვევაში, ალგორითმმა შესაძლოა სისტემურად შეაფასოს გარკვეული ჯგუფები ნაკლებად რისკიანად, რაც იწვევს დიაგნოსტიკის დაგვიანებას და უთანასწორობას მომსახურების ხელმისაწვდომობაში. აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ ალგორითმული მიკერძოება წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ სოციალურ და ეთიკურ პრობლემას, რომლის მართვაც საჭიროებს რეგულაციასა და ადამიანურ ზედამხედველობას.

ასევე მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის საკითხი: ვინ არის პასუხისმგებელი შეცდომის შემთხვევაში: ექიმი, პროგრამული უზრუნველყოფა თუ ალგორითმის შემქმნელი? ამიტომ საჭიროა ისეთი რეგულაციური ჩარჩოების შექმნა, რომლებიც ბალანსს დაამყარებს ინოვაციასა და ეთიკურ ნორმებს შორის.

პასუხისმგებლობის საკითხის გადასაჭრელად, თანამედროვე რეგულაციური მიდგომები სულ უფრო მეტად ემხრობა „გაერთიანებული პასუხისმგებლობის“ მოდელს, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა ნაწილდება ტექნოლოგიის შემქმნელს, ჯანდაცვის დაწესებულებასა და კლინიკურ მომხმარებელს შორის. ასეთ მოდელში ხელოვნური ინტელექტი განიხილება როგორც გადაწყვეტილების მხარდამჭერი ინსტრუმენტი და არა ავტონომიური გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი, რის შედეგადაც საბოლოო კლინიკური პასუხისმგებლობა რჩება ექიმზე. ამასთან, რეგულაციები მოითხოვს ალგორითმების აუდიტს, კლინიკურ ვალიდაციას და გადაწყვეტილებების განმარტებადობას, რაც ამცირებს შეცდომის რისკს და ზრდის სამართლებრივ სიცხადეს. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა ტექნოლოგიური ინოვაცია თანხვედრაში იყოს პაციენტის უსაფრთხოებასა და პროფესიულ ეთიკასთან.

8. განათლება და ადამიანური ფაქტორი

ხელოვნური ინტელექტის სრულფასოვანი გამოყენება შეუძლებელია ადამიანური რესურსების შესაბამისი გადამზადების გარეშე. ექიმებმა, მედლებმა და ჯანდაცვის მენეჯერებმა უნდა შეიძინონ ციფრული კომპეტენციები, რათა შეძლონ AI ინსტრუმენტებთან თანამშრომლობა და შედეგების სწორად ინტერპრეტაცია.

AI არ ცვლის ექიმს, არამედ მასთან ერთად ქმნის ახალ მოდელს, სადაც ტექნოლოგია ეხმარება ადამიანს უფრო ზუსტ და ინფორმირებულ გადაწყვეტილებებში.

9. AI და ჯანდაცვის სისტემის მომავალი

მომავლის პერსპექტივაში, ხელოვნური ინტელექტი განიხილება როგორც ჯანდაცვის სისტემის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო ინტეგრირებული, პრევენციული და პაციენტზე ორიენტირებული მომსახურების განვითარებას. ტრადიციული, რეაქტიული მოდელის ნაცვლად, სადაც ჯანდაცვა ძირითადად დაავადების გამოვლენისა და

მკურნალობის ეტაპზე ერთვება, AI ქმნის შესაძლებლობას გადავიდეს პროაქტიულ და პროგნოზირებად სისტემაზე, რომელიც ორიენტირებულია რისკების ადრეულ იდენტიფიკაციაზე და პრევენციაზე.

პროგნოზირების ალგორითმები, რომლებიც აერთიანებს ელექტრონულ სამედიცინო ჩანაწერებს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონაცემებსა და სოციალურ-დემოგრაფიულ ინდიკატორებს, საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს ეპიდემიოლოგიური ტენდენციები და დაავადებათა გავრცელების პოტენციური კერები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრონიკული არაგადამდები დაავადებების მართვისთვის, სადაც AI-ზე დაფუძნებული მოდელები აფასებენ ინდივიდუალურ რისკს და უზრუნველყოფენ მიზნობრივი პრევენციული ინტერვენციების დაგეგმვას (Johnson et al., 2021). კვლევები მიუთითებს, რომ ასეთი მიდგომა არა მხოლოდ აუმჯობესებს ჯანმრთელობის შედეგებს, არამედ ამცირებს ჯანდაცვის ხარჯებს გრძელვადიან პერსპექტივაში (Coiera, 2018).

გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჯანდაცვის სისტემების ინტეგრაციაში. AI-ის მეშვეობით შესაძლებელია კლინიკური, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მონაცემების ერთიან ეკოსისტემაში გაერთიანება, რაც ქმნის ე.წ. „ცოცხალ სისტემას“, რომელიც რეალურ დროში აკვირდება ჯანმრთელობის პროცესებს, პროგნოზირებს დატვირთვებს და ადაპტირებს რესურსების განაწილებას. ასეთ მოდელს ხშირად ადარებენ „საგზაო სისტემას“, სადაც სენსორები, ანალიტიკური ალგორითმები და გადაწყვეტილების მხარდაჭერის მექანიზმები ერთობლივად უზრუნველყოფს სისტემის უწყვეტ და მოქნილ მართვას (Topol, 2019).

ამავდროს, ლიტერატურა ხაზს უსვამს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი ავტომატურად არ იძლევა სისტემურ გაუმჯობესებას. AI-ზე დაფუძნებული მომავლის ჯანდაცვა მოითხოვს ორგანიზაციულ გარდაქმნებს, მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას და ადამიანური რესურსების ახალი კომპეტენციებით აღჭურვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგნოზირებად და ავტომატიზებულ სისტემებში შენარჩუნდეს ადამიანის როლი როგორც ეთიკური მსაჯული და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები (WHO, 2023). წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ ტექნოლოგიურმა დეტერმინიზმმა შეასუსტოს პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა და გააღრმავოს უთანასწორობები.

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტი ქმნის ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტრატეგიულ შესაძლებლობას, რომლის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ალგორითმების სიზუსტეზე, არამედ მათ გონივრულ ინტეგრაციაზე პოლიტიკურ, ინსტიტუციურ და ეთიკურ ჩარჩოებში. AI-ის გამოყენებით ჯანდაცვა შეიძლება გარდაიქმნას უფრო პროგნოზირებად, მდგრად და სამართლიან სისტემად, თუმცა ეს ტრანსფორმაცია საჭიროებს თანმიმდევრულ პოლიტიკას, რეგულაციასა და საზოგადოებრივ ნდობას.

10. დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე გარდამტეხ ინოვაციას, რომელიც აერთიანებს მონაცემებს, მეცნიერებასა და ჰუმანიზმს და ქმნის სამედიცინო მომსახურების განვითარების ახალ პარადიგმას. თუმცა, ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯანდაცვის სისტემაში ადამიანზე ორიენტირებული მიდგომის შენარჩუნებას, სადაც ტექნოლოგია განიხილება არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც ინსტრუმენტი ჯანმრთელობის დაცვის, თანასწორობის უზრუნველყოფისა და ადამიანის ღირსების პატივისცემისათვის. ამ კონტექსტში, ხელოვნური ინტელექტის განვითარების პროცესში ჯანდაცვის სისტემამ უნდა ჩამოაყალიბოს სისტემური ხედვა, რომელიც ეფუძნება რეგულაციების გამჭვირვალობასა და მკაფიო ეთიკური ჩარჩოების განსაზღვრას, განათლებისა და პროფესიული განვითარების თანამედროვე სტანდარტების დანერგვას, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას ცოდნისა და გამოცდილების ეფექტიანი გაზიარების მიზნით. მხოლოდ ასეთი ინტეგრირებული და ჰუმანიტურ ღირებულებებზე დაფუძნებული მიდგომის პირობებში იქნება შესაძლებელი, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა არ ჩაანაცვლოს ადამიანი მედიცინაში, არამედ გააძლიეროს მისი როლი და ჰუმანურობა ჯანდაცვის სისტემაში.

ამდენად, ხელოვნური ინტელექტის წარმატებული ინტეგრაცია ჯანდაცვაში დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნოლოგიურ პროგრესზე, არამედ ეფექტიან რეგულაციურ ჩარჩოებსა და პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bates, David W., David Levine, Ania Syrowatka, Masha Kuznetsova, Kelly Jean Thomas Craig, Angela Rui, Gretchen Purcell Jackson, and Kyu Rhee. "The potential of artificial intelligence to improve patient safety: a scoping review." *NPJ digital medicine* 4, no. 1 (2021): 54. <https://doi.org/10.1038/s41746-021-00423-6>
- Esteva, Andre, Brett Kuprel, Roberto A. Novoa, Justin Ko, Susan M. Swetter, Helen M. Blau, and Sebastian Thrun. "Dermatologist-level classification of skin cancer with deep neural networks." *Nature* 542, no. 7639 (2017): 115-118. <https://doi.org/10.1038/nature21056>
- European Commission (2023). *Artificial intelligence in healthcare: Applications and policy implications*.
- Cannarsa, Michel. "Ethics guidelines for trustworthy AI." *The Cambridge handbook of lawyering in the digital age* (2021): 283-297. <https://doi.org/10.1017/9781108936040.022>
- Coiera, Enrico. "The fate of medicine in the time of AI." *The Lancet* 392, no. 10162 (2018): 2331-2332.
- Guan, Jian. "Artificial intelligence in healthcare and medicine: promises, ethical challenges and governance." *Chinese Medical Sciences Journal* 34, no. 2 (2019): 76-83. <https://doi.org/10.24920/003611>
- Johnson, Kevin B., Wei-Qi Wei, Dilhan Weeraratne, Mark E. Frisse, Karl Misulis, Kyu Rhee, Juan Zhao, and Jane L. Snowden. "Precision medicine, AI, and the future of personalized health care." *Clinical and translational science* 14, no. 1 (2021): 86-93. <https://doi.org/10.1111/cts.12884>
- Matheny, Michael E., Danielle Whicher, and Sonoo Thadaney Israni. "Artificial intelligence in health care: a report from the National Academy of Medicine." *Jama* 323, no. 6 (2020): 509-510. <https://doi.org/10.1001/jama.2019.21579>
- McKinney, Scott Mayer, Marcin Sieniek, Varun Godbole, Jonathan Godwin, Natasha Antropova, Hutan Ashrafian, Trevor Back et al. "International evaluation of an AI system for breast cancer screening." *Nature* 577, no. 7788 (2020): 89-94. <https://doi.org/10.1038/s41586-019-1799-6>
- Obermeyer, Ziad, Brian Powers, Christine Vogeli, and Sendhil Mullainathan. "Dissecting racial bias in an algorithm used to manage the health of populations." *Science* 366, no. 6464 (2019): 447-453. <https://doi.org/10.1126/science.aax234>
- OECD. (2023). *Artificial Intelligence in Health: Progress and Prospects*. OECD Health Policy Studies.
- Pianykh, Oleg S., Steven Guitron, Darren Parke, Chengzhao Zhang, Pari Pandharipande, James Brink, and Daniel Rosenthal. "Improving healthcare operations management with machine learning." *Nature Machine Intelligence* 2, no. 5 (2020): 266-273. <https://doi.org/10.1038/s42256-020-0176-3>
- Rajpurkar, Pranav, Emma Chen, Oishi Banerjee, and Eric J. Topol. "AI in health and medicine." *Nature medicine* 28, no. 1 (2022): 31-38. <https://doi.org/10.1038/s41591-021-01614-0>
- Reddy, Sandeep, John Fox, and Maulik P. Purohit. "Artificial intelligence-enabled healthcare delivery." *Journal of the Royal Society of Medicine* 112, no. 1 (2019): 22-28. <https://doi.org/10.1177/0141076818815>
- Sendak, Mark P., William Ratliff, Dina Sarro, Elizabeth Alderton, Joseph Futoma, Michael Gao, Marshall Nichols et al. "Real-world integration of a sepsis deep learning technology into routine clinical care: implementation study." *JMIR Medical Informatics* 8, no. 7 (2020): e15182. <https://doi.org/10.2196/15182>
- Topol, Eric. *Deep medicine: how artificial intelligence can make healthcare human again*. Hachette UK, 2019. <https://shop-static.playaway.com/inserts/playaway/66609.pdf>
- Tran, Bach Xuan, Giang Thu Vu, Giang Hai Ha, Quan-Hoang Vuong, Manh-Tung Ho, Thu-Trang Vuong, Viet-Phuong La et al. "Global evolution of research in artificial intelligence in health and medicine: a bibliometric study." *Journal of Clinical Medicine* 8, no. 3 (2019): 360. <https://doi.org/10.3390/jcm8030360>
- World Health Organization (WHO). (2021). *Ethics and governance of artificial intelligence for health: WHO guidance*. Geneva: WHO Press.

- World Health Organization (WHO). (2023). *Global strategy on digital health 2020–2025: Mid-term review*. Geneva: WHO Press.
- Yu, Kun-Hsing, Andrew L. Beam, and Isaac S. Kohane. "Artificial intelligence in healthcare." *Nature biomedical engineering* 2, no. 10 (2018): 719–731. <https://doi.org/10.1038/s41551-018-0305-z>
- Youssef, Alexey, Michael Pencina, Anshul Thakur, Tingting Zhu, David Clifton, and Nigam H. Shah. "External validation of AI models in health should be replaced with recurring local validation." *Nature Medicine* 29, no. 11 (2023): 2686–2687. <https://doi.org/10.1038/s41591-023-02540-z>

ხელოვნური ინტელექტის სამხედრო კონფლიქტებში გამოყენების პერსპექტივები და გამოწვევები

ქეთევან კვესელავა

ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ORCID:0000-0002-1318-2750

თინათინ კროპაძე

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
ალტე უნივერსიტეტის პროფესორი,
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ORCID: 0000-0001-8339-4129

ნიკოლოზ ესიტაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი,
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პერსპექტივები და გამოწვევები სამხედრო კონფლიქტებში. განხილულია AI-ის ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებები: ავტონომიური საბრძოლო პლატფორმები, ჯარების მართვისა და გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემები, კიბერუსაფრთხოება, სადაზვერვო მონაცემების დამუშავება და ციფრული არმიის კონცეფცია. ნაშრომი ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებისა და აკადემიური/ანალიტიკური წყაროების შედარებით ანალიზს და ასახავს აშშ-ის, ჩინეთის, რუსეთის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების პრაქტიკას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ავტონომიური იარაღის გამოყენების სამართლებრივ და ეთიკურ საკითხებს, ადამიანის კონტროლის შენარჩუნებას, პასუხისმგებლობის განაწილებასა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებს. დასკვნაში ხაზგასმულია საერთო დეფინიციების, გამჭვირვალე რეგულირების, საერთაშორისო დიალოგისა და კონტროლის მექანიზმების აუცილებლობა, რათა სამხედრო AI-ის განვითარებამ უსაფრთხოების გაძლიერებას შეუწყოს ხელი და არ იქცეს გლობალური არასტაბილურობის წყაროდ.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; სამხედრო კონფლიქტი; ავტონომიური იარაღი; კიბერუსაფრთხოება; ციფრული ტექნოლოგიები.

CHALLENGES AND PROSPECTS FOR THE USE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE IN MILITARY CONFLICTS

Ketevan Kveselava

Academic Doctor of Informatics Engineering,
professor of Technical University of Georgia,
Chief Scientist of the Scientific Research Center of LEPL – David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
ORCID:0000-0002-1318-2750

Tinatin Kropadze

PhD in Social Sciences, Professor of Alte University,
Chief Scientist of the Scientific-Research Center of
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia;
ORCID: 0000-0001-8339-4129

Nikoloz Esitashvili

PhD in international relations, professor of Georgian Institute of Public Affairs,
Chief Scientist of the Scientific Center of LEPL – David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia

Abstract

This article examines the prospects and challenges of using artificial intelligence (AI) in military conflicts. It focuses on autonomous combat platforms, command-and-control and decision-support systems, cybersecurity, intelligence analysis, and the emerging concept of the digital army. Drawing on comparative analysis of academic, legal, and analytical sources, the article reviews examples from the United States, China, Russia, Israel, and other states. Particular attention is given to the ethical and legal implications of autonomous weapons, including human control, accountability, target selection, and compliance with international humanitarian law. The article argues that the rapid militarization of AI requires clearer definitions, transparent regulatory standards, and international coordination to reduce escalation risks and ensure the responsible development of military AI technologies.

Keywords: artificial intelligence; military conflict; autonomous weapons; cybersecurity; digital technologies.

1. შესავალი

ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე მიღწევები თავდაცვის ტექნოლოგიების განვითარებას ახალ შესაძლებლობებს აძლევს. წამყვანი სახელმწიფოები მნიშვნელოვან რესურსებს დებენ ავტონომიური და ნახევრად ავტონომიური სისტემების შექმნაში, რომლებსაც შეუძლიათ სამხედრო ამოცანების შესრულება ადამიანის მინიმალური ჩარევით. ამ პირობებში AI მხოლოდ ოპერაციული ეფექტიანობის გაზრდის ინსტრუმენტი აღარ არის; იგი ომის დაგეგმვის, მართვისა და წარმოების პრინციპების ცვლილების ერთ-ერთ ფაქტორად ყალიბდება.

ერთ-ერთი თვალსაჩინო მიმართულებაა ავტონომიური საბრძოლო პლატფორმების განვითარება. აშშ-ის საჰაერო ძალების, Boeing-ისა და Kratos-ის Loyal Wingman-ის პროგრამა უკავშირდე-

ბა ხელოვნური ინტელექტით მართულ უპილოტო საფრენ აპარატებს, რომლებიც პილოტირებულ თვითმფრინავებს ესკორტს უწევენ ან დამოუკიდებელ ამოცანებს ასრულებენ. მსგავს ფუნქციებს უკავშირებენ ჩინურ GJ-11-ს, ისრაელის Harpy/Harop ტიპის კამიკაძე დრონებს და რუსეთის „ოხოტ-ნიკის“ პროექტს.

ხელოვნური ინტელექტი ასევე აქტიურად გამოიყენება ბრძოლის მართვის სისტემებში, მათ შორის ავტომატიზებულ სამეთაურო და კონტროლის პლატფორმებში. მაგალითად, Project Maven-ის ამოცანაა დრონების ვიდეომასალის ავტომატური ანალიზი, ხოლო სხვა სისტემები გამოიყენება ტაქტიკური მართვის, მარშრუტების დაგეგმვისა და რეალურ დროში საჭიროებების პროგნოზირებისათვის.

AI გამოიყენება როგორც ციფრული ინფრასტრუქტურის დაცვისთვის, ისე კიბერსივრცეში შეტევითი ოპერაციების მხარდასაჭერად. აშშ-ის კიბერსარდლობა, ჩინეთის შესაბამისი სტრუქტურები და რუსეთის ელექტრონული ომისა და კიბერდაზვერვის სისტემები სხვადასხვა ფორმით იყენებენ AI-ის საფრთხეების მონიტორინგის, რეაგირების, კიბერშპიონაჟისა და ინფორმაციული გავლენის ოპერაციებში.

სამხედრო დაზვერვაში ხელოვნური ინტელექტი დიდი მონაცემების ანალიზის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა. იგი გამოიყენება თანამგზავრული სურათების დამუშავების, ობიექტებისა და ანომალიების ამოცნობის, სიგნალების დაზვერვის (SIGINT) და ღია წყაროების დაზვერვის (OSINT) პროცესებში.

ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად რჩება ავტონომიური იარაღის გამოყენების დასაშვებობა ადამიანის ჩარევის გარეშე. გაეროს ფარგლებში განიხილება ლეტალური ავტონომიური იარაღის სისტემების (LAWS) აკრძალვის ან შეზღუდვის საჭიროება. მთავარი კითხვებია: ვინ აგებს პასუხს შეცდომის შემთხვევაში – დეველოპერი, ოპერატორი თუ სახელმწიფო – და როგორ უნდა შეფასდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის საკითხი მაშინ, როდესაც ალგორითმის მუშაობა სრულად გამჭვირვალე არ არის.

სამხედრო AI-ის სწრაფი განვითარება ქვეყნებს შორის ტექნოლოგიურ შეჯიბრებას აძლიერებს. აშშ, ჩინეთი და რუსეთი ამ ტექნოლოგიას სტრატეგიული შეკავებისა და სამხედრო უპირატესობის ერთ-ერთ ელემენტად განიხილავენ. საერთაშორისო შეთანხმებების ნაკლებობა ზრდის ესკალაციის რისკს, განსაკუთრებით დეზინფორმაციის, კიბერშეტევებისა და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან ტექნოლოგიის გამოყენების ფონზე.

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტი სამხედრო ძალების ტრანსფორმაციის მძლავრი ინსტრუმენტია, რომელსაც შეუძლია სიზუსტის, სიჩქარისა და ავტონომიის გაზრდა. ამავდროულად, იგი ქმნის სამართლებრივ, ეთიკურ და სტრატეგიულ გამოწვევებს. სწორედ ამიტომ საჭიროა საერთაშორისო დიალოგი, საერთო სტანდარტები და გამჭვირვალე წესები, რომლებიც შეამცირებს უკონტროლო გამოყენების რისკებს.

2. ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სამხედრო-ინდუსტრიულ კომპლექსსა და უსაფრთხოების პოლიტიკაში. ნაშრომის მიზანია უცხო ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოსთვის რელევანტური სამართლებრივი მიდგომების შედარებითი ანალიზი AI-ის სამხედრო ინტეგრაციის კონტექსტში.

კვლევის მიზანი მოიცავს შემდეგ ამოცანებს: 1. თავდაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის განმსაზღვრელი ცნებებისა და მიდგომების განხილვა; 2. AI-ის გამოყენების თეორიული და პრაქტიკული წინაპირობების შეფასება; 3. საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში AI-ის უსაფრთხო ინტეგრაციისთვის საჭირო სამართლებრივი და ინსტიტუციური ღონისძიებების განსაზღვრა. კვლევის ობიექტს წარმოადგენს უცხო ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური წყაროების მიერ შემუშავებული ნორმატიული, ანალიტიკური და სამეცნიერო მასალა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სამხედრო გამოყენებასა და მის რეგულირებას ეხება.

ნაშრომში გამოყენებულია სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციური და შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეთოდები.

კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ გამოცდილებას, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სამხედრო დანიშნულებით გამოყენების სამართლებრივ რეგულირებასა და კონფლიქტურ ვითარებებში მის პრაქტიკულ გამოყენებას უკავშირდება.

მონინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება თავდაცვის სექტორში უკვე ჩამოყალიბებული პრაქტიკაა. მის ძირითად უპირატესობებად მიიჩნევა სამიზნეების დაზიანების სიზუსტე, სამხედრო მოსამსახურეებისთვის რისკების შემცირება და საბრძოლო ოპერაციების შემდგომი სოციალური და ფსიქოლოგიური ხარჯების ნაწილობრივი შემცირება (Toscano n.d.; Marchant et al. 2015).

AI-ის სამხედრო პოტენციალი განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება გადანაცვლების მიღების სიჩქარეს. რაც უფრო სწრაფად ხდება მონაცემების დამუშავება და ოპერატიული არჩევანის ფორმირება, მით უფრო იზრდება ტექნოლოგიის გავლენა სამხედრო დაპირისპირების დინამიკაზე (Sisson et al. 2019).

კონფლიქტების ზრდა და სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტებისთვის ახალ გამოწვევებს ქმნის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების გავლენის შეფასება შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლებზე და იმ ჰუმანიტარული საჭიროებების განსაზღვრა, რომლებიც ყველაზე დაუცველ ჯგუფებს ეხება (Morgenthau 1978).

ხელოვნური ინტელექტის სრული შესაძლებლობები კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის ჯერ კიდევ ბოლომდე განსაზღვრული არ არის, იქნება ეს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფი. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს AI-ის გამოყენების სამი ურთიერთგადამკვეთი მიმართულება.

პირველი მიმართულებაა სამხედრო აღჭურვილობისა და რობოტული პლატფორმების მართვა, განსაკუთრებით ჰაერში, ხმელეთსა და ზღვაში. AI ზრდის როგორც შეიარაღებული, ისე უიარაღო პლატფორმების ავტონომიის ხარისხს – ფრენის, ნავიგაციის, დაზვერვის, სამიზნის შერჩევისა და სხვა ფუნქციების შესრულებისას. სწორედ აქ ჩნდება ყველაზე მწვავე ჰუმანიტარული, სამართლებრივი და ეთიკური კითხვა: რამდენად უნდა გადაეცეს მანქანას ძალის გამოყენების კრიტიკული ფუნქციები და როგორ უნდა შენარჩუნდეს ადამიანის არსებითი კონტროლი.

მეორე მიმართულებაა კიბერიარალისა და ინფორმაციული გავლენის შესაძლებლობების განვითარება. AI-ზე დაფუძნებულ სისტემებს შეუძლია დაუცველობის ავტომატური ძიება, კიბერშეტევებზე რეაგირება, კონტრშეტევების განხორციელება და დეზინფორმაციის სწრაფი შექმნა ან გავრცელება. ასეთი ინსტრუმენტები ცვლის როგორც კიბერომის ხასიათს, ისე ინფორმაციის მანიპულირების მასშტაბს.

მესამე მიმართულებაა გადანაცვლების მხარდაჭერა. ასეთი სისტემები აგროვებენ და აანალიზებენ დიდ მონაცემებს, ამოიცნობენ ობიექტებსა და ქცევის ნიმუშებს, აფასებენ ოპერატიულ გარემოს და სთავაზობენ რეკომენდაციებს სამხედრო სტრატეგიის ან ოპერაციების დაგეგმვისთვის. მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავებაში, ისე სამიზნეების შერჩევაში, დაკავების გადანაცვლებებში, ოპერაციების დაგეგმვასა და, თეორიულად, სტრატეგიული მნიშვნელობის გადანაცვლებებშიც.

სამხედრო საქმეში AI-ის პირდაპირი და ირობი გამოყენების ძირითადი სფეროებია: სამხედრო განვითარების მენეჯმენტი; საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება და შეიარაღების სისტემების განვითარება; იარაღის, სისტემებისა და აღჭურვილობის, ჯარებისა და სამხედრო ფორმირებების მართვა ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს; ლოჯისტიკის მენეჯმენტი; სხვა დამხმარე ფუნქციები და სისტემები (იხ. სურათი 1).



სურათი 1. სამხედრო საქმეში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითადი მიმართულებები.

სამხედრო განვითარების პროცესში AI შეიძლება გამოყენებულ იქნას გეოპოლიტიკური ვითარების ანალიზისა და პროგნოზირებისთვის, საფრთხეების შეფასებისთვის, მონიტორინგის შესაძლო მოქმედებებისა და ძალთა შემადგენლობის განსაზღვრისთვის, ასევე შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების სისტემების განვითარების მიმართულებების დასადგენად.

საბრძოლო მზადყოფნისა და შეიარაღების სისტემების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ მიმართულებებს: ინტელექტუალური საინფორმაციო სისტემები, რომლებიც რეალურ დროში აფასებენ ვითარებას, გეგმავენ საბრძოლო მოქმედებებს და უზრუნველყოფენ სხვადასხვა ძალისა და საშუალების კოორდინაციას; მრავალგენტიანი მოდელირება, რომელიც აფასებს თანამედროვე და პერსპექტიული სამხედრო ტექნიკის, იარაღის სისტემებისა და ძალთა დაჯგუფებების საბრძოლო ეფექტიანობას; არასტრუქტურული ინფორმაციის დამუშავების სისტემები, რომლებიც აფასებენ სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის გავლენას სამხედრო ტექნიკის დიზაინზე, ტესტირებაზე, წარმოებასა და ექსპლუატაციაზე.

უახლოეს წლებში სამხედრო სფეროში AI-ის დანერგვის ძირითადი მიზნები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: 1. სადაზვერვო და ოპერატიული მონაცემების დამუშავებისა და ინტეგრაციის სისტემები, მათ შორის აკუსტიკური, ოპტიკური და ელექტრონული კლასიფიკაცია, აგრეთვე სამიზნეების იდენტიფიკაცია; 2. რობოტული, პილოტირებული და შერეული ჯგუფების მართვის სისტემები, რომლებიც გამოიყენება დაზვერვის, დარტყმითი ოპერაციების, მხარდაჭერისა და კოსმოსური სისტემების განვითარებისთვის; 3. ოპტიმალური დამიზნების სისტემები, რომლებიც ეყრდნობა მონიტორინგის შესახებ სადაზვერვო მონაცემებს და საკუთარი ძალებისა და საშუალებების შესაძლებლობების შეფასებას.

უახლოეს მომავალში ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მიმართულებად შეიძლება იქცეს უპილოტო საფრენი აპარატების გუნდური მართვა. ასობით დრონის კოორდინირებულმა მოქმედებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს ტანკების, საჰაერო თავდაცვის სისტემების, ავიაციის, წყალქვეშა ნავებისა და ზედაპირული ხომალდების გამოყენების ეფექტიანობა (Burenok 2016).

კვანტური კომპიუტერების განვითარებასთან ერთად, გამოთვლითი ოპერაციების სიჩქარისა და მოცულობის ზრდამ შეიძლება AI-ის გამოყენება შესაძლებელი გახადოს ახალი ტიპის იარაღის, მასალების, კონსტრუქციებისა და სამხედრო სტრატეგიების შემუშავებაშიც.

ამგვარი ტექნოლოგიების ერთ-ერთი მოსალოდნელი შედეგია მოწინააღმდეგის სამხედრო და ინფრასტრუქტურული დაზიანების სისტემებზე ზემოქმედების შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვან რისკებს ქმნის სამხედრო დაზვერვისა და სამრეწველო შპიონაჟის მიმართულებით.

AI-ის მაღალი პოტენციალის გათვალისწინებით, წამყვანი სახელმწიფოები აქტიურად ერთვებიან ახალ ტექნოლოგიურ შეჯიბრებაში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამოირჩევიან შეერთებული შტატები და ჩინეთი, რომლებიც მნიშვნელოვან რესურსებს მიმართავენ სამხედრო AI-ის კვლევისა და განვითარებისთვის.

აშშ-ში AI-ის სამხედრო პოტენციალის კვლევაში მონაწილეობენ DARPA, AFOSR, ARL, ARI, ONR, ეროვნული ლაბორატორიები, ანალიტიკური ცენტრები და უნივერსიტეტები. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა Project Maven, რომელიც სამხედრო მონაცემების, განსაკუთრებით კი უპილოტო საფრენი აპარატების ვიდეომასალის ავტომატურ ანალიზს ემსახურება. AI-ის ერთობლივი ცენტრი შეიქმნა აშშ-ში სამხედრო უწყებების ძალისხმევით კოორდინაციისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

DARPA სამხედრო მიზნებისთვის ხელოვნური ინტელექტის ახალ თაობას ავითარებს. ამ სისტემებს უნდა შეეძლოს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, გარემოს ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება, წინა ქმედებების შედეგების დამახსოვრება და მიღებული გამოცდილების გამოყენება. ამ მოთხოვნებს უკავშირდება ე.წ. კონტრაგონომიის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც AI სისტემამ თავდასხმის პირობებში უნდა შეძლოს საფრთხის ამოცნობა, მეთოდების ანალიზი, მოწინააღმდეგის ტექნიკური საშუალებების შეფასება და ეფექტიანი წინააღმდეგობის გზების შერჩევა.

ინტელექტუალური კიბეროპერაციები, ონლაინ პროპაგანდა და კონტერპროპაგანდა ასევე მნიშვნელოვანი მიმართულებებია. AI-ს შეუძლია სოციალურ ქსელებში საინფორმაციო ტაქტიკის შერჩევა, ბოტების ამოცნობა, დეზინფორმაციული კამპანიების გამოვლენა და მათი ეფექტიანობის შეფასება (Burenok 2014).

AI-ის სამხედრო გამოყენება ნაწილობრივ ილუსტრირდება უპილოტო საპატრულო მანქანებითა და მაღალი სიზუსტის მართვადი საბრძოლო საშუალებებით. ასეთი ტექნოლოგიები ჯერ კიდევ არ არის სრულად ავტონომიური, მაგრამ ეტაპობრივად ამცირებს ადამიანის უშუალო კონტროლის საჭიროებას (Klare 2019; Laton 2017; Singer 2010).

სადავო რჩება კითხვა, სად უნდა გაივლოს ზღვარი ნახევრად ავტონომიურ და სრულად ავტონომიურ სისტემებს შორის. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მაღალი რეაქციის სიჩქარე და ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია ხშირად საჭიროებს ავტონომიის ზრდას, თუმცა ეს ზრდის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ადამიანის კონტროლის შენარჩუნების პრობლემებს (Lewis 2015; Select Committee on Artificial Intelligence 2018; Atabekov 2023; Chua 2020).

3. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სტატისტიკური მონაცემები (ცალკეული ქვეყნების გამოცდილება)

ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები და ემპირიული დაკვირვება, რომლებიც AI-ის სამხედრო გამოყენების მასშტაბსა და კონფლიქტებში მისი ინტეგრაციის დინამიკას აჩვენებს.

3.1. ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ)

თავდაცვის დეპარტამენტის ხელოვნურ ინტელექტზე დახარჯული თანხების წილი:

კონგრესის ბიუჯეტის ოფისის (CBO) შეფასებით, 2024 ფინანსურ წელს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტის 1%-ზე ნაკლები იყო პირდაპირ დაკავშირებული ხელოვნური ინტელექტის პროექტებთან, თუმცა ციფრულ და კვლევით პროგრამებში საერთო ინვესტიციები უფრო ფართოა (Congressional Budget Office 2024).

3.2. ჩინეთი

კონტრაქტების მასშტაბი: CSET-ის კვლევამ 2023 წლის იანვრიდან 2024 წლის დეკემბრამდე პერიოდში ჩინეთში თავდაცვის მიზნით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული 2,857 კონტრაქტის შესყიდვის შეტყობინება გამოავლინა, რაც სამოქალაქო და სამხედრო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის სწრაფ გაფართოებაზე მიუთითებს.

3.3. რუსეთი და უკრაინა (დრონებისა და „მართვადი“ საბრძოლო მასალის გამოყენების კომპონენტი)

დრონებისა და „მართვადი საბრძოლო მასალის“ გამოყენება და რაოდენობა: ანალიტიკური ანგარიშების თანახმად, 2022-დან 2024 წლამდე გაშვებული Shahed/Geran ტიპის და სხვა მართვადი დრონების/მართვადი საბრძოლო მასალის რაოდენობა ათასობით იყო (შეფასებები 2024 წლის დასაწყისისთვის რამდენიმე ათასი გაშვების შესახება), რაც საბრძოლო ოპერაციებში შედარებით იაფი ავტონომიური და ნახევრად ავტონომიური სისტემების ფართოდ ინტეგრაციაზე მიუთითებს.

დრონების წარმოება უკრაინაში: საჯარო ანგარიშები მიუთითებს უპილოტო საფრენი აპარატების წარმოების მკვეთრ ზრდაზე, წარმოების შეფასებით ყოველწლიურად ასობით ათასიდან მილიონამდე ერთეული წარმოების სიმძლავრის მობილიზაციის პიკზე (სხვადასხვა წყაროები მიუთითებენ ~1 მილიონიდან რამდენიმე მილიონ ერთეულამდე წელიწადში 2024–2025 წლებში).

3.4. ისრაელი

ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება: როგორც ამბობენ, ისრაელის სამხედროებმა გამოიყენეს სისტემები, რომლებიც სწრაფად აანალიზებდნენ ათიათასობით პოტენციურ სამიზნეს (ერთ დოკუმენტირებულ შემთხვევაში კონფლიქტის დროს დაახლოებით 37 000 იდენტიფიცირებული პოტენციური სამიზნე იყო მოხსენიებული), რაც ხაზს უსვამს ოპერატიული დაგეგმვისას ავტომატიზებული ანალიტიკისა და მონაცემთა დამუშავების მასშტაბებს.

3.5. გაერთიანებული სამეფო

ინვესტიციები და სტრატეგია: ხარჯების მიმოხილვის ფარგლებში, გაერთიანებულმა სამეფომ გამოაცხადა თავდაცვის ტექნოლოგიებში (მათ შორის ხელოვნურ ინტელექტსა და დრონებში) ინვესტიციების გაზრდის გეგმები. საზღვაო და სახმელეთო ძალებისთვის ინდივიდუალური მოდერნიზაციის პროგრამებისა და კონტრაქტების პაკეტების ფარგლებში რამდენიმე წლის განმავლობაში ასობით მილიონიდან მილიარდ ფუნტამდე თანხა იყო გამოყოფილი.

სტატისტიკური მონაცემების წყაროებად გამოყენებულია CBO-ის ანგარიშები, CSET-ის კვლევები ჩინეთის თავდაცვის კონტრაქტებზე, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში დრონების გამოყენების ანალიზი (TEAL Group, CSIS, Reuters), ასევე The Guardian-ის, AP-ის, RUSI-ისა და სხვა წყაროების ანგარიშები კონფლიქტებში ანალიტიკური სისტემების გამოყენებაზე.

ქვეყანა	წლები	ინდიკატორი/ციფრა	წყარო
ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ)	2024	<1% თავდაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტი ხელოვნური ინტელექტის პროექტებისთვის	CBO, 2024
ჩინეთი	2023-2024	2,857 ხელოვნური ინტელექტის თავდაცვის კონტრაქტი	CSET, 2024
რუსეთი	2022-2024	კონტროლირებადი დრონების/საბრძოლო მასალების რამდენიმე ათასი გაშვება	TEAL, CSIS ანალიტიკური ანგარიშები
უკრაინა	2024-2025	წელიწადში ასობით ათასი – მილიონი უპილოტო საფრენი აპარატის წარმოება	ღია ინდუსტრიული ანგარიშები
ისრაელი	2022-2024	ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ იდენტიფიცირებული ~37,000 პოტენციური სამიზნე	The Guardian, AP, RUSI
გაერთიანებული სამეფო	2023-2025	ასობით მილიონიდან მილიარდამდე ფუნტი ხელოვნური ინტელექტისა და თვითმფრინავების მრავალწლიანი პროგრამებში	UK Ministry of Defence Reports

ცხრილი 1. კონფლიქტურ სიტუაციებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითადი სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით.

4. ეთიკური და სამართლებრივი გამოწვევები

AI-ის სამხედრო გამოყენების ერთ-ერთი მთავარი სამართლებრივი და ეთიკური გამოწვევაა სამიზნეების სწორად იდენტიფიცირება და მეზობლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის გამიჯვნა. ამგვარი სისტემების გამოყენებამდე აუცილებელია შეფასდეს, რამდენად შეიძლება კონკრეტულმა იარაღმა ზიანი მიაყენოს მშვიდობიან მოსახლეობას და როგორ უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ICRC 2019). ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს AI-ის სამხედრო გამოყენების წესები და სტანდარტები. მათი ჩამოყალიბება რთულია, რადგან სისტემების ავტონომიის ხარისხი, გამოყენების გარემო, მონაცემთა ხარისხი და ოპერატორის ჩართულობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ეროვნული კანონმდებლობის დონეზე განსაკუთრებით აქტუალურია ლეტალური ავტონომიური იარაღის გამოყენების საკითხი, მათ შორის განსხვავება შეტევით და თავდაცვით სამხედრო AI-ს შორის (ICRC 2019). სამხედრო AI-ის სამართლებრივი რეგულირების პირველი წინაპირობა ერთიანი დეფინიციური აპარატის შექმნაა. სხვადასხვა ქვეყნის დოქტრინული და სამართლებრივი განმარტებები ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც ართულებს საერთაშორისო დონეზე საერთო მოთხოვნების ჩამოყალიბებას.

დეფინიციისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა ხარისხით შეუძლია სისტემას გარემოს აღქმა, მონაცემების ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და ცვალებად ვითარებაზე რეაგირება. ავტონომიის დონეები შეიძლება მოიცავდეს ადამიანის პირდაპირ კონტროლს, ნაწილობრივ დელეგირებულ ფუნქციებს, დისტანციურ მიზნობრივ მითითებებს და სრულად ავტონომიურ მოქმედებას (Weiner 2005).

აშშ ავტონომიურ იარაღთა სისტემას (Autonomous Weapon System – AWS) განსაზღვრავს როგორც სისტემას, რომელსაც გააქტიურების შემდეგ შეუძლია სამიზნეების დამოუკიდებლად შერჩევა და ჩართვა ადამიანი ოპერატორის შემდგომი ჩარევის გარეშე. ეს განმარტება მოიცავს ისეთ სისტემებსაც, სადაც ადამიანს შეუძლია ზედამხედველობა და ფუნქციების შეჩერება, თუმცა აქცენტი სრულ ავტონომიაზე კეთდება (U.S. Department of Defense 2012).

შეერთებულ შტატებში სამხედრო AI-ის ავტონომიის დონეები მოიცავს ადამიანის კონტროლს, დელეგირებულ ფუნქციებს, ავტონომიური კონტროლის შესაძლებლობას და ადამიანის ჩარევისგან დამოუკიდებელ მოქმედებას. ბოლო დონე განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან ის გულისხმობს სისტემის მოქმედებას წინასწარ განსაზღვრული სამართლებრივი და სამხედრო ლოგიკის ფარგლებში (Galdorisi n.d.).

დიდი ბრიტანეთის მიდგომა ერთმანეთისგან განასხვავებს ავტომატურ და ავტონომიურ იარაღს. ავტომატური სისტემა მოქმედებს წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით და სენსორებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე უზრუნველყოფს პროგნოზირებად შედეგს. ავტონომიური სისტემა კი აღიქვამს გარემოს, არჩევს მოქმედების შესაძლო ვარიანტებს და მიზნის მისაღწევად იღებს გადაწყვეტილებებს ადამიანის უშუალო კონტროლის გარეშე; მისი საერთო ქცევა შეიძლება პროგნოზირებადი იყოს, თუმცა ცალკეული მოქმედებები – არა.

ევროკავშირის საერთო მიდგომა 2018 წელს ჩამოყალიბდა და ლეტალური AWS-ის სამხედრო გამოყენების მიმართ სიფრთხილეს გამოხატავდა. მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუცია სარეკომენდაციო ხასიათის იყო, შემდგომი ინიციატივები მიზნად ისახავდა წევრ სახელმწიფოებში სამართლებრივი სტატუსისა და რეგულირების საკითხების დაზუსტებას (European Parliament 2018; European Parliament SEDE 2019).

ნიდერლანდებში AWS განიხილება როგორც იარაღი, რომელიც ადამიანის ჩარევის გარეშე არჩევს და ანადგურებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით შესაბამის სამიზნეებს. ამ მიდგომაში ხაზგასმულია, რომ სისტემის განლაგების შემდეგ ადამიანის ჩარევის შესაძლებლობა შეიძლება არსებითად შეიზღუდოს (CCW/GGE 2017).

საფრანგეთის მიდგომით, სრულად ავტონომიური სისტემები გულისხმობს ადამიანის კონტროლის გამორიცხვას, მათ შორის საკომანდო პუნქტიდან მოქმედებების გამოსწორების შეუძლებლობას. ასეთ პლატფორმას შეუძლია გადაადგილება, გარემოსთან ადაპტაცია და სამიზნის შერჩევა ადამიანის ჩარევის გარეშე (UNIDIR 2017).

გერმანიის პოზიცია ლეტალური AWS-ის მიმართ უფრო შემზღუდავია. კონტროლირებადი დრონები შეიძლება დასაშვებ იარაღად ჩაითვალოს, ხოლო სრულად ავტონომიური სისტემების გამოყენება კვლავ უარყოფითად ფასდება. ამ მიდგომას უკავშირდება 2018 წლის პოლიტიკური განცხადებები და გერმანიის თავდაცვის დოკუმენტებში სამხედრო რობოტიკის შეზღუდული წარმოჩენა (Maas 2018; Assembly Services 2017; Federal Ministry of Defence n.d.).

გერმანულ დისკუსიაში ლეტალური AWS-ის განმარტება გულისხმობს იარაღის სისტემებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებისას მთლიანად გამორიცხავენ ადამიანურ ფაქტორს. ამავდროულად, სამხედრო დიგიტალიზაციისა და AI-ის გამოყენება დასაშვებად განიხილება, თუ იგი საერთაშორისო სამართალს შეესაბამება (Germany 2020).

ნატოს განმარტება ყურადღებას ამახვილებს სისტემაზე, რომელიც შეყვანილი მონაცემების საფუძველზე წინასწარ განსაზღვრულ წესებს მიჰყვება, მაგრამ ცოდნის, ცვალებადი პირობებისა და სიტუაციური ცნობიერების გათვალისწინებით შეუძლია ოპტიმალური, თუმცა პოტენციურად არა-პროგნოზირებადი მოქმედებების შერჩევა (NATO 2020).

ჩინეთმა ჟენევის კონფერენციაზე ლეტალური ავტონომიური სისტემების ხუთი ძირითადი მახასიათებელი გამოყოფა:

1. ლეტალობა – საკმარისი ტვირთამწეობა და ლეტალური ეფექტის მიყენების შესაძლებლობა;
2. ავტონომია – ადამიანის ჩარევისა და კონტროლის არარსებობა დავალების შესრულების პროცესში;
3. უკონტროლობა – გაშვების შემდეგ მონეობილობის იძულებით გათიშვის შეუძლებლობა;
4. განურჩევლობა – დავალების შესრულება სამიზნის, პირობებისა და სცენარის მიუხედავად;
5. ევოლუცია – მონეობილობის უნარი, გარემოსთან ურთიერთქმედების გზით ავტონომიურად ისწავლოს (China 2018).

ისრაელის პოზიციის თანახმად, ყველა სახის იარაღს, მათ შორის სამხედრო AI-ს, დღესაც ადამიანები იყენებენ და მომავალშიც ისინი განსაზღვრავენ ავტონომიის საზღვრებს (Yaron 2016).

ავტონომიური იარაღის ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული დისკუსია აქტუალურია გაეროს განიარაღების კვლევის ინსტიტუტისთვისაც. ტექნიკური თვალსაზრისით, სისტემა, რომელიც გან-

ლაგების შემდეგაც აგრძელებს სწავლას და მუდმივად იცვლება, აღარ არის ის სისტემა, რომელიც თავდაპირველად შემოიშენა. ეს აჩენს კანონიერების შეფასების კითხვებს, მათ შორის ჟენევის კონვენციების I დამატებითი პროტოკოლის 36-ე მუხლის კონტექსტში (UNIDIR 2017).

სხვადასხვა ქვეყანა უკვე იყენებს ნახევრად ავტონომიურ იარაღს, თუმცა, დეფინიციური აპარატი მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს საერთო ტერმინოლოგიისა და რეგულირების საჭიროებაზე (Russian Federation 2020).

ხელოვნური ინტელექტის ზოგადი განმარტება მოიცავს ტექნოლოგიურ გადანაცვლებას ერთობლიობას, რომელიც ადამიანის შემეცნებითი ფუნქციების მიბაძვას და მათთან შედარებადი შედეგების მიღებას უზრუნველყოფს. სამხედრო კონტექსტში ეს განმარტება ხშირად უკავშირდება ავტომატიზებულ მართვის სისტემებს (ACS), რომელთა მიზანია სამხედრო ფორმირებების მიერ საბრძოლო ამოცანების ეფექტიანად შესრულება და ოპერაციული მიზნების მიღწევა (Tyutyunnikov 2018). დეფინიციების, ავტონომიური იარაღის მახასიათებლებისა და რეგულირების საკითხები ფართოდ განიხილება სამართლებრივ და უსაფრთხოების კვლევებშიც.

სამხედრო AI-ის პრაქტიკული ფუნქციებიდან შეიძლება გამოიყოს გადანაცვლების მხარდაჭერის სისტემები, ციფრული ტყუპის პრინციპზე დაფუძნებული სწავლება და ჯარებისა და იარაღის მართვა. ამავდროულად, ACS-ის განვითარებასა და დანერგვაზე პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს კონკრეტული ხელმძღვანელი პირებისა და ინსტიტუტების დონეზე (Russian Ministry of Defence n.d.; Kommersant 2021).

ლეტალურ ავტონომიურ იარაღთან დაკავშირებული დეფინიციური და პრაქტიკული განსხვავებები ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. რეგულირებისათვის საკვანძოა AI-ის ავტონომიის ხარისხი, სისტემის გააქტიურების პირობები და პასუხისმგებლობის განაწილება მონაცემების შეყვანის, დამუშავების, ინტერპრეტაციისა და საბოლოო შედეგის გენერირების ეტაპებზე. სამხედრო AI-ის შეზღუდვა უნდა იყოს დაბალანსებული, რათა არ შეაფერხოს მისი უსაფრთხო სამოქალაქო გამოყენება.


5. ციფრული არმია: მომავლის ტექნოლოგიები

თანამედროვე ინტერნეტტექნოლოგიებმა ციფრული ტრანსფორმაცია განათლების, ეკონომიკის, კომუნიკაციისა და სხვა სფეროებთან ერთად თავდაცვის სექტორშიც დააჩქარა. შეიარაღებული ძალები სულ უფრო მეტად იყენებენ ქსელურ ინფრასტრუქტურას, მონაცემთა პლატფორმებსა და ჭკვიან მონაცემილობებს. ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის აქტუალობა ძირითადად ორი ფაქტორით განისაზღვრება: შეიარაღებული ძალების აღჭურვა საბრძოლო გამოყენების პერსპექტიული მაღალტექნოლოგიური მოდელებით და ქსელზე ორიენტირებული ომის კონცეფციის განხორციელებაში ტექნოლოგიურ მოწინააღმდეგეებთან კონკურენცია. ეს კონცეფცია გულისხმობს დროების, მაღალი სიზუსტის იარაღის, დაცული და მაღალი გამტარუნარიანობის საკომუნიკაციო არხებისა და ელექტრონული ომის სისტემების კოორდინირებულ გამოყენებას.

ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდება სამხედრო ჭკვიანი მონაცემილობების შესაძლებლობებიც. IoT მონაცემილობები სამხედრო საქმეში გამოიყენება, როგორც მონიტორინგის აღმოჩენისა და განადგურების რთული ამოცანებისთვის, ისე ცალკეული ჯარისკაცის ფიზიკური მდგომარეობის მონიტორინგისთვის.

ნივთების ინტერნეტის (IoT) სამხედრო გამოყენება შეიძლება მოიცავდეს ჯარების ლოგისტიკურ მხარდაჭერას, საბრძოლო მოქმედებების ადგილზე არსებული სიტუაციის მონიტორინგს სხვადასხვა დონის სამხედრო მოსამსახურეებისთვის (უფროსი სარდლობის თანამშრომლები, ქვედანაყოფის მეთაურები, ცალკეული ჯარისკაცები), სამედიცინო მხარდაჭერას (ბრძოლის ველზე და ნორმალურ სიტუაციებში), ვირტუალური რეალობის ტრენინგებისა და განათლების პროგრამებს სამხედრო მოსამსახურეებისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ტექნოლოგიური მიმართულება: ამერიკული IoT ტექნოლოგია, მრავალფუნქციური საჰაერო პლატფორმები და Android Tactical Assault Kit-ის მობილური აპლიკაცია.



სურათი 2. სამხედრო IoT-ის გამოყენება საჰაერო პლატფორმებსა და Tactical Assault Kit-ის გარემოში.

აშშ-ის არმია ერთ-ერთი ლიდერია IoT ტექნოლოგიების სამხედრო გამოყენებაში. წარმატებული ტესტები ჩატარდა მრავალფუნქციურ საჰაერო პლატფორმებზე, რომლებიც საბრძოლო „ჭკვიანი“ მონიტორებიდან და სხვა აღჭურვილობიდან დიდ მონაცემთა ნაკადებს იღებენ და გადასცემენ.

Tactical Assault Kit (ATAK) Android მობილური აპლიკაცია რეალურ დროში აგროვებს მონაცემებს და მათ რუკაზე ასახავს. საბრძოლო ზონაში იგი ამარტივებს კომუნიკაციას დამიზნების ჯგუფს, პილოტს, უპილოტო საფრენი აპარატის ოპერატორსა და სხვა მონაწილეებს შორის.

ამერიკული Nett Warrior სისტემა სმარტფონებისა და პლანშეტების შესაძლებლობებს საბრძოლო პირობებში იყენებს. Nett Warrior ზრდის ქვედანაყოფების სიტუაციურ ცნობიერებას და საშუალებას აძლევს მეთაურებს ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად გაცვალონ ინფორმაცია, რაც ოპერატიული გარემოს უკეთ შეფასებას უწყობს ხელს.




სურათი 3. ATAK/Nett Warrior-ის მობილური ინტერფეისი საბრძოლო პირობებში.



სურათი 4. ჯარისკაცის აღჭურვილობაში ინტეგრირებული ციფრული მოწყობილობები და სიტუაციური ცნობიერება.

GPS-ის გამოყენება შესაძლებელს ხდის ჯარისკაცების მდებარეობის რუკაზე მონიშვნას, მონაცემების ჩაფხუტზე დამაგრებულ ეკრანზე ჩვენებას და სამეთაურო ცენტრიდან განახლებული რუკებისა და სხვა ინფორმაციის მიღებას.

პენტაგონმა IoT-ის მილიტარიზაცია გააძლიერა ქსელზე ორიენტირებული ომისა და მრავალდომენიანი ბრძოლის თეორიების განვითარებით. ეს მიდგომა ითვალისწინებს სამხედრო ოპერაციების ახალ მოდელს, რომელშიც მონაწილეები ერთიან საინფორმაციო ქსელში არიან დაკავშირებული.



სურათი 5. ქსელზე ორიენტირებული და მრავალდომენიანი ოპერაციების ციფრული გარემო.



სურათი 6. ქსელზე ორიენტირებული საბრძოლო მოქმედებების საინფორმაციო არქიტექტურა.

6. დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ცვლის ომისა და სამხედრო დაპირისპირების ტრადიციულ გაგებას და ქმნის ჰიბრიდული საფრთხეების ახალ ფორმებს. სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმები, რომლებიც სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებში AI-ის გამოყენებას დაარეგულირებს, ეთიკურ სტანდარტებს განსაზღვრავს და უკონტროლო გამოყენების რისკებს შეამცირებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამხედრო AI-ის რეგულირებისათვის შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაციები: 1. საჭიროა სამხედრო მიზნებისთვის გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის მკაფიო განმარტება, ავტონომიის ხარისხის, პოტენციური ზიანის მასშტაბის, გამოყენების მიზნების, პროგრამული უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესებისთვის შესაძლო რისკების გათვალისწინებით; 2. მიზანშეწონილია განისაზღვროს ავტონომიური AI-ის გამოყენების დასაშვები ზღვარი და სამხედრო სფეროში მისი გააქტიურების პირობები; 3. საჭიროა უნივერსალური ნესების შემუშავება, რომლებიც ავტონომიური სისტემების სამხედრო გამოყენებისას წარმოშობილი სიტუაციების ერთგვაროვან ინტერპრეტაციას უზრუნველყოფს; 4. მნიშვნელოვანია არსებული სტანდარტების შევსება იმ პასუხისმგებლობის სფეროებით, რომლებიც სისტემის შემქმნელს, მომხმარებელსა და ადმინისტრატორს დაეკისრება მონაცემების შეყვანის, დამუშავების, ინტერპრეტაციისა და შედეგის გენერირების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Allen, Gregory C. 2020. Understanding AI Technology. Washington, DC: Center for a New American Security.
- Assembly Services. 2017. "Klare Regeln für Betrieb von Drohnen." <https://www.as-sembly-services.de/2017/10/01/klare-regeln-fuer-betrieb-von-drohnen/>.
- Atabekov, R. 2023. "The Use of Artificial Intelligence for Military Purposes: Issues of Theorization and Legal Regulation." <https://doi.org/10.24158/pep.2023.4.15>.
- Boulanin, Vincent, and Maaïke Verbruggen. 2017. Mapping the Development of Autonomy in Weapon Systems. Stockholm: SIPRI.

- Burenok, V. M. 2014. “Групповой текст. В Кремниевой долине готовят солдат информационной войны.” Военно-промышленный курьер, no. 42 (560), November 12.
- Burenok, V. M. 2016. “И грянет дрон. Роевой интеллект может обесценить эффективность самого современного оружия.” Военно-промышленный курьер, no. 42 (657), November 2.
- Center for Security and Emerging Technology (CSET). 2024. China’s Defense AI Contracting Activity 2023–2024. Washington, DC: Georgetown University.
- China. 2018. “Position Paper Submitted by China.” Geneva, April 9–13. <https://reachingcriticalwill.org/images/documents/Disarmament-fora/ccw/2018/gge/documents/GGE.1-WP7.pdf>.
- Chua, Chee Kai. 2020. Introduction to Rapid Prototyping of Biomaterials. <https://doi.org/10.1016/B978-0-08-102663-2.00001-0>.
- Congressional Budget Office (CBO). 2024. Military Spending on Artificial Intelligence Projects. Washington, DC: CBO. <https://www.cbo.gov/>.
- European Parliament. 2018. “Autonomous Weapon Systems.” Resolution of 12 September 2018 on Autonomous Weapon Systems (2018/2752(RSP)). <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52018IP0341&from=EN>.
- European Parliament, Subcommittee on Security and Defence (SEDE). 2019. SEDE Activity Report 2014–2019. <http://www.europarl.europa.eu/committees/en/sede/publications.html>.
- Federal Ministry of Defence. n.d. “Security Policy Documents – An Overview in Germany.” <https://www.bmvg.de/en/news/security-policy-documents-an-overview-5490932>.
- Galdorisi, George. n.d. “Designing Autonomous Systems for Warfighters: Keeping Humans in the Loop.” Small Wars Journal. <https://smallwarsjournal.com/index.php/jrnl/art/designing-autonomous-sys-tems-for-warfighters-keeping-humans-in-the-loop>.
- Germany. 2020. German Commentary on Operationalizing All Eleven Guiding Principles at a National Level. <https://documents.unoda.org/wp-content/uploads/2020/07/20200626-Germany.pdf>.
- Group of Governmental Experts on Lethal Autonomous Weapons Systems (CCW/GGE). 2017. “Examination of Various Dimensions of Emerging Technologies in the Area of Lethal Autonomous Weapons Systems.” CCW/GGE.1/2017/WP.2. <https://www.reachingcriticalwill.org/disarmament-fora/ccw/2017/laws/documents>.
- Human Rights Watch. 2012. Losing Humanity: The Case Against Killer Robots. New York: Human Rights Watch.
- International Committee of the Red Cross (ICRC). 2019. Autonomy, Artificial Intelligence, and Robotics: Technical Aspects of Human Control. Geneva: ICRC. <https://surli.cc/gwwwuwq>.
- Isaev, D. A., and S. N. Gromov. 2023. “Искусственный интеллект в современной военной стратегии.” Военная мысль.
- Klare, Michael T. 2019. “Autonomous Weapons Systems and the Laws of War.” Arms Control Today 49 (2): 6–12.
- Kommersant. 2021. “Войска отправятся в виртуальный мир.” December. <https://www.kommersant.ru/doc/5116316?tg>.
- Laton, D. 2017. “Manhattan_Project.exe: A Nuclear Option for the Digital Age.” Catholic University Journal of Law and Technology 25 (1): 1–61.
- Lewis, J. 2015. “The Case for Regulating Fully Autonomous Weapons.” Yale Law Journal 124: 1–17.
- Maas, Heiko. 2018. “Die Zukunft der nuklearen Ordnung – Herausforderungen für die Diplomatie.” Auswärtiges Amt. <https://www.auswaertiges-amt.de/de/news-room/maas-fes-tiergarten-konferenz/2112704>.
- Marchant, Gary E., Braden Allenby, Ronald C. Arkin, Jason Borenstein, Lin M. Gaudet, Orde Kittrie, Patrick Lin, George R. Lucas, Richard O’Meara, and Jared Silberman. 2015. “International Governance of Auton-

- omous Military Robots.” In *Handbook of Unmanned Aerial Vehicles*, 2879–2910. Dordrecht: Springer. https://doi.org/10.1007/978-90-481-9707-1_102.
- Morgenthau, Hans J. 1978. *Politics among Nations: The Struggle for Power and Peace*. New York: Alfred A. Knopf.
- NATO. 2020. AAP-06 Edition 2020: NATO Glossary of Terms and Definitions. [https://coemed.org/files/stanags/05_AAP/AAP-06_2020_EF_\(1\).pdf](https://coemed.org/files/stanags/05_AAP/AAP-06_2020_EF_(1).pdf).
- Russian Federation. 2020. “National Implementation of the Guiding Principles on Emerging Technologies in the Area of Lethal Autonomous Weapons Systems.” <https://documents.unoda.org/wp-content/uploads/2020/09/Ru-Commentaries-on-GGE-on-LAWS-guiding-principles1.pdf>.
- Russian Ministry of Defence. n.d. “Искусственный интеллект в военном деле.” *Энциклопедия Министерства обороны Российской Федерации*. https://encyclopedia.mil.ru/encyclopedia/dictionary/details_rvsn.htm?id=13200@morfDictionary.
- Russian Ministry of Defence. n.d. “Автоматическая система управления войсками и оружием (АСУ В и О).” https://xn--d1abichglj9dyd8a.xn--90anlfbebar6i.xn--p1ai/encyclopedia/dictionary/details_rvsn.htm.
- Scharre, Paul. 2018. *Army of None: Autonomous Weapons and the Future of War*. New York: W. W. Norton.
- Select Committee on Artificial Intelligence. 2018. *AI in the UK: Ready, Willing and Able?* London: Parliament. uk. <https://publications.parliament.uk/pa/ld201719/ldselect/ldai/100/10001.htm>.
- Singer, P. W. 2010. “War of the Machines.” *Scientific American* 303 (1): 56–63.
- Sisson, Melanie, Joshua Spindel, Paul Scharre, and V. Kozyulin. 2019. *The Militarization of Artificial Intelligence*. New York.
- TEAL Group / CSIS. 2024. *Analysis of Drone Usage in Russia-Ukraine Conflict 2022–2024*. Washington, DC: CSIS.
- The Guardian / Associated Press / RUSI. 2024. *Israel’s AI-Assisted Military Targeting: Data Analysis Reports*.
- Toscano, Christopher P. n.d. “Friend of Humans: An Argument for Developing Autonomous Weapons Systems.” *Journal of National Security*. <https://surl.li/takefj>.
- Тютюнный, N. N., ed. 2018. *Военная мысль в терминах и определениях*. Vol. 3, Информатизация вооруженных сил. Moscow.
- U.S. Department of Defense. 2012. *Autonomy in Weapon Systems*. Directive 3000.09. Washington, DC: Department of Defense. <https://cryptome.org/dodi/dodd-3000-09.pdf>.
- U.S. Department of Defense. 2023. *AI Strategy Summary*. Washington, DC: Department of Defense.
- UK Ministry of Defence. 2023–2025. *Defence Technology Investment Reports*. London: Ministry of Defence.
- United Nations Institute for Disarmament Research (UNIDIR). 2017. *The Weaponization of Increasingly Autonomous Technologies: Concerns, Characteristics and Definitional Approaches*. Geneva: UNIDIR. <https://unidir.org/publication/weaponization-increasingly-autonomous-technologies-concerns-characteristics-and>.
- Weiner, Tim. 2005. “A New Model Army Soldier Rolls Closer to the Battlefield.” *The New York Times*, February 16. <https://www.nytimes.com/2005/02/16/technology/new-model-army-soldierrolls-closer-to-battle.html>.
- Yaron, Meir. 2016. “Statement on Lethal Autonomous Weapons Systems (LAWS).” [https://docs-library.unoda.org/Convention_on_Certain_Conventional_Weapons_-_Infor-mal_Meeting_of_Experts_\(2016\)/2016_LAWS_MX_GeneralDebate_Statements_Israel.pdf](https://docs-library.unoda.org/Convention_on_Certain_Conventional_Weapons_-_Infor-mal_Meeting_of_Experts_(2016)/2016_LAWS_MX_GeneralDebate_Statements_Israel.pdf).

ხელოვნური ინტელექტის გავლენა სტუდენტურ ნაშრომებზე: ეთიკური პრინციპების დაცვისა და ტექსტის გაუმჯობესების კონტექსტი

თამარ ჩოკორაია

ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი

ხატია ჯანგაძე

მონვეული ლექტორი, კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატია ეძღვნება ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოების გავლენის კვლევას სტუდენტურ ნაშრომებზე აკადემიური ეთიკის დაცვისა და ტექსტის ხარისხის გაუმჯობესების კონტექსტში. კვლევის მიზანია დადგინდეს, როგორ აღიქვამენ სტუდენტები აღნიშნულ ტექნოლოგიებს, როგორ იყენებენ მათ აკადემიური წერის სხვადასხვა ეტაპზე და რამდენად აცნობიერებენ ეთიკური გამოყენების პრინციპებს, მათ შორის პლაგიატთან, ავტორობასთან და ტექსტის გენერაციის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიით და მოიცავდა კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს. მონაცემები შეგროვდა სტანდარტიზებული ონლაინ კითხვარის მეშვეობით და გაანალიზდა აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით. შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტთა უმრავლესობა აქტიურად იყენებს ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოებს, ძირითადად იდეების გენერირების, წყაროების მოძიებისა და ტექსტის სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით. ამავ დროს, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები თეორიულად აცნობიერებენ, რომ AI-ის მიერ გენერირებული ტექსტის საკუთრად წარმოდგენა პლაგიატია, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობს საკმარის პრაქტიკულ ცოდნას ხელოვნური ინტელექტის სწორად დამონებისა და ეთიკური გამოყენების წესების შესახებ.

კვლევის შედეგები ნაწილობრივ ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ ეთიკური გამოყენების პირობებში გენერაციული ხელსაწყოები ხელს უწყობს ტექსტის სტრუქტურულ სიზუსტეს, ლექსიკურ მრავალფეროვნებასა და წერის პროცესის გამარტივებას. ამასთან, გამოიკვეთა კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური ავტონომიის შენარჩუნების აუცილებლობა. დასკვნაში ხაზგასმულია, რომ ხელოვნური ინტელექტის აკრძალვა ეფექტური სტრატეგია ვერ იქნება; აუცილებელია მისი ინტეგრირება აკადემიური წერის კურსებში AI წიგნიერების განვითარების, მკაფიო ეთიკური რეგულაციების ჩამოყალიბებისა და კრიტიკულ-ანალიტიკური დავალებების დანერგვის გზით.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; აკადემიური წერა; სტუდენტური ნაშრომები; აკადემიური კეთილსინდისიერება; AI წიგნიერება.

THE IMPACT OF ARTIFICIAL INTELLIGENCE ON STUDENT PAPERS: THE CONTEXT OF ADHERENCE TO ETHICAL PRINCIPLES AND TEXT ENHANCEMENT

Tamar Chokoraia,

Associate Professor, Caucasus University

Khatia Jangavadze

Invited Lecturer, Caucasus University

Abstract

This article examines the impact of generative artificial intelligence tools on student papers in the context of academic integrity and text quality improvement. The study aims to determine how students perceive these technologies, how they use them at different stages of academic writing, and to what extent they understand the principles of ethical use, including issues related to plagiarism, authorship, and transparency of AI-generated text.

The research was conducted using a quantitative methodology and involved undergraduate, graduate, and doctoral students of Caucasus University. Data were collected through a standardized online questionnaire and analyzed using descriptive statistics. The findings show that the majority of students actively use AI tools, primarily for idea generation, source searching, and improvement of text structure. At the same time, although students theoretically recognize that presenting AI-generated text as their own constitutes plagiarism, a significant number lack practical knowledge of how to cite AI properly and use it ethically.

The findings partially confirm the hypothesis that, under conditions of ethical use, generative tools contribute to structural accuracy, lexical diversity, and a more efficient writing process. However, the study also highlights the need to preserve critical thinking and academic autonomy. The conclusion emphasizes that banning artificial intelligence is not an effective strategy; instead, AI should be integrated into academic writing courses through the development of AI literacy, clear ethical guidelines, and critical-analytical assignments.

Keywords: Artificial intelligence; academic writing; student papers; academic integrity; AI literacy.

1. შესავალი

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა აკადემიური წერისა და ტექსტის გაუმჯობესების შესაძლებლობა. ამ ინსტრუმენტების დახმარებით ძალიან სწრაფად შეგვიძლია იდეების გენერირება, საკვლევ საკითხის შერჩევა, სათაურის ფორმირება, წყაროების მოძიება და სამუშაო ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. თუმცა, ამ ეფექტურ და სწრაფ საშუალებებს თან ახლავს არსებითი გამოწვევებიც, რაც, პირველ რიგში, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის მაღალი რისკია. აღნიშნულმა ხელსაწყოებმა რადიკალურად შეცვალა აკადემიური წერის პროცესი და მისი ალქმა. ChatGPT-ის, Claude AI-ის, Gemini-ის, Grammarly-ის და მსგავსი პლატფორმების მასობრივი გავრცელება ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს ქმნის. აღნიშნული ტექნოლოგიები, ერთი მხრივ, მძლავრი სასწავლო რესურსებია, მეორე მხრივ, წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს აკადემიური კეთილსინდისიერებისათვის.

საკითხის აქტუალურობა განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით. უპირველეს

ყოვლისა, სტუდენტები სულ უფრო მეტად მიმართავენ ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოებს აკადემიური დავალებების შესრულების პროცესში, თუმცა მათი გამოყენების ეთიკური და მეთოდოლოგიური ასპექტები სათანადოდ არ აქვთ გააზრებული. კვლევის მნიშვნელობა გაიზარდა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ტექნოლოგიები უკვე აქტიურადაა ინტეგრირებული სამუშაო გარემოში და მომავალ პროფესიონალებს მოეთხოვებათ ამ ხელსაწყოების დახმარებით ეთიკური და ეფექტური მუშაობის უნარი. შესაბამისად, აკადემიურმა დანესებულებებმა აუცილებლად უნდა შეიმუშაონ მკაფიო სტრატეგია ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების სასწავლო პროცესში ეთიკური გამოყენებისა და ინტეგრაციის მიზნით. ამ კონტექსტში განსაკუთრებულად აქტუალურია სტუდენტების დამოკიდებულებისა და გამოცდილების შესწავლა. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები კავკასიის უნივერსიტეტში აკადემიური წერის სწავლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რათა ხელი შეეწყოს ტექნოლოგიების ეთიკურ გამოყენებასა და კეთილსინდისიერი აკადემიური კულტურის ფორმირებას.

კვლევის მიზანია ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოების გავლენის შესწავლა სტუდენტურ ნაშრომებზე, ეთიკური გამოყენებისა და აკადემიური ტექსტის გაუმჯობესების კონტექსტში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია სტუდენტთა დამოკიდებულების შეფასება: 1. თუ როგორ აღიქვამენ ისინი ხელოვნური ინტელექტის გენერაციულ ხელსაწყოებს: როგორც სასწავლო პროცესის მხარდაჭერ რესურსს, თუ – როგორც ეთიკურ რისკს. 2. გამოყენების პრაქტიკის განსაზღვრა: რა ეტაპებზე იყენებენ ისინი გენერაციულ ხელსაწყოებს აკადემიური წერის პროცესში (იდეის დაგეგმვა, სტრუქტურირება, ენის რედაქტირება, ტექსტის გენერირება და ა.შ.). 3. მათი ეთიკური ცნობიერების დონის შეფასება: რა იცნან სტუდენტებმა და რა დამოკიდებულება აქვთ ეთიკური პრინციპების მიმართ, მათ შორის პლაგიატთან, ავტორობასა და ტექსტის გენერაციის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. 4. ტექსტის ხარისხზე ამ ხელსაწყოების გავლენის ანალიზი: მიიჩნევენ თუ არა სტუდენტები, რომ გენერაციული ხელსაწყოები აუმჯობესებს მათი ტექსტების: სტრუქტურას, ლექსიკურ მრავალფეროვნებასა და აკადემიურ სტილს. 5. პლაგიატის რისკების იდენტიფიცირება: არსებობენ თუ არა სტუდენტები, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ ენდობიან გენერირებულ ტექსტებს და იყენებ თუ არა მათ, როგორც საკუთარ ნაშრომებს, რაც, შესაძლოა, პლაგიატის პრაქტიკად შეფასდეს. 6. ასევე, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს სასწავლო პროცესში მხარდაჭერის საჭიროებები: განისაზღვროს, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს აკადემიური წერის სწავლების მეთოდოლოგია, რათა სტუდენტებში წახალისოს ხელოვნური ინტელექტის ეთიკური და პროდუქტიული გამოყენება, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება განათლების ხარისხზე.

ვვარაუდობთ, რომ სტუდენტური ნაშრომების მომზადების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოების გამოყენება, აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით, ხელს უწყობს ტექსტის ხარისხის გაუმჯობესებას – კერძოდ, სტრუქტურული სიზუსტის, ლექსიკური მრავალფეროვნებისა და საერთო წერის უნარების განვითარების თვალსაზრისით.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

დიდი ხანია, რაც აკადემიური წერა გამოწვევაა სტუდენტებისათვის. ის მრავალი წელია მსოფლიოს დიდ ნაწილში სასწავლო კურიკულუმის ნაწილია. აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლება ამერიკულ საუნივერსიტეტო ტრადიციიდან იღებს სათავეს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან, როდესაც უმაღლესი განათლება მასობრივი გახდა და ზეპირი გამოცდები და რიტორიკა წერილობითმა გამოცდებმა ჩაანაცვლა. 1970 წლებიდან კი იწყება WAC (Writing Across the Curriculum) მოძრაობა, რომლის თანახმადაც წერას აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია ყველა დისციპლინაში (Bazerman and Little 2005). ევროპულ ტრადიციაში აკადემიური წერის კურსებს არ ჰქონდა ინსტიტუციური სახე, წერა განიხილებოდა მხოლოდ აზროვნების გაგრძელებად. აკადემიური წერის კურსების სისტემური სწავლება და აკადემიური წერის ცენტრები 1980-2000-იანი წლებიდან იღებს სათავეს ამერიკული WAC მოდელის გავლენით (Kruse 2013). ქართულ აკადემიურ სივრცეში აკადემიური წერის კურსი ბოლონიის პროცესის თანმხლები მოვლენაა. სისტემური და საყოველთაო ხასიათი მან დაახლოე-

ბით 2017 წლიდან მიიღო, როდესაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პლაგიატის პრევენციის საკითხებზე და ქართულ აკადემიურ სივრცეში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტი განხორციელდა („აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებითვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)“ – 2017-2020 წწ). ამ პროცესს ასევე ხელი შეუწყო უმაღლესი დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებში პლაგიატის პრევენციის საკითხების გამოკვეთამ. საერთაშორისო პროექტმა განაპირობა აკადემიური წერის კურსების სილაბუსების განვითარება და შეცვლა. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა გავრცელებამ სრულიად ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა მთელი მსოფლიოს აკადემიური სივრცე და განათლების სექტორი. თუ სხვა სფეროებში ხელოვნურმა ინტელექტმა გაამარტივა წერის პროცესი, აკადემიურ სივრცეში ის მნიშვნელოვანი გამოწვევა გახდა, განსაკუთრებით – აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ორიგინალობის თვალსაზრისით.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, აკადემიური წერის მრავალწლიანი ტრადიცია სახეს იცვლის და ის გარდაქმნება ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის ერთობლივი შრომის პროცესად. არაერთი კვლევა აჩვენებს, ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოები აუმჯობესებს ტექსტებს სხვადასხვა თვალსაზრისით: იდეების გენერირების, სტრუქტურისა და გრამატიკის (ეს უკანასკნელი – ინგლისური ენის შემთხვევაში). ადგილობრივ ენებზე ეს ხელსაწყოები ამ მიმართულებით სათანადოდ ვერ მუშაობს, თუმცა არამშობლიურად მოსაუბრეთათვის ინგლისურის გაუმჯობესების საკმაოდ ეფექტური საშუალებაა. ამის მაგალითია ინდონეზიის სამ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევა, რომელმაც გამოავლინა ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების დადებითი გავლენა ინგლისურის, როგორც უცხო ენის შესწავლის პროცესში და ასევე ინგლისურად დაწერილი ტექსტების გაუმჯობესებისას. მასწავლებლებმა თვისებრივ ინტერვიუებში აღნიშნეს, რომ ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენებისას, როგორებიცაა Quillbot, WordTune, Jenni, ChatGPT, Paperpal, Copy.ai, გაუმჯობესდა სტუდენტთა ნამუშევრების შინაარსი და სტრუქტურა (Marzuki et al. 2023, 1). ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის სწავლებისა და სწავლის პროცესში განსაკუთრებულად იზრდება ამ ხელსაწყოების როლი. აღნიშნული ინსტრუმენტები მასწავლებლებსა და სტუდენტებს უზოგავს დროს და შესაძლებელს ხდის გაამარტივოს სხვადასხვა სახის დავალების შესრულება. შეუძლია: გრამატიკასთან დაკავშირებული საკითხების შემოწმება, ესეს სტრუქტურის შემუშავება, მრავალფეროვანი რესურსების მოწოდება ენის უკეთ შესასწავლად, მყისიერი უკუკავშირი და დახმარება, რაც აუმჯობესებს სტუდენტთა წერით უნარებს (Marzuki et al. 2023, 2). ასევე, აადვილებს წყაროების რეზიუმირებას, თარგმნას, პრეზენტაციის მომზადებას, ტექსტის ადაპტირებასა და სხვა (Krajka and Olszak 2024, 126). ხელოვნური ინსტრუმენტების გამოყენება ამრავალფეროვნებს სტუდენტთა სასწავლო გარემოს და ხელს უწყობს მათი აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას. თუმცა, როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, მაღალი რისკია ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებზე ზედმეტი დამოკიდებულებისა და კრიტიკული აზროვნების შემცირებისა (Marzuki et al. 2023, 15).

როგორც არაერთ სამეცნიერო სტატიაშია აღნიშნული, ხელოვნური ინტელექტი აკადემიური წერისა და კვლევის პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდა და მას უკვე აქტიურად მიმართავენ.

ხელოვნური ინტელექტის მასობრივმა ხასიათმა კიდევ უფრო გაამძაფრა წინააღმდეგობა პროდუქტიულობის სურვილს, ორიგინალობასა და კრიტიკულ აზროვნებას შორის. დადებითად არის აღიარებული მისი როლი სამეცნიერო კვლევებში; კერძოდ, ChatGPT-ის მსგავს ინსტრუმენტებს შეუძლია შექმნას ლიტერატურის მიმოხილვისა და კვლევის მეთოდების თავები, სამეცნიერო სტატიის წერის პროცესში გასწიოს ასისტენტობა. იდეალურ შემთხვევაში, ეს მეცნიერს საშუალებას მისცემდა კონცენტრირებული ყოფილიყო ინოვაციური იდეის მოფიქრებასა და რთული პრობლემის გადაჭრის გზებზე. თუმცა, რეალობა განსხვავებულია (Miao et al. 2023, 91). ხშირად მეცნიერებს სიტყვასიტყვით გადმოაქვთ ხელოვნური ინტელექტის გენერირებული ტექსტი და საკუთარ ნაწერად წარმოაჩენენ, რასაც ხშირად რეცენზირებისას ვერ ავლენენ. ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ტექსტები აღმოჩენილია რეცენზირებად ჟურნალებში, საგრანტო განაცხადებებში, სამაგისტრო ნაშრომებში, სტუდენტთა დავალებებში (Miao et al. 2023, 91). კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ ChatGPT-4 სტატიის შესავალს ადამიანის მსგავსად წერს, მაგრამ წყაროების დამოწმებისას აქვს შეცდომები,

მათ შორის ხშირია გამოგონილი წყაროების დამონშების ტენდენცია. განსაკუთრებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს მედიცინის სფეროში, სადაც წყაროების სიზუსტე უმნიშვნელოვანესია (Miao et al. 2023, 91). ხელოვნური ინტელექტის გენერირებული ტექსტების გამოყენების ზრდამ განაპირობა ჟურნალებისა და გამომცემლობების მხრიდან გამარტივებული მოთხოვნები: შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, თუმცა აუცილებელია ამის შესახებ ტექსტში აღნიშვნა. მიუხედავად ChatGPT-ის შთამბეჭდავი შესაძლებლობებისა, აუცილებელია მისი მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტად გამოყენება, ინფორმაციისა და წყაროების გადამონშება-დაზუსტება. ავტორები ასევე მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ამ ინსტრუმენტების შესაძლებლობებისა და შეზღუდვების და სამომავლო განვითარების პერსპექტივის შესწავლა (Miao et al. 2023, 91).

წერის პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების დადებითი როლი არაერთ კვლევაშია აღნიშნული: იდეების გენერირების, წყაროების მოძიების მიმართულებით, თუმცა ხაზს უსვამენ ორიგინალობის, კრიტიკული აზროვნებისა და ეთიკური გამონევენების რისკებსა და ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების სწავლების აუცილებლობას (Rodriguez 2025). ამ ეტაპზე მკვლევრებისათვის გამოსავალი ხელოვნური ინტელექტის დაბალანსებულ გამოყენებაშია. მისი დახმარებით წერა არ უნდა გახდეს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობისა და კვლევის ეთიკაზე უარის თქმის საფუძველი (Malik et al. 2023). ხელოვნური ინტელექტის დადებით როლს აღნიშნავენ სხვა ავტორებიც, განსაკუთრებით ტექსტების სტრუქტურული გამართულობის თვალსაზრისით, თუმცა კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის კუთხით ხაზს უსვამენ არსებულ გამოწვევებს. რამდენადაც ეს ხელსაწყოები დამატებითი საშუალებაა ტექსტის გაუმჯობესებისთვის, ის ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ სტუდენტებს აღარ განეუვითაროთ აკადემიური უნარები (Vasylyshyna 2025). გენერაციული ხელსაწყოების გამოყენებისას მნიშვნელოვანია ეთიკურობის დაცვა, ავტორის ინტელექტუალური ავტონომიის დაცვა და ადამიანის კრიტიკული ჩართულობა (Michalak and Ellixson 2025, 376). ხელოვნური ინტელექტის მზარდი გამოყენების პირობებში ექსპერტები გამოსავლად მიიჩნევენ შემდეგს: უნივერსიტეტებმა უნდა განიხილონ ამ ხელსაწყოების პოტენციური და რისკები, მიიღონ ზომები მათი ეთიკური გამოყენების უზრუნველსაყოფად, რაშიც იგულისხმება პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგისა და მხარდაჭერი სერვისების შეთავაზება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენისა და პრევენციის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ (Cotton et al. 2023).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვეთილია ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების დადებითი როლი სტუდენტთა ნაწერების განვითარების პროცესში: იდეების გენერირების, სტრუქტურის, წყაროების მოძიების, ინგლისურ ენაზე ტექსტის შესწორების თვალსაზრისით. ასევე აღნიშნულია ამ ხელსაწყოების ეთიკური გამოყენების აუცილებლობა, აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის რისკი და მონიტორინგის სირთულე. თუმცა ნაკლებად არის შესწავლილი ამ ხელსაწყოების როლი არაინგლისურენოვანი ტექსტების შექმნის პროცესში.

3. მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს აღწერით-რაოდენობრივ კვლევას, რომლის მიზანია კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოების გამოყენების პრაქტიკის, ეთიკური ცნობიერებისა და დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის დიზაინი ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდოლოგიას. ის გულისხმობს სტანდარტიზებული კითხვარის გამოყენებით მონაცემთა შეგროვებასა და მიღებული შედეგების აღწერითი სტატისტიკის საშუალებით ანალიზს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მონაცემთა სტრუქტურირებულ თავმოყრას და კვლევის საგანთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციების გამოვლენას.

მონაწილეთა შერჩევას საფუძვლად დაედო მიზნობრივი შერჩევის პრინციპი, რათა წარმოდგენილი ყოფილიყო უნივერსიტეტის ყველა ძირითადი აკადემიური საფეხური – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. შერჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტთა სწავლების ეტაპი და კვლევის თემასთან მათი კავშირი. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ონლაინ ანკეტის მეშ-

ვეობით, რომელიც შეიქმნა და გავრცელდა Google Forms პლატფორმის გამოყენებით. აღნიშნული ინსტრუმენტი უზრუნველყოფს კითხვარის სტანდარტიზაციას, რესპონდენტთა ანონიმურობასა და მონაცემთა ელექტრონულად შეგროვებას, რაც ზრდის კვლევის ორგანიზებულობასა და სანდოობას. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა Google Forms-ის საშუალებით მიღებული მონაცემების დამუშავებით Microsoft Excel-ის პროგრამაში. ანალიზის პროცესში გამოყენებულია აღწერითი სტატისტიკის მეთოდები, მათ შორის სიხშირეები, პროცენტული განაწილება და საშუალო მაჩვენებლები. აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას იძლევა გამოიკვეთოს კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ძირითადი ტენდენციები და სტუდენტთა დამოკიდებულებების საერთო სურათი.

კვლევას გააჩნია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომელიც გავლენას ახდენს შედეგების განზოგადების შესაძლებლობაზე. კვლევა განხორციელდა მხოლოდ ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების – კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით, რაც ზღუდავს მიღებული შედეგების გავრცელებას სხვა უნივერსიტეტებზე ან ფართო აკადემიურ გარემოზე. გარდა ამისა, კვლევა ეფუძნება მხოლოდ რაოდენობრივ მიდგომას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდი იძლევა ზოგადი ტენდენციების იდენტიფიცირების შესაძლებლობას, თვისებრივი კვლევის ჩართვა შესაძლებელს გახდიდა მონაწილეთა გამოცდილებისა და დამოკიდებულებების უფრო სიღრმისეულ ანალიზს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება მნიშვნელოვანია შედეგების შეფასებისა და მომავალი კვლევების დაგეგმვის პროცესში.

კვლევა განხორციელდა ეთიკური სტანდარტების სრული დაცვით. ყველა მონაწილეს გაეგზავნა დეტალური ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ. უზრუნველყოფილი იყო კონფიდენციალურობა და ანონიმურობა. მონაცემები შეინახება და გამოიყენება მხოლოდ კვლევისა და შიდა ანალიზისათვის.

4. კვლევის შედეგების ანალიზი

მოცემული კვლევა ეფუძნება სტუდენტთა მიერ გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკას, მოლოდინსა და ეთიკური ცნობიერების განსაზღვრას. წარმოდგენილ ანალიზში განხილულია კვლევის შედეგები, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებზე, თუმცა მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებმაც (მაგისტრანტები – 10,8%, დოქტორანტები – 1,7%, ბაკალავრები – 87,5%). კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა 18-21 წლისაა (მონაწილეობა მიიღეს 37 წლის ასაკის ჩათვლით). უმრავლესობა წარმოადგენს მდედრობით სქესს: 72,5% – ქალი, 27,5% – კაცი. ყველაზე მეტი სტუდენტი მეორე სემესტრშია (44,2%) (I სემესტრი – 16,7%, III სემესტრი – 12,5%, IV სემესტრი ან მეტი – 26,7%). ასაკისა და სემესტრის მითითება კვლევისთვის რამდენიმე მიზეზით იყო მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, გვსურდა შეგვესწავლა სტუდენტთა სხვადასხვა კატეგორია – მათ შორის ისინი, ვისაც აკადემიური წერა უკვე ჰქონდა გავლილი და ისინი, ვისაც ეს საგანი ჯერ კიდევ არ უსწავლიათ. ამ გზით შეგვეძლო გაგვეჩვენა, რამდენად იცავდნენ სტუდენტები უნივერსიტეტის პოლიტიკას ხელოვნური ინტელექტისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ და იყენებდნენ თუ არა მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში. გარდა ამისა, გვაინტერესებდა, რამდენად მიაღწებდნენ უპირატესობას ხელოვნურ ინტელექტს აკადემიური წერის უნარების განვითარებასთან შედარებით. ასევე, გვინდოდა გაგვეჩვენა, როგორ განსხვავდებოდა გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ხედვა სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებში, რათა კვლევის შედეგები საგნის სწავლების პროცესში გაგვეთვალისწინებინა.

4.1. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკა აკადემიურ ნაშრომებთან მიმართებით

განალიზებული მასალის მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ბაკალავრიატის საფეხურისაა (87,5%), მცირე ნაწილს შეადგენენ – მაგისტრანტები (10,8%) და დოქტორანტები (1,7%). საგულისხმოა, რომ ბაკალავრიატის სტუდენტებს აკადემიური წერის გამოცდილება, კვლევის თანახმად, საკმაოდ მცირე აქვთ: მხოლოდ 52,5%-ს აქვს 1-2 ნაშრომი, ხოლო 15%-ს საერთოდ არ აღმოაჩნდა

წერის გამოცდილება. გამოკითხულთა მხოლოდ 32% მიუთითებს მეტ ნაშრომზე, რაც უმთავრესად მაღალი კურსის ან სამაგისტრო/სადოქტორო საფეხურის სტუდენტებზე მოდის. კრიტიკული კუთხით, ეს მონაცემი აჩენს კითხვას, რამდენად შეუძლია კვლევას ასახოს ხელოვნური ინტელექტის გავლენა წერის უნარების რეალურ განვითარებაზე, მათ შორის, ვისაც ჯერ კიდევ მწირი გამოცდილება აქვს. ხშირ შემთხვევაში, შემცირებული პრაქტიკა შესაძლებელია ზემოქმედებდეს როგორც ამ ინსტრუმენტებზე დამოკიდებულების დონეზე, ისე ამ ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენების უნარზე.

4.2. გენერაციული AI-ის გამოყენების პრაქტიკა და სიხშირე აკადემიური ნაშრომის მომზადებისას

კვლევის მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ აკადემიური ნაშრომების მომზადებისას სტუდენტთა 79,2% იყენებს AI-ს, რაც ნათლად ასახავს აღნიშნული ტექნოლოგიების ფართო გავრცელებას. 20,8% აღნიშნავს, რომ ამ ინსტრუმენტებით არ სარგებლობს. გამოყენების სიხშირის მიხედვით: სტუდენტთა 38,3% იყენებს ზოგჯერ, 25% – იშვიათად, 24,2% – ხშირად, 12,5% – ყველა ნაშრომის მომზადების პროცესში. გამოყენებული პლატფორმების მიხედვით ჭარბობს ChatGPT – 81,7%, დანარჩენი პლატფორმები (Grammarly, Quillbot და სხვ.) ნაკლებადაა გამოყენებული. ყველაზე ხშირად სტუდენტები აღნიშნულ პლატფორმებს იყენებენ წყაროების მოძიების მიზნით – 30%, 27,5% იდეების გენერირებისათვის, თარგმნისა (13,3%) და ტექსტის რედაქტირების პროცესში (13,3%). სტუდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მონიშნა კვლევის კითხვარში ჩამოთვლილი ყველა პასუხი.

აღსანიშნავია, რომ უმრავლესობა გენერირებულ ტექსტს თვითონვე არედაქტირებს (76,7%). მიუხედავად ამისა, ყოველთვის არ არის გარანტირებული, რომ რედაქტირება მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს, მით უმეტეს, როცა აკადემიური წერის გამოცდილება დაბალია. ეს შესაძლოა, მიანიშნებდეს სტუდენტთა მცდელობაზე, დაიცვან ეთიკის მოთხოვნები.

4.3. ლექტორთა დამოკიდებულების კვლევა

AI-ის მიმართ ლექტორთა დამოკიდებულების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობა დაბალია ან – გაურკვეველი: 38,3%-ისათვის უცნობია მისი პოზიცია, 25% აღნიშნავს, რომ ლექტორები ეწინააღმდეგებიან, ხოლო 31,7% ადასტურებს მხარდამჭერ დამოკიდებულებას. კვლევა ასახავს, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა AI-ის ეთიკური დანერგვის საკითხში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა განხორციელდა 2025 წლის გაზაფხულზე, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების საკითხი აკადემიური წერის კურსში ინტეგრირებული.

4.4. ეთიკური ცნობიერება და პლაგიატის რისკი

სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ AI-ის მიერ გენერირებული ტექსტის, როგორც საკუთარის გადმოტანა არაეთიკურია (74,2%), თუმცა გამოკითხულთა შორის 3,3% აღიარებს, რომ არაეთიკურობის განცდა არ აქვს. კვლევის ამ ეტაპზე აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უმრავლესობამ არც იცის როგორ დაიმოწმოს ან გამოიყენოს AI ტექსტში ისე, რომ არ დაარღვიოს ეთიკისა და პლაგიატის ნორმები. ამას ადასტურებს კვლევის ის ნაწილი, სადაც სტუდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი აღიარებს, რომ არ იცის როგორ დაიმოწმოს AI წყარო. 16,2%-მა საერთოდ არ იცის, 28,7%-მა თითქმის არ იცის, 24,2%-მა იცის, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არ არის, ხოლო მხოლოდ 23,3% იძლევა სრულად თავდაჯერებულ პასუხს. 79,2% აღნიშნავს, კვლევის პროცესში AI-ის გამოყენების შემთხვევაში, მაინც ცდილობს დიდი წილი საკუთარი შრომის შედეგი იყოს, ვიდრე AI-ის გენერირებული ტექსტის, თუმცა ზემოთ წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეს პასუხი არადაამაჯერებელია პროცენტულად. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის შემოდგომის სემესტრიდან აკადემიური წერის კურსში დაემატა ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების საკითხები.

64,2% თვლის, რომ AI კარგი საშუალებაა წერიტი უნარების განვითარების გზაზე და არა პირიქით,

ადამიანის ჩამნაცვლებელი. აქვე აღსანიშნავია 8,3% – 3,3% მიიჩნევს, რომ შესაძლებელია ის იყოს სრულიად ჩამნაცვლებელი. დანარჩენები (11,7%-12,5%) თვლიან, რომ შეიძლება წერიტი უნარების ჩამოყალიბებისთვის მისი გამოყენება. წარმოდგენილი მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ სტუდენტების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ აქვს გააზრებული ეთიკური ნორმების გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ, რაც ზრდის პლაგიატის რისკს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მიუხედავად პოზიტიური დამოკიდებულებისა, სტუდენტთა ნაწილი (8,3%-დან 3,3%-მდე) მაინც ფიქრობს, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა, მთლიანად ჩაანაცვლოს ადამიანი წერიტი უნარების ნაწილში. ეს ასახავს როგორც ტექნოლოგიური ნდობის გადაჭარბებას, ისე აკადემიური ინდივიდუალურობის დათმობის რისკებს. ასეთი დამოკიდებულება თანამედროვე აკადემიურ გარემოში სერიოზულ გამოწვევად რჩება.

ღია შეკითხვების ანალიზი ცხადყოფს, რომ სტუდენტები AI-ს ძირითადად დამხმარე როლში განიხილავენ, მაგრამ აქტიურად განასხვავებენ ტექსტის პირდაპირ გენერირებას, ინსპირაციას, სტრუქტურის ან თარგმნისათვის გამოყენებას. ეს მეტყველებს გარკვეულ თვითრეგულაციაზე, თუმცა მრავლადაა სარისკო მიდგომაც – „ვიყენებ, იმიტომ რომ უფრო მარტივია“ ეს ხაზს უსვამს პოტენციური ეთიკური ცოდნის დეფიციტსაც. კვლევით დასტურდება, რომ სტუდენტებს ფსიქოლოგიურ კომფორტს მატებს AI, როგორც ტექნიკური დამხმარე, თუმცა ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების ნაკლებობა ზედაპირზე ტოვებს არაეთიკური გამოყენების შიშს და იწვევს დაბნეულობას აკადემიური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

ღია კითხვებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სტუდენტების დიდ ნაწილს ესმის ამ ხელსაწყოების ეთიკურად გამოყენების საზღვრები: იდეების გენერირება, სტრუქტურის აწყობა, გრამატიკული და სტილისტიკური რედაქტირება, თარგმნა, წყაროების მოძიება, რჩევების მიღება. არაეთიკურად კი მიაჩნიათ: ტექსტის სრული გენერაცია AI-ის მიერ და მისი საკუთრად მითვისება, უნიკალური წვლილის გარეშე ნაშრომის მითვისება, პირდაპირი პლაგიატი. ხელოვნური ინტელექტის არაეთიკური გამოყენების გამონეგვასთან დაკავშირებით, ისინი მიიჩნევენ რომ მეტად უნდა შეფასდეს ინდივიდუალური (მაგალითად, ზეპირი, აუდიტორიაში შესრულებული, ანალიტიკური ან პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული) დავალებები. სტუდენტთა ნაწილი თვლის, რომ კლასში შესრულებული ან ინტერაქციულ-სადისკუსიო სამუშაო უკეთ ამოიცნობს მათ რეალურ უნარებს. ასევე, აღნიშნავენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უშუალოდ ტექნოლოგიებთან კავშირში ისწავლებოდეს საგანი. მათი აზრით, AI-ის აკრძალვის ნაცვლად უმჯობესი იქნება, წახალისდეს მისი ეთიკურად გამოყენება, მკაფიოდ განისაზღვროს წესები და სათანადოდ მიენდოთ მათ შესაბამისი ნორმები. დავალებების ამ გამონეგვების საპასუხოდ, დავალებების ფორმატის ცვლილებისა და ადგილზე ცოდნის შემოწმების მიზნით, აკადემიური წერის კურსში დავალებების ნაწილი სრულდება აუდიტორიებში, ხოლო შუალედური და ფინალური გამოცდები საგამოცდო ცენტრში, ნაცვლად წინა წლების პრაქტიკისა, როდესაც ნაშრომები იტვირთებოდა Moodle-ის პლატფორმაში და მოწმდებოდა Turnitin-ის პროგრამაში. სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია პლაგიატის ამოცნობ პროგრამაში მათთვისაც იყოს ხელმისაწვდომი გენერირებული ტექსტის გადამოწმება (ე.წ. ხელოვნური ინტელექტის დეტექცია).

შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტებს სჭირდებათ მეტი ინფორმაცია და განათლება AI-ის ეთიკური გამოყენების შესახებ. აკრძალვის ნაცვლად, ეფექტური იქნება მკაფიო წესების ჩამოყალიბება და მისი ხელმისაწვდომობა ლექტორთა/მენტორთა მხრიდან. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური წერის სწავლების პროცესში გათვალისწინებული იყოს ტექნოლოგიების როლი და გამოწვევები, რათა სტუდენტებმა შეძლონ AI-ის გამოყენება პასუხისმგებლობითა და ეთიკური სტანდარტების დაცვით.

5. კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია

მოცემული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოები ინტეგრირებულია სტუდენტთა ყოველდღიურობაში. მათი 79,2% იყენებს AI-ს აკადემიური ნაშრომების მომზადების პროცესში, რაც მიუთითებს აღნიშნული საკითხის ნორმალიზებაზე. მონაცემები თანხვედრაშია საერთაშორისო ტენდენციებთან, სადაც გენერაციული AI აკადემიური წერის პროცესის თანმდევ ინსტრუმენტად ყალიბდება (Cotton et al. 2023; Malik et al. 2023). გამ-

ოყენების ფუნქციური ანალიზი აჩვენებს, რომ სტუდენტები AI-ს ძირითადად მიმართავენ იდეების გენერირებისა და წყაროების მოძიების მიზნით, ნაკლებად – ტექსტის სრული გენერაციისათვის. ეს შედეგი ეხმიანება Marzuki et al. (2023) და Krajka and Olszak (2024) კვლევებს, სადაც ხაზგასმულია ხელოვნური ინტელექტის დადებითი როლი სტრუქტურის, შინაარსის ორგანიზებისა და ენობრივი გაუმჯობესების პროცესში, განსაკუთრებით უცხო ენაზე წერის პროცესში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვანი ტექსტების შემთხვევაში გენერაციული ხელსაწყოების ეფექტიანობა ჯერ კიდევ საჭიროებს დამატებით კვლევას.

კვლევამ ჰიპოთეზა ნაწილობრივ დაადასტურა. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ ეთიკური გამოყენების პირობებში ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს ტექსტის სტრუქტურულ გამართულობას, ლექსიკურ მრავალფეროვნებასა და წერის პროცესის გამარტივებას. თუმცა ეს აღქმა ეფუძნება სუბიექტურ შეფასებას და არა ტექსტების ობიექტურ ხარისხობრივ ანალიზს, რაც მომავალში დამატებით კვლევას საჭიროებს. ეთიკური ცნობიერების კუთხით გამოვლინდა მნიშვნელოვანი დისონანსი. ერთი მხრივ, 74,2% მიიჩნევს, რომ AI-ის მიერ გენერირებული ტექსტის საკუთრად მითვისება არაეთიკურია, რაც მიუთითებს ნორმატიული ჩარჩოს გააზრებაზე. მეორე მხრივ, სტუდენტთა დიდი ნაწილი არ ფლობს ცოდნას, თუ როგორ უნდა დაიმონმოს AI ან როგორ გამოიყენოს იგი აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გარეშე. ეს შედეგი სრულად შეესაბამება Miao et al. (2023) და Michalak and Ellixson (2025) პოზიციას, რომ AI-ის სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ეთიკური რეგულაციების პრაქტიკულ დანერგვასა და განათლებას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სტუდენტთა მცირე ნაწილი AI-ს განიხილავს, როგორც წერიტი უნარების პოტენციურ ჩამნაცვლებელს. აღნიშნული მიდგომა ეხმიანება Marzuki et al. (2023) მიერ გამოკვეთილ რისკს – კრიტიკული აზროვნების შემცირებისა და ზედმეტი დამოკიდებულების საფრთხედ აღქმის შესახებ. მიუხედავად ამისა, ღია პასუხების ანალიზი აჩვენებს თვითრეგულაციის ნიშნებს: სტუდენტები ეთიკურად მიიჩნევენ იდეების გენერირებასა და რედაქტირებას, ხოლო სრულ ტექსტის გენერაციას – არაეთიკურად. ეს მიუთითებს, რომ ეთიკური ცნობიერება ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და საჭიროებს ინსტიტუციურ გაძლიერებას.

კვლევის შედეგები ფსიქოლოგიური ასპექტითაც საინტერესოა. გამოიკვეთა, რომ AI ამცირებს შფოთვისა და ზრდის ნაშრომის შესრულების კომფორტს. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლოა დადებითად აისახოს სტუდენტთა აქტივობაზე, თუმცა პარალელურად შეიძლება გაზარდოს „მარტივი გზის“ არჩევის ცდუნებაც. სწორედ აქ იკვეთება ბალანსის აუცილებლობა ტექნოლოგიურ მხარდაჭერასა და აკადემიურ ავტონომიას შორის (Vasylyshyna, 2025; Rodriguez, 2025).

ამრიგად, კვლევის შედეგები ადასტურებს საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოკვეთილ ორმხრივ ტენდენციას: ერთი მხრივ, ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს როგორც ტექსტის გაუმჯობესების ძლიერ რესურსს, მეორე მხრივ – ეთიკური და საგანმანათლებლო გამოწვევების წყაროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართულ აკადემიურ სივრცეში მსგავსი ემპირიული მონაცემები ჯერ კიდევ მწირია, რაც კვლევას დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს.

6. დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოები უკვე მასობრივად არის ინტეგრირებული სტუდენტურ აკადემიურ პრაქტიკაში. სტუდენტთა უმრავლესობა ამ ინსტრუმენტებს დამხმარე საშუალებად მოიაზრებს, განსაკუთრებით იდეების გენერირების, ტექსტის სტრუქტურისა და წყაროების მოძიების თვალსაზრისით. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტებს თეორიულად გააზრებული აქვთ ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების ეთიკური გამოყენების აუცილებლობა, თუმცა წერით პრაქტიკაში კვლავ ხშირია შეგნებული თუ გაუცნობიერებელი გადაცდომები, რაც ხაზს უსვამს საუნივერსიტეტო ერთიანი პოლიტიკის აუცილებლობასა და ხელოვნური ინტელექტის ნიგნიერების სწავლების მნიშვნელობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულენოვანი ტექსტების კონტექსტი. საერთაშორისო კვლევების დიდი ნაწილი ორიენტირებულია ინგლისურენოვან გარემოზე, მაშინ, როცა ქართულ აკა-

დემიურ სივრცეში ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების ეფექტიანობის, ენობრივი სიზუსტისა და სტილისტიკური ადეკვატურობის შესახებ მონაცემები ჯერ კიდევ მწირია. შესაბამისად, აუცილებელია ქართული აკადემიური ტექსტების ხარისხზე AI-ის რეალური გავლენის დამატებითი კვლევა – როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი და კრიტიკული აზროვნების განვითარების ქრილ-ში. დღევანდელ რეალობაში ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოების აკრძალვა ან უგულებელყოფა ვერ იქნება გამოსავალი, მნიშვნელოვანია ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების სწავლება ყველა ეტაპზე და ეთიკური გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

რეკომენდაციების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ: უმნიშვნელოვანესია ხელოვნური ინტელექტის წიგნიერების ინტეგრირება აკადემიური წერის კურსში; AI-ის ხელსაწყოების გამოყენების პირობებში აუცილებელია თავად დავალებების არსობრივი ცვლილება; ტრადიციული დავალებების ავტომატური გენერირების ნაცვლად, უმჯობესია ანალიტიკური, პრობლემაზე ორიენტირებული და პირად პოზიციაზე დაფუძნებული დავალებების შექმნა. შესაბამისად, სასურველია დავალებები ორიენტირებული იყოს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე; მაგალითად, სტუდენტებმა გააანალიზონ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტი, გამოავლინონ ლოგიკური თუ ფაქტობრივი ხარვეზები, შეადარონ იგი აკადემიურ წყაროებს, გადაამოწმონ მითითებული მონაცემები და წარმოადგინონ არგუმენტირებული შეფასება. ასეთ შემთხვევაში AI ხდება არა პასუხის წყარო, არამედ ანალიზის ობიექტი. ასევე მნიშვნელოვანია ქართულენოვანი გენერირებული ტექსტების ლინგვისტური და სტილისტიკური კვლევა. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქართულ ენაზე გენერირებულ ტექსტებში ხშირია ტერმინოლოგიურად და სტილისტიკურად გაუმართავი ტექსტები. ამ შეზღუდვების მეცნიერული ანალიზი და თვალსაჩინოდ წარმოჩენა სტუდენტებს დაეხმარება რეალისტურად შეაფასონ ინსტრუმენტის შესაძლებლობები.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bazerman, Charles, and David Little. 2005. *Writing Across the Curriculum: A Reference Guide for Teachers*. West Lafayette, IN: Parlor Press.
- Cotton, Debby R. E., Peter A. Cotton, and J. Reuben Shipway. 2023. "Chatting and Cheating: Ensuring Academic Integrity in the Era of ChatGPT." *Innovations in Education and Teaching International* 61: 228–239. <https://doi.org/10.1080/14703297.2023.2190148>.
- Krajka, Jarosław, and Izabela Olszak. 2024. "Artificial Intelligence Tools in Academic Writing Instruction: Exploring the Potential of On-Demand AI Assistance in the Writing Process." *Roczniki Humanistyczne* 72 (6). <https://doi.org/10.18290/rh247206.8>.
- Kruse, Otto. 2013. "Perspectives on Academic Writing in European Higher Education: Genres, Practices, and Competences / Perspectivas sobre la escritura académica en la educación superior europea: Géneros, prácticas y competencias." *Revista de Docencia Universitaria* 11 (1). <https://doi.org/10.4995/redu.2013.5591>.
- Malik, Abdul Rohman, Yuni Pratiwi, Kusubakti Andajani, I Wayan Numertayasa, Sri Suharti, Andi Darwis, and Marzuki. 2023. "Exploring Artificial Intelligence in an Academic Essay: Higher Education Student's Perspective." *International Journal of Educational Research Open* 6: 100296. <https://doi.org/10.1016/j.ijedro.2023.100296>.
- Marzuki, Utami Widiati, Dadi Rusdin, Darwin, and Indrawati. 2023. "The Impact of AI Writing Tools on the Content and Organization of Students' Writing: EFL Teachers' Perspective." *Cogent Education* 10 (1): Article 2236469. <https://doi.org/10.1080/2331186X.2023.2236469>.
- Miao, Jing, Charat Thongprayoon, Supawadee Suppadungsuk, Oscar A. Garcia Valencia, Fawad Qureshi, and Wisit Cheungpasitporn. 2023. "Ethical Dilemmas in Using AI for Academic Writing and an Example Framework for Peer Review in Nephrology Academia: A Narrative Review." *Clinics and Practice* 14 (1): 89–105. <https://doi.org/10.3390/clinpract14010008>.

- Michalak, Renee, and Diana Ellixson. 2025. "Fostering Ethical AI Integration in First-Year Writing: A Case Study on Human-Tool Collaboration in Artificial Intelligence Literacy." *Journal of Library Administration* 65 (3): 361–377. <https://doi.org/10.1080/01930826.2025.2468136>.
- Rodriguez, J. J. N. 2025. "Academic Writing in the Age of Artificial Intelligence: A Study on Efficiency and Authenticity in Higher Education." College of Arts and Sciences, Nueva Ecija University of Science and Technology. <https://doi.org/10.62225/2583049X.2025.5.4.4844>.
- Vasylyshyna, N. 2025. "Artificial Intelligence Usage in Students' Academic Writing: On the Example of the Thesis of the Jurisprudence Section from the Collection of Works." *Artificial Intelligence*, no. 3. <https://doi.org/10.15407/jai2025.03.023>.

ხელოვნური ინტელექტი (AI) მოდის დიზაინის განათლებაში: ახალი პარადიგმა

ნინო მგალობლიშვილი

კულტურის კვლევების დოქტორი, პროფესორი,
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის შესაძლებლობები მოდის დიზაინის განათლებაში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო (თსს) აკადემიის საპილოტე საგანმანათლებლო-შემოქმედებითი პროექტის „Off/Script“ მაგალითზე. კვლევა ეფუძნება Design Thinking-ის ჩარჩოს და შერეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომლის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს სამოქმედო კვლევა, ხოლო დამხმარე მეთოდებად გამოიყენება ექსპერიმენტული სწავლება, პედაგოგიური დაკვირვება და სტუდენტთა დიზაინერული ნამუშევრების ანალიზი. ნაშრომი აჩვენებს, რომ AI ინსტრუმენტები, მათ შორის ChatGPT, Resleeve, Getimg და Adobe Photoshop, ხელს უწყობს იდეების გენერირებას, ვიზუალური კონცეფციების სწრაფ პროტოტიპირებას და სტუდენტთა შემოქმედებითი პროცესის დინამიზაციას. ამავე დროს, კვლევა ხაზს უსვამს, რომ ხელოვნური ინტელექტი ვერ ცვლის დიზაინერული აზროვნების ფუნდამენტურ კომპონენტებს, როგორცაა ადამიანური გამოცდილება, ინტუიცია, კონტექსტუალური შეფასება და საბოლოო შემოქმედებითი გადანაცვეტილება.

ნაშრომში ასევე განხილულია AI-ის გამოყენებასთან დაკავშირებული ეთიკური, პედაგოგიური და ტექნოლოგიური რისკები. დასკვნით ნაწილში არგუმენტირებულია, რომ AI-ის ინტეგრაცია მოდის დიზაინის განათლებაში მიზანშეწონილია მხოლოდ მკაფიო პედაგოგიური ჩარჩოს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და მენტორული ზედამხედველობის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; მოდის დიზაინის განათლება; Design Thinking; გენერაციული AI; სამოქმედო კვლევა.

ARTIFICIAL INTELLIGENCE (AI) IN FASHION DESIGN EDUCATION: NEW PARADIGMS

Nino Mgaloblishvili

Doctor of Cultural Studies, Professor,
Tbilisi Apollon Kutateladze State Academy of Arts

Abstract

The article examines the possibilities of integrating artificial intelligence into fashion design education through the example of the pilot educational and creative project “Off/Script” implemented at the TSSA Academy. The study is grounded in the Design Thinking framework and uses a mixed methodological approach centred on action research, supported by experimental teaching, pedagogical observation and the analysis of students’ design works. The paper shows that AI tools, including ChatGPT, Resleeve, Getimg and Adobe Photoshop, support idea generation, accelerate the prototyping of visual concepts and make the creative learning process more dynamic. At the same time, the study emphasizes that artificial intelligence does not replace the fundamental components of design thinking, such as human experience, intuition, contextual judgement and final creative decision-making.

The article also discusses ethical, pedagogical and technological risks associated with the use of AI. The conclusion argues that the integration of AI into fashion design education is appropriate only within a clearly defined pedagogical framework, with respect for academic integrity and under mentor supervision.

Keywords: artificial intelligence; fashion design education; Design Thinking; generative AI; action research.

1. შესავალი

განათლების სფერო სხვადასხვა ტემპებით ითვისებდა ტექნოლოგიებს, თუმცა იგი მკვეთრად არ შეცვლილა გასული საუკუნის 60-70-იან წლებშიც, კომპიუტერების გამოჩენის შემდეგაც კი. მას შემდეგ სამყარო შეიცვალა. მეცნიერების სწრაფი განვითარება, ცოდნისა და ინფორმაციის მასშტაბური ზრდა ქმნის მოთხოვნას ახალი საგანმანათლებლო პარადიგმის ჩამოყალიბებაზე. უმაღლესი განათლების სასწავლო პროცესი თანამედროვე რეალობაში უშუალოდ ექვემდებარება მუდმივად ცვალებად გარემოს და მაღალი გაურკვევლობის ფაქტორს. ამ პროცესში სასწავლო ფორმატების გარდაქმნა აუცილებელია. საჭიროა ახალი სტრატეგია, რომელიც ადაპტირებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებთან და ეფექტურად იმოქმედებს განათლებაში – უზრუნველყოფს თანამედროვე ტენდენციებთან შესაბამისობას, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას და ბაზარზე გაყვანას. ერთ-ერთ ასეთ ინოვაციურ ტექნოლოგიურ გარღვევად მიიჩნევა ხელოვნური ინტელექტი (Artificial Intelligence, AI).

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის სისტემების ინტეგრაცია განვითარების საწყის ეტაპზეა. მისი თეორიული და პრაქტიკული კვლევა ჯერჯერობით ფრაგმენტულია და ძირითადად რეტროსპექტულ ხასიათს ატარებს. მართალია, კერძო სექტორში უკვე გვხვდება წარმატებული AI-ის გამოყენების მაგალითები, თუმცა მასობრივი კომერციული დანერგვა ჯერ არ განხორციელებულა (Eristavi and Davituri 2021). ხელოვნური ინტელექტის შეღწევადობა განათლების სფეროშიც დაბალია, მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი პოტენციალისა გააუმჯობესოს სასწავლო პროცესი პერსონალიზებული და ინკლუზიური განათლების საშუალებით. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ AI-ის გამოყენება საჭიროებს ეთიკურ და პასუხისმგებლიან მიდგომებს, რაც ხაზგასმულია სასკოლო ტექნოლოგიების ასოციაცია CoSN-ის 2024 წლის ანგარიშშიც (CoSN 2025).

პრობლემის აქტუალობა განისაზღვრებოდა კითხვებით, რომლებზეც პასუხები თქვენი აკადემიის მოდის დიზაინის მიმართულებით ორგანიზებულ საპილოტე საგანმანათლებლო-შემოქმედებით პროექტში “Off/Script” ვეძებთ (8 თებერვალი, 2024, <https://www.facebook.com/Tbilisiartacademy/posts/-offscript/792282346270886/>). პროექტი განხორციელდა საერთაშორისო ორგანიზაციის Off/Script გლობალურ პლატფორმაზე, რომელიც მხარს უჭერს საერთაშორისო დიზაინ-განათლების უმაღლესი სკოლების სტუდენტებს, წარმოაჩინონ და გადააქციონ თავისი ნამუშევრები კომერციულ პროდუქტად (<https://thehub.io/about>). კვლევის ძირითადი კითხვებია: 1. რას მოიცავს „ხელოვნური ინტელექტი და განათლება“ და რა არის მისი პოტენციური სარგებელი; 2. როგორ შეიძლება AI ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში და რა გავლენას ახდენს იგი სწავლების შინაარსსა და მეთოდოლოგიაზე; 3. რა უნარები იმოქმედებს სტუდენტებზე და უნდა შეიზღუდოს თუ წახალისდეს AI-ს გამოყენება სასწავლო პრაქტიკაში. აღნიშნული საკითხები შეესაბამება კვლევის მიზანს, რომელიც არ მოიცავს ხელოვნური ინტელექტის საინჟინრო და მათემატიკური მოდელების ანალიზს. კვლევის მთავარი მიზანია სწავლების შინაარსისა და მეთოდების გარდაქმნა თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოში, რათა დააკმაყოფილოს 21-ე საუკუნის მოთხოვნები.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ხელოვნური ინტელექტის შესახებ მრავალი კვლევა არსებობს, არ არსებობს მისი კვლევის ერთიანი კონცეპტუალური ხედვა და საერთო მეთოდოლოგია. ამიტომ აღნიშნული კვლევის პროცესში შესაძლებელი გახდა პრობლემის ლოგიკური გააზრების საკუთარი მოქნილი მიდგომების განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება პრობლემის სირთულეს და მრავალმხრივობას.

კვლევაში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: კომპიუტერული სწავლება, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო წყაროების ანალიზი, მონაცემთა გაფართოება (არგუმენტაციისთვის), სამოქმედო კვლევა (action research) – სამეთოდო კომბინაციით, რომელიც მოიცავს დემონსტრაციას, იდეათა შთაგონებას, დებატებს და ა.შ.; ინსტიტუციური მიდგომა – მონაწილეთა გამართიანებელი მთავარი მიზნის განსაზღვრა კონკრეტული ტიპის საქმიანობაში; ექსპერიმენტული მეთოდი – AI ტექნოლოგიების გამოყენებით ინოვაციური დიზაინების შემუშავება, სოციალურ-კულტურული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ტექნოლოგიები ვითარდება საზოგადოების სოციალურ-კულტურული დინამიკისა და ფაქტორების გავლენით და ა.შ. კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომლის ძირითად ღერძს წარმოადგენს სამოქმედო კვლევა (action research), ხოლო დამხმარე მეთოდებად გამოიყენება ექსპერიმენტული სწავლება, აქტიური სწავლების პრინციპები და AI-ზე დაფუძნებული კომპიუტერული სწავლების ელემენტები. აღნიშნული მიდგომები შეირჩა კვლევის მიზნიდან გამომდინარე, რომელსაც წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის პროცესის შესწავლა, დაკვირვება და შეფასება მოდის დიზაინის საგანმანათლებლო პრაქტიკაში, საქართველოს კონტექსტში.

გამოყენებულია ელექტრონული ბაზები ResearchGate, Google Scholar და ScienceDirect, აქცენტი გაკეთდა 2018-2021 წლებში გამოქვეყნებულ შესაბამის სამეცნიერო სტატიებზე და კონფერენციების მასალებზე.

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი იყო სტუდენტის აქტიური, დამოუკიდებელი სწავლების წახალისება და პედაგოგის როლის გარდაქმნა მენტორისა და შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილედ. პრიორიტეტული იყო ინფორმაციული რეპროდუქციული სწავლების აქტიურად ჩანაცვლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით, როდესაც სტუდენტი არა მხოლოდ მზა ცოდნას ითვისებს და რეპროდუქცირებს, არამედ აწყდება სამეცნიერო წინააღმდეგობებს და ცდილობს მათ დამოუკიდებლად გადაჭრას.

2. თეორიული ჩარჩო: Design Thinking (დიზაინ-აზროვნება) და ხელოვნური ინტელექტი

წარმოდგენილი კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება Design Thinking-ის კონცეფციას (Simon 1996), როგორც პრობლემაზე ორიენტირებულ, მომხმარებელზე ფოკუსირებულ და იტერაციულ პროცესს, რომელიც ეფექტურად გამოიყენება დიზაინის განათლებაში. Design Thinking განიხილე-

ბა არა როგორც მხოლოდ დიზაინერული მეთოდი, არამედ როგორც კოგნიტიური და პედაგოგიური ჩარჩო, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებში შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებას.

Design Thinking-ის პროცესის ძირითადი ეტაპები - ემპათია, პრობლემის განსაზღვრა, იდეების გენერირება, პროტოტიპირება და ტესტირება ორგანულად უკავშირდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (**Problem-Based Learning**) პრინციპებს, სადაც ცოდნის მიღება ხდება რეალური ამოცანების გადაჭრის გზით. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით რელევანტურია დიზაინის განათლებისთვის, სადაც სწავლება მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან.

კვლევის ფარგლებში ხელოვნური ინტელექტი ინტეგრირებულია **Design Thinking**-ის პროცესში, როგორც შემოქმედებითი და ანალიტიკური მხარდაჭერი ინსტრუმენტი. **AI** განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა იდეების გენერირების (**Ideation**) და პროტოტიპირების ეტაპებზე, სადაც იგი უზრუნველყოფდა ალტერნატიული ვიზუალური და კონცეპტუალური ვარიანტების სწრაფ შექმნას, რაც აფართოებდა სტუდენტთა შემოქმედებით სივრცეს და აჩქარებდა სამუშაო პროცესს.

ამასთან, კვლევა მკაფიოდ ემიჯნება ხელოვნური ინტელექტის, როგორც ავტონომიური დიზაინერული გადაწყვეტილებების წყაროს აღქმას. **Design Thinking**-ის ფარგლებში შემოქმედებითი კონტროლი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება რჩებოდა სტუდენტებისა და პედაგოგის პასუხისმგებლობად, ხოლო **AI** გამოიყენებოდა როგორც კოგნიტიური პროცესის გამაძლიერებელი საშუალება. აღნიშნული გამოიყენა პრინციპულად მნიშვნელოვანია დიზაინის განათლებაში, სადაც ადამიანური გამოცდილება, ინტუიცია და კონტექსტუალური აზროვნება წარმოადგენს შემოქმედებითი პროცესის საფუძველს.

ამრიგად, **Design Thinking** და **AI** კვლევაში წარმოდგენილია როგორც ურთიერთშემავსებელი ჩარჩოები: პირველი განსაზღვრავს შემოქმედებით-პედაგოგიურ ლოგიკას, ხოლო მეორე - ამ ლოგიკის ტექნოლოგიურ მხარდაჭერას.

კვლევის შედეგები: კვლევამ აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში ამსუბუქებს პედაგოგის შრომას, დროს ათავისუფლებს მნიშვნელოვანი, კრიტიკული ამოცანებისთვის, რუტინული სამუშაოების ავტომატიზაციისთვის. სტუდენტებმა მაღალი შეფასება მისცეს **AI**-ის შესაძლებლობებს და გამოხატეს დაინტერესება ნეირონულ ქსელებთან მუშაობით როგორც სასწავლო, ისე შემოქმედებითი ამოცანებში; ასევე, მათი სამომავლო პროფესიულ საქმიანობაში გამოყენების მიმართულებით.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: გაფართოვდა ცოდნა ნეირონული ქსელების გამოყენების შესახებ მოდის დიზაინის განათლებაში და იდენტიფიცირდა ეფექტურობაზე მოქმედი ფაქტორები.

კვლევის სიახლე: კვლევა წარმოაჩენს საკითხის შესწავლას საქართველოს ციფრულ განათლებაში ინოვაციური პირობების მიმართ, განხილულია **AI** ელემენტების ინტეგრაციის შესაძლებლობა დიზაინის განათლების სისტემაში, განსაკუთრებით კონკრეტული სასწავლო ამოცანების ფარგლებში.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა: პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა შეისწავლეს და გამოიყენეს ხელმისაწვდომი პროგრამები, რომლებიც ღრმა ტექნიკური ცოდნის გარეშე აუმჯობესებს რუტინულ პროცესებს. მათ შორის **Resleeve**, **Getimg**, **ChatGPT**, **Adobe Photoshop** და სხვა. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაციისთვის და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სტრატეგიების შემუშავებისთვის დიზაინის საგანმანათლებლო სისტემაში.

3. ხელოვნური ინტელექტი (AI) თსს აკადემიის მოდის დიზაინის სასწავლო პროცესში

დიზაინის დისციპლინების სხვა საგნებთან ინტეგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გზას, რომლითაც მსოფლიო დონის უნივერსიტეტები ავითარებენ და წაახალისებენ დიზაინერულ ინოვაციებს. ამან წარმოშვა ახალი გამოწვევები თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების მიმართ, რომლებიც უნდა ადაპტირდნენ მკაცრ და მაღალი მოთხოვნებით დატვირთულ საგანმანათლებლო

გარემოსთან. ამ კონტექსტში, დიზაინის თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკა გარდაიქმნება ტრადიციული დისციპლინარული სწავლებიდან პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებად.

საერთაშორისო გამოცდილების სისტემატიზაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი განათლების თანამედროვე პრაქტიკა ეფუძნება სამ ძირითად ტენდენციას, რომლებიც ურთიერთდამხმარე და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან და განსაზღვრავენ სფეროს განვითარების პერსპექტივას. პირველი ტენდენცია მოიცავს აქტიური სწავლების მეთოდების ფართო დანერგვას, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში. მეორე ტენდენცია გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რაც ქმნის სწავლის მსვლელობისას არანრფივი სცენარით პროგრესირების შესაძლებლობას (ინდივიდუალური და, გარკვეული თვალსაზრისით, უნიკალური ტრაექტორია). მესამე ტენდენცია გულისხმობს განათლების ციფრულ ტრანსფორმაციას – კომპიუტერული ტექნოლოგიების და სხვა ტექნიკური საშუალებების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. დღეს განათლების ციფრულ ევოლუციაში ინტენსიურად იმატებს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვა.

მაღალი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე, ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს აღნიშნულ ტენდენციებს მოდის დიზაინის მიმართულების სასწავლო პროცესში და ხელს ვუწყობთ მათ დანერგვას, რაც განსაკუთრებით მაღალი შეფასებით სარგებლობს სტუდენტებში.

ჩვენი გამოცდილებით, ინოვაციური ციფრული ხელოვნების მეთოდების გამოყენება, დისციპლინებს შორის ინტეგრაცია და თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდების შეუქცევადი ურთიერთობა ხელს უწყობს სტუდენტთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას. მიუხედავად პრაქტიკული პრობლემებისა კომპლექსური საგანმანათლებლო მოდელების დანერგვისას, დღემდე უკვე ნათლად იკვეთება ახალი სასწავლო მიდგომების ეფექტურობა, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში თანამედროვე დიზაინერული აზროვნების (Design thinking) (Simon 1996) და მაღალი კონკურენტუნარიანობის პროფესიული უნარების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული როლი ასეთ პროცესში ენიჭება ტექნოლოგიებს, მაგალითად, ChatGPT-ს, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს ხელოვნური ინტელექტის პრინციპების უკეთ შესწავლასა და გააზრებაში.

3.1. ნეირონული ქსელის ტექნოლოგიების, ინსტრუმენტებისა და პროგრამების გამოყენება

3.1.1. AI პლატფორმების გამოყენება სასწავლო პროცესში

პროექტის ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ წვდომა პლატფორმებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად ამარტივებდნენ დიზაინის პროცესს. მათ შორის იყო Resleeve, Getimg, ChatGPT და Adobe Photoshop-ის რასტრული გრაფიკის რედაქტორი. Resleeve და Getimg პლატფორმები ახდენდნენ დიდი მოცულობის დიზაინის მონაცემთა ანალიზს და რთული ალგორითმების მეშვეობით გამოავლენდნენ პატერნებს, ტენდენციებს და უნიკალურ კომბინაციებს, რაც საფუძვლად ედებოდა ახალი, ინოვაციური მოდელების შექმნას.

აღნიშნული პროგრამები ხელს უწყობდნენ ვიზუალური კონტენტის სწრაფ და ეფექტურ შექმნასა და გაუმჯობესებას. სხვადასხვა სამოსის ელემენტები კომბინირდებოდა, იქმნებოდა მრავალფეროვანი სტილის, სილუეტების, ქსოვილების, ფერების და ტექსტურების ახალ ნაზავებში. AI-ის დახმარებით გენერირდებოდა კონსტრუქციები, კონტურები, ფორმები, დეტალები და ფერთა პალიტრა.

3.1.2. ChatGPT-ის როლი და ნეირონული ქსელების მხარდაჭერა

ChatGPT წარმოადგენს ნეირონული ქსელების გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ხელოვნური ინტელექტის სფეროში. იგი ეფექტურად ეხმარებოდა სტუდენტებს ტექნოლოგიასთან შეუსწავლევლობის პირობებშიც კი და მისი პრომპტი ნეიროქსელისათვის ზედაპირული იყო. ChatGPT-ს განლაგების მონაცემთა ბაზა შესაძლებლობას აძლევდა ეფექტურად შეესრულებ

ბინა კომპლექსური დავალებები: იდეების შეთავაზება, კომპეტენციების განვითარებაში დახმარება, მრავალწაროვანი ინფორმაციის შეგროვება და მნიშვნელოვანი მონაცემების გამოყოფა (გლოსარიუმის შექმნა, ინდივიდუალური კონსულტაციები, შეკითხვებზე პასუხები, რთული მასალების მარტივად ახსნა და სხვა).

3.1.3. Photoshop-ის როლი დიზაინში

Photoshop-ი ძირითადად ქმნის რასტრულ გამოსახულებებს – გამოსახულებების ელემენტების (პიქსელების) მართკუთხა ბადეს, თითოეულ პიქსელს შეესაბამება კონკრეტული ადგილმდებარეობა. პიქსელებზე დაფუძნებული გამოსახულებები ქმნის ფერთა ნიუანსებსა და ტონალურ განწყობას. რასტრულ გამოსახულებებთან მუშაობისას რედაქტირდება პიქსელები (ელემენტები) და არა ობიექტები ან ფორმები. ეს არის ყველაზე გავრცელებული მეთოდი ისეთი არატონალური გამოსახულებების გადმოსაცემად, როგორებიცაა ფოტოები ან ციფრული ნახატები, რადგან ყველაზე ეფექტურად გადმოსცემს ფერების და ტონის დახვეწილ გრადაციებს. გარდა ამისა,

პროგრამას აქვს შესაძლებლობა ვექტორული გრაფიკის შექმნისა და რასტრული გამოსახულების ვექტორულად გადაქცევისა (ზოგჯერ უწოდებენ ვექტორულ ფიგურებს ან ვექტორულ ობიექტებს). ეს გამოსახულებები შედგება გეომეტრიული (წერტილები, ხაზები ან მრუდები) ფორმებისგან, ბუნებრივი ან თვითნებური ფორმებისგან. პროგრამა საჭიროა ტექნიკური და მხატვრული ილუსტრაციების დროს, როდესაც გამოსახულების ზომის ცვლილებისას მნიშვნელოვანია ხარისხის შენარჩუნება.

3.1.4. ვექტორული და რასტრული კომპოზიციები პროექტის ფარგლებში

პროექტირებისას დაფიქსირდა, რომ ვექტორული და რასტრული ფორმატების გამოყენება განსხვავებულ შედეგებს იძლევა (სიზუსტითა და მხატვრულობით). გამოყენებულ იქნა სინთეზური მიდგომა – ფოტოკოლაჟები დამუშავდა რასტრული ტექნიკით, ხოლო ესკიზები ვექტორულად შემუშავდა ზუსტი მასშტაბირებისთვის. საბოლოო დიზაინის გენერაცია ხორციელდებოდა Photoshop-ის brush და blend image from photo ინსტრუმენტების გამოყენებით.

ესკიზების შექმნისას გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდი – პირდაპირი გენერირება პლატფორმებზე, ვექტორული ესკიზის შექმნა და შემდეგ მისი ატვირთვა პლატფორმაზე, ხოლო შემდეგ blend ინსტრუმენტით ფინალური კომპოზიციის შექმნა. დამატებითი კომპოზიციების გენერირება პლატფორმებზე ვერ მოხერხდა უფასო ლიმიტის ამოწურვის გამო.

3.2. პროექტის სამუშაო პროცესი და მეთოდოლოგია

როგორც ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიის დანერგვისას, ფრთხილი იყო დამოკიდებულება AI-ის გამოყენებასთან. მენტორები ყურადღებით აკვირდებოდნენ პროცესს. კონტროლირდებოდა: არასწორი კონტენტი, პლაგიატი, კიბერუსაფრთხოება და სხვა.

პროექტი ძირითადად პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა და პროცესის ხელმძღვანელობას პედაგოგ-მენტორები ახორციელებდნენ.

დიზაინის შემუშავება რამდენიმე ეტაპს გადიოდა:

- **პროექტის შესავალი:** ამ ეტაპზე განხორციელდა მენტორობის პრაქტიკისა და ადაპტური სისტემის გამოყენება. სტუდენტები გაეცნენ საჭირო ინფორმაციას AI-სა და ChatGPT-ზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს, გენერატიული AI-ის პრინციპებს და “პრომპტინგის” (prompting – ხელოვნური ინტელექტისთვის სწორი და ზუსტი ბრძანებების მიცემა) მეთოდებს. მიიღეს ინფორმაცია ტექნიკის დადებით და უარყოფით მხარეებზე, ეთიკისა და აკადემიური მთლიანობის საკითხებზე. ChatGPT-ს 24-საათიანი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იყო. სტუდენტებს მიეწოდათ: ხელოვნურ ინტელექტსა და ChatGPT-ზე დაფუძნებული დეტალური სარეკომენდაციო სისტემები – განმარტებები, თუ რა არის გენერატიული ხელოვნური ინტელექტი, როგორ მუშაობს იგი; რეკომენდაციები გენერატიული AI-ის ეფექტური გამოყ-

ენებზე და “პრომპტინგის” მეთოდზე, დეტალური ინსტრუქციები ეფექტური “პრომპტების” (ბრძანება ან მითითება, რომელსაც ვაძლევთ ხელოვნურ ინტელექტს) ფორმულირებაზე, ასევე რჩევები ნეიროქსელების გამოყენების შესახებ შემოქმედებით ამოცანებში ახალი იდეების მოძიებისა და უკუკავშირის მიღებისათვის; როგორ გადააქციოს დიზაინერმა ნეირონულ ქსელებთან მუშაობის უნარი კონკურენტულ უპირატესობად; ინფორმაცია მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, გამოყენების პროცესში ეთიკისა და აკადემიური მთლიანობის პრინციპების არ დაარღვევის შესახებ და ა.შ.

- **პირველი ეტაპი:** წინასაპროექტო კვლევა და თემის შერჩევა. ანალიზი და სიტუაციის შესწავლა, საბოლოო პროექტის თემის განხილვა და კორექტირება. გადანყვეტილებების მიღება, ახალი იდეების წამოყენება.
- **მეორე ეტაპი:** საწყისი პირობითი კონცეფციის განსაზღვრების მიზნით შექმნა. მუდბორდების/ასოციაციური რუქების (ესკიზები, ფოტოები, მასალებისა და ფურნიტურის ფრაგმენტები), რომლებიც განასახიერებდნენ ამ კოლექციის მიმართულებებს.
- **მესამე ეტაპი:** გადანყვეტილებების განხორციელება. პროექტის ტექნიკური დავალების შექმნა და ესკიზების შემუშავება – მომავალი მოდელების ესკიზების შექმნა ტენდენციების, განსაზღვრული ფერადი პალიტრისა და მასალების გათვალისწინებით; წამყვანი სილუეტისა და კონცეფციების არჩევა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ დიზაინის დეტალური შემუშავების შემდგომ, სტუდენტები იღებდნენ ტექნიკურ დავალებას, რომელიც მოიცავდა კოლექციის ყველა პოზიციას.
- **მეოთხე ეტაპი:** ესკიზების გენერაცია. AI-ის გამოყენებით პრომპტების მეშვეობით ესკიზების გენერაცია – “პრომპტის” შეყვანა, რომელიც აღწერდა სასურველ ესკიზს; გამოსახულებების გენერირების შედეგების კონტროლს დამატებითი მონაცემთა მითითებით; ხელოვნური ინტელექტის სხვა შესაძლებლობების გამოყენებას.

ობიექტის შესაქმნელად სტუდენტები მიმართავდნენ ნეირონულ ქსელს, რათა ვიზუალურად განესახიერებინათ მათი იდეები, ესკიზების სასურველი დეტალები, ფორმატი, აღწერა, ფერები, სტილი, ქსოვილების დამატებითი პარამეტრები, ფერთა პალიტრები, ორნამენტები და ა.შ. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის (“ბოტი”) ბაზაზე მომუშავე სისტემა კი, ავტომატურად ქმნიდა დიზაინის მრავალ ვარიანტს. შედეგად სტუდენტები ოპერირებდნენ დიდი რაოდენობის სხვადასხვა სტილისა და გამოსახულების გამოყენებით, შემდეგ კი, ამ შედეგების საფუძველზე, თითოეულ მოდელს საკუთარი განსაკუთრებული შტრიხით უნიკალური ხასიათი შესძინეს.

სამუშაო პროცესში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგიურ ჩარჩო, რომლის ძირითად ღერძს წარმოადგენს სამოქმედო კვლევა (action research), ხოლო დამხმარე მეთოდებად გამოიყენება ექსპერიმენტული სწავლება, აქტიური სწავლების პრინციპები და AI-ზე დაფუძნებული კომპიუტერული სწავლების ელემენტები. აღნიშნული მიდგომების შერჩევა განპირობებულია კვლევის მიზნით – ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის პროცესის დაკვირვება, ტესტირება და შეფასება რეალურ საგანმანათლებლო პრაქტიკაში.

3.2.1. პროგრამის პრაქტიკული შედეგები

ხელოვნურ ინტელექტთან თანამშრომლობისას არაპროგნოზირებად სირთულეებსაც შევეჯახეთ. მაგალითად, თავდაპირველად სტუდენტებმა არასწორი პროპორციები, ასიმეტრიული თვალები, არასწორად კომბინირებული ელემენტები, დამატებითი სხეულის ნაწილები ან არაბუნებრივი პერსპექტივები მიიღეს. ასევე, ზოგჯერ გამოსახულებები ზედმეტად დეტალიზებული და რეალისტური გამოდიოდა, რაც მონაწილეებს დისკომფორტს უქმნიდა. მნიშვნელოვანი იყო მოთხოვნების მაქსიმალურად ზუსტი ფორმულირება. ზედმეტი სიტყვები და ბუნდოვანი აღწერა ნეიროქსელს აბნევდა. მენტორის დახმარებით სტუდენტები სწავლობდნენ სწორი “პრომპტების” ჩამოყალიბებას, იძლეოდნენ კონკრეტულ, ნათელ და მარტივ მოთხოვნებს – სპეციფიკური ტერმინებისა და რთული სიტყვების

ბის გარეშე და დასამუშავებელი მოდელის კონკრეტული სტილის მითითებით. ამით მნიშვნელოვნად იზრდებოდა AI-ის შედეგების შესაბამისობა დიზაინერის მოთხოვნებთან.

ამგვარად, თუ AI-ის მიერ გენერირებული გამოსახულებები სრულად არ შეესაბამებოდა სამოსის ტექნიკურ მოთხოვნებს, ერთვებოდა სტუდენტი, რომელიც საბოლოოდ ამუშავებდა და ადაპტირებდა დიზაინს. ზოგიერთ ნიმუშზე მონაწილეებს ათობით განსხვავებული მოთხოვნის ფორმულირება უწევდათ, სანამ სასურველ შედეგს მიაღწევდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, სამუშაო პროცესმა სტუდენტებს შესაძლებლობა მისცა საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ: თუ ყველა ეტაპი ტექნიკურად სწორად იყო გავლილი, ხოლო გამოსახულების გენერირების ბრძანებები ზუსტად და სწორად იყო შეყვანილი, მაშინ ობიექტის შექმნის პროცესი მნიშვნელოვნად ჩქარდებოდა და ხელოვნური ინტელექტი მაღალი ხარისხის და საკმაოდ ორიგინალურ შედეგს იძლეოდა – შესაძლებელი ხდებოდა თანამედროვე მოდის ყველა ტენდენციის, ელეგანტური ჭრისა და პრაქტიკულობის გაერთიანება თითოეულ ნამუშევარში.

სტუდენტებს ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტი გამოეყენებინათ უკვე არსებულ ესკიზზე ვარიაციებისათვის. ისინი უბრალოდ ირჩევდნენ ან ტვირთავდნენ გამოსახულებას, შემდეგ ხელოვნური ინტელექტის მენიუდან ირჩევდნენ ოფციას “ვარიაცია”. შედეგად იქმნებოდა სტუდენტთა ფანტაზიაზე აგებული ახალი სახეები.

გამოსახულებების გენერირებისთვის დახარჯული დრო დამოკიდებული იყო დასახულ ამოცანებზე – 15 წუთიდან რამდენიმე საათამდე. ჩვენი პროექტის უმეტეს ნაწილში ობიექტების შესაქმნელად მხოლოდ ერთი დღე გახდა საჭირო.

პროექტის დასრულებისას სტუდენტებმა შეისწავლეს:

- ნეირონული ქსელების საშუალებით გამოსახულებების გენერირება ტექსტური აღწერილობების გამოყენებით
- AI-ის ინტეგრაცია Adobe პროგრამულ პაკეტებში
- ნეირონული ქსელების აპლიკაციებისა და ინსტრუმენტების გამოყენება
- კომპლექსური “პრომპტების” შექმნა
- ვიდეოკონტენტის გენერირება საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის
- მუსიკის და ხმოვანი ეფექტების შექმნა ვიდეოებისთვის
- ფოტოების დამუშავება (ფერთან მუშაობა, რეტუში, ტრანსფორმაცია)
- გენერატიული რეალობის გამოყენება

სტუდენტებმა შეძლეს საკუთარი ფანტაზიით შექმნილი ესკიზის ტექნიკურად გამართულ დოკუმენტად გადაქცევა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით; შეიქმნა მოდის დიზაინერის პორტფოლიო, ტანსაცმლის და აქსესუარების ესკიზები, მარტივი ვიდეოკონტენტი და ციფრული გამოსახულებები. მათ მიიღეს ის ძირითადი ცოდნა და უნარები, რაც მოდის დიზაინში ხელოვნური ინტელექტთან დამოუკიდებელი მუშაობისთვის დასჭირდებათ.

ემპირიული მონაცემები შეგროვდა ხარისხობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით და მოიცავდა:

- სასწავლო პროცესზე პედაგოგიურ დაკვირვებას
- სტუდენტთა დიზაინერული ნამუშევრების ანალიზს
- შემოქმედებითი პროცესის ეტაპობრივ დოკუმენტაციას

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა შედარებითი და ინტერპრეტაციული მიდგომით, რომლის მიზანი იყო AI ტექნოლოგიების გავლენის შეფასება სწავლების შინაარსზე, სტუდენტთა შემოქმედებით აქტივობაზე და პროფესიული უნარების განვითარებაზე. კვლევა არ ისახავდა მიზნად შედეგების სტატისტიკურ განზოგადებას, არამედ კონცენტრირებული იყო კონკრეტული საგანმანათლებლო კონტენტის სიღრმისეულ ანალიზზე.

ავტორები აცნობიერებენ კვლევის შეზღუდვებს, რომლებიც უკავშირდება მონაწილეთა რაოდენობასა და ხარისხობრივ მონაცემებზე ორიენტაციას. შესაბამისად, წარმოდგენილი დასკვნები განიხილება როგორც კონტექსტუალური და ემპირიულად დასაბუთებული მიგნებები, რომლებიც შეიძლება გახდეს საფუძველი შემდგომი, უფრო ფართომასშტაბიანი კვლევებისთვის.

3.2.2. კვლევის დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი პროექტირების პროცესში ანალიზებდა დიდ მონაცემთა ბაზებს და სთავაზობდა ალტერნატივებს, რაც სტუდენტებს არჩევანის თავისუფლებას აძლევდა. ნეირონულ ქსელებს შეეძლოთ უნიკალური პატერნებისა და ციფრული პროტოტიპების შექმნა, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებდა დიზაინის შექმნის პროცესს პირველი ესკიზიდან საბოლოო მოდელამდე. AI უზრუნველყოფდა თანამედროვე ტენდენციებთან შესაბამისობას და საშუალებას აძლევდა სტუდენტებს მიემართათ ყურადღება გლობალურ კონტექსტზე, რითაც დაზოგა მათი დრო და გაამარტივა რუტინული დავალებები.

სტუდენტები თავისუფლები იყვნენ შემოქმედებით ექსპერიმენტებში, ხოლო AI-ს საშუალებით ლოგიკურად, სწრაფად და მაღალხარისხიანად ხდებოდა მოდელის დეტალების, ფერთა პალიტრისა და ტექნოლოგიური ელემენტების ვიზუალიზაცია.

პროექტირებისას გათვალისწინებული იყო როგორც ტუტორებთან ჯგუფური მუშაობა, ასევე დამოუკიდებელი მუშაობა, უშუალო საშინაო დავალებები არ არსებობდა. ჯგუფში გაერთიანებული იყო 12 სტუდენტი. სტუდენტები გამოირჩეოდნენ მაღალი მოტივაციით, აქტიურობით და უნიკალური, ინოვაციური იდეებით, რაც AI-ის მიერ შექმნილ პროდუქტის პროფესიულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებდა.

4. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობები და რისკები სასწავლო პროცესში

4.1. შესაძლებლობები

უახლოეს მომავალში ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის მკვეთრი გაუმჯობესება იქნება. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფა სწავლის პროცესის გაუმჯობესებას უკვე მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში შეძლებს - პერსონალური კომპიუტერის (PC) ფართოდ გავრცელებაზე მეტადაც კი (Gates 2023). უდავოა, რომ ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პლატფორმები მოქმედებენ ვრცელი, მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც იკრიბება სხვადასხვა წყაროდან და იგზავნება ნეირონული ქსელების მეშვეობით გაანალიზებისთვის. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ მაღალტექნოლოგიურ, ადაპტირებულ საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც იძლევა შესაძლებლობას გაეცნონ იდეის განხორციელების სავარაუდო ნიმუშებს (European Commission 2024).

ჩვენი პროექტის ფარგლებში დადასტურდა, რომ მიუხედავად საზოგადოებაში არსებული შიშებისა და მოლოდინებისა, ხელოვნური ინტელექტი ამ ეტაპზე ვერ ჩაანაცვლებს სრულად არც სტუდენტსა და არც პედაგოგს. ადამიანის, როგორც პედაგოგის, როლი სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში კვლავ უმნიშვნელოვანესია და AI-ს შესაძლებლობები ამ პროცესში ჯერჯერობით მხოლოდ დამხმარე ფუნქციებს ასრულებს.

სასწავლო მასალების შერჩევა და შექმნა შეიძლება ნაწილობრივ ავტომატიზებული გახდეს, თუმცა ნეირონული ქსელები ჯერ ვერ უზრუნველყოფენ სრულყოფილ შედეგს საგნობრივ და მეთოდოლოგიურ დონეზე. ამიტომ აუცილებელია ექსპერტული ზედამხედველობა. პედაგოგის როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ მასალის მომზადებით – იგი ასევე ხელს უწყობს კრეატიულ კონცეფციასთან ფორმირებას, რაც დიზაინის პროცესის არსებით ასპექტს წარმოადგენს.

ჩვენი გამოცდილებით, AI-ის ეფექტური ინტეგრაცია სასწავლო პროცესში მოითხოვს დეტალურ

დაგეგმვას და არსებული სასწავლო მეთოდების სინთეზს. მაგალითად, ჩვენი პროექტის წარმატების ერთ-ერთი პირობა იყო სტუდენტების მხრიდან უკვე არსებული ფუნდამენტური ცოდნის გამოყენება: ნახატი, კომპოზიცია, მაკეტირება, ფერის თეორია და საბაზისო უნარები ისეთ გრაფიკულ პროგრამებთან მუშაობაში, როგორიცაა Adobe Photoshop, CorelDRAW და Adobe Illustrator. ეს ყველაფერი აუცილებელი იყო, რათა სტუდენტებს შეძლებოდათ AI-ის ინსტრუმენტების ეფექტური ინტეგრაცია შემოქმედებით პროცესში.

მიუხედავად AI-ის მნიშვნელობისა, იგი დარჩა დამხმარე საშუალებად და ვერ ჩაანაცვლა დიზაინრის შექმნის მთელი შემოქმედებითი პროცესი ადამიანური გამოცდილებით და ინტელექტით. AI ეხმარებოდა საინტერესო იდეების გენერირებაში, მაგრამ დიზაინერის იდეის განხორციელება მაინც საწყის კონცეფციაზე იყო დამოკიდებული. პროექტის ტექნიკური დახვეწა, დეტალების შექმნა და მასალების შერჩევა კვლავ სტუდენტებისა და ტუტორის ერთობლივი ძალისხმევით მუშავდებოდა. პედაგოგი-ტუტორი ყურადღებით აკვირდებოდა თითოეული სტუდენტის მთელ სამუშაო პროცესს. ნეიროქსელი მოქმედებდა მონაწილეთა მიერ წინასწარ განერილი ალგორითმის მიხედვით.

4.2. რისკები

ექვგვარეშეა, ხელოვნური ინტელექტი ხსნის ახალ ჰორიზონტსა და შესაძლებლობებს, თუმცა, მეცნიერები ხშირად საუბრობენ მანქანური ინტელექტის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვის რისკებზე. მნიშვნელოვანი პრობლემებია: ეგზისტენციალური, ეთიკური და ინტელექტუალური შედეგები, მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების საკითხები და მათი გავლენა ადამიანურ შემოქმედებით პოტენციალზე. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის (AI) მიმართ შიში 1960-იან წლებში პირველად ბრიტანელმა მათემატიკოსმა და კრიპტოგრაფმა ირვინ ჯონ ჰუდმა (Irving John Good) გაახმოვანა. მეცნიერმა ჩამოაყალიბა იდეა ისეთი სუპერინტელექტუალური აპარატის შესახებ, რომელიც თავისნაირი მანქანების შექმნას დაიწყებს და გადააჭარბებს ადამიანის ინტელექტს. გუდის იდეის თანახმად, მოხდება „ინტელექტუალური აფეთქება“, რომელიც იქნება უკანასკნელი გამოგონება (Toon 2025). ბრიტანელი ფიზიკოსი სტივენ ჰოკინგი (Stephen Hawking) გვაფრთხილებს, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი საფრთხის არასაკმარისად შეფასება შესაძლოა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი შეცდომა იყოს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კაცობრიობის არსებობას (Hawking et al. 2014).

ტექნოლოგიური ინდუსტრიის ლიდერები მოუწოდებენ ძლიერი სისტემების შემუშავებისა და სწავლების შეჩერებისკენ და სვამენ კითხვებს – დაეხმარება თუ არა ხელოვნური ინტელექტი ცხოვრებას ისე, როგორც არასოდეს, თუ მოგვანიჭებს იმაზე მეტ ძალას, რომელიც ჩვენსას აღემატება? (Tegmark 2017). ათასობით სხვა მკვლევარმა და ტექნოლოგიურმა ექსპერტმა Beneficial AI 2017-ის კონფერენციაზე კალიფორნიაში (Newsweek 2017) ხელი მოაწერეს 23 ძირითად, ყველაზე გავლენიან პრინციპს (Future of Life Institute 2017), რომლებიც უნდა დაიცვან მეცნიერებმა ხელოვნური ინტელექტის შემუშავებისას, რათა უზრუნველყონ მისი უსაფრთხო, პროდუქტიული და ეთიკური მიმართულებით მოძრაობა. ავტორები სტიუარტ რასელი და პიტერ ნორვიგი მოუწოდებენ, რომ ხელოვნური ინტელექტის ყველა მკვლევარს უნდა ახსოვდეს თავიანთი მუშაობის ეთიკური შედეგები (Russell and Norvig 2021); SpaceX-ისა და Tesla-ს დამფუძნებელ ილონ მასკის (Elon Musk) განცხადებით, ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა „ცივილიზაციის განადგურება“ გამოიწვიოს. (Duffy and Maruf 2023).

ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოების შესახებ 2023 წლის ნოემბრის გლობალურ სამიტზე (დიდი ბრიტანეთი) 28 ქვეყანა შეთანხმდა ერთობლივ ქმედებებზე, რათა თავიდან აიცილონ ამ სფეროში სწრაფი პროგრესის კატასტროფული შედეგები (UK Government 2023) და ა.შ. ასევე, აქტუალურია მონინააღმდეგეთა შეშფოთება იმის გამო, რომ ხელოვნური ინტელექტის გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა, შესაძლოა, შექმნას არარეალისტური მოლოდინები ხელოვნურ ინტელექტზე, როგორც პანაცეაზე, და არა ხელსაწყოზე, რომელსაც შეუძლია პოზიტიური პროცესების მხარდაჭერა (Berryhill et al. 2019); არსებობს შეშფოთება იმაზეც, რომ ტექნოლოგიებზე გადაჭარბებული დამოკიდებულება შეიძლება შემოქმედებითობის დათრგუნვასა და უნიკალური ხედვის გაქრობას

შეუწყოს ხელი (Bello 2023). მეცნიერებს აღელვებთ ის ფაქტიც, რომ ფართო შესაძლებლობებთან ერთად ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მეტად ახდენს გავლენას განათლებაზეც; მაშინ, როდესაც მისი განათლებაში გამოყენების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები ნათლად ჩანს (Holmes et al. 2021) და ა.შ.

ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა, მაგალითად, კვლევის ანგარიში პლაგიატის პრობლემასა და მის აღქმაზე საქართველოში (Bakradze et al. 2016); თამარ ჩოკორაიას კვლევა, რომელიც ქართული პერსპექტივიდან განიხილავს პლაგიატის ცნებას, შეფასების პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასა და იმას, თუ როგორ შეუძლია მის გამოყენებას პლაგიატის იდენტიფიცირება და ამ ცოდნის გამოყენება საგანმანათლებლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად (Chokoraia 2023); კავკასიის უნივერსიტეტის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კავკასიის უნივერსიტეტში ხელოვნური ინტელექტის გენერაციული ხელსაწყოების გამოყენების ეთიკურ ნორმებს (Caucasus University 2024).

საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებელია, თუმცა, განსხვავებული სამართლებრივი სისტემების გამო, რთულია ერთიანი და მკაცრი რეგულაციების დადგენა. აუცილებელია არსებული ხარვეზების გათვალისწინება და მათი გადაჭრა, ასევე, ხელოვნური ინტელექტის პოზიტიური მხარეების გამოყენება. თუმცა ეს არის შრომატევადი პროცესი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცალსახაა სამომავლოდ საგანმანათლებლო სისტემაში ადამიანის და მანქანის თანამშრომლობის საჭიროება, რადგან ეს საუკეთესო გზაა ტექნოლოგიებთან ეფექტიანი ურთიერთქმედებისთვის (Gates 2023).

5. AI-ის ინტეგრაცია თსს აკადემიის მოდის დიზაინის სასწავლო პროცესში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ხელოვნური ინტელექტის ასპექტები ჯერ არ არის ინტეგრირებული განათლების სტანდარტებში, განსაკუთრებით მოდის დიზაინის დარგში. AI უფრო ხშირად გამოიყენება სწავლების მხარდაჭერისთვის, ვიდრე როგორც დამოუკიდებელი საგანი. მიმდინარე ვითარება კი აჩვენებს, რომ AI-ის პრინციპების გაგება და მასთან ეფექტური ურთიერთობა სასწავლო პროცესში დღეს გადამწყვეტი ფაქტორებია. იგი ძალიან ფართო დისციპლინაა, ინფორმაციის სფეროა, რომლის კომპიუტერულ სისტემებსა და პროგრამებს შეუძლიათ ადამიანის ინტელექტუალური აქტივობის რეპროდუცირება და ადამიანების აზროვნების, სწავლებისა და აღქმის მოდელირება. ეს ყოველივე მოითხოვს განათლების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სტანდარტების შექმნასა და რეგულირებას, რათა სწავლის პროცესში ახალი ატმოსფერო შეიქმნას. მისი ფუნქციონირების პრინციპების გაგება და მასთან ეფექტური ურთიერთობა სასწავლო პროცესში დღეს გადამწყვეტი ფაქტორებია. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, რა მონაცემები იკრიბება, როგორ გამოიყენება და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას. სწავლება მიმართული უნდა იყოს აქტიური მონაწილეების ჩამოყალიბებაზე, რომლებსაც შეუძლიათ კრიტიკული ანალიზი და ტექნოლოგიების გაცნობიერებული გამოყენება.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მოდის დიზაინის სასწავლო პროცესში არა მხოლოდ თანამედროვე ტენდენცია, არამედ გარდაუვალი აუცილებლობაა ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული შიშისა და შეშფოთების დაძლევა შესაძლებელია სპეციალისტების მიერ თანამედროვე, მაღალი ხარისხის სწავლების მეთოდების გამოყენების საშუალებით. როგორც საკუთარი გამოცდილებიდან ვნახეთ, დიზაინის სწავლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ პროფესიის უკეთესად დაუფლებას. დღეს ის თანამედროვე დიზაინერების პროფესიული უნარების განუყოფელი ნაწილი ხდება. ეჭვგარეშეა, რომ რაც უფრო მეტ სტუდენტს და პედაგოგს შეეძლება ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, მით უფრო მეტ ეფექტურ სწავლა-სწავლების გზებს აღმოაჩენენ, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლის შედეგებს.

ჩვენი მოსაზრებით, AI-ის ელემენტები სასურველია ისწავლებოდეს არჩევით საგნად ინტერდისციპლინარული კურსის ფარგლებში. ერთ-ერთი სფერო, სადაც ხელოვნური ინტელექტის შეუძლია

მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს, არის დიზაინის პროექტირება, რომელიც მოითხოვს სტუდენტებისგან ფართო სპექტრის უნარების განვითარებას, მათ შორის შემოქმედებითი აზროვნების, კონცეფციების ვიზუალიზაციის, ფორმებისა და მასალების ექსპერიმენტების ჩატარებას და რთული პრობლემების გადაჭრის უნარს.

უნდა ითქვას, რომ თსს აკადემიის მოდის მიმართულებაზე უკვე ისწავლება ახალი ინტერდისციპლინური საგანი დიზაინის პროექტირებაში – „ქართული ტრადიციული თარგი და AI-ის ტექნოლოგიები დიზაინში“, რომელიც მოიცავს AI-ის გამოყენების საფუძვლებს დიზაინის პროცესში (**prompt design**, ვიზუალური გენერაცია, ნეირონული ქსელების მოდელები); ექსპერიმენტულ მუშაობას ტრადიციულ თარგებთან ციფრული და AI ინსტრუმენტების გამოყენებით; გრაფიკული რედაქტორების (**Adobe Photoshop, Illustrator**) და 3D დიზაინის პროგრამების (**CLO3D**) გამოყენებას.

ამ ეტაპზე ჩვენ ვგეგმავთ სპეციალურ კურსს ნეირონული ქსელების შესახებ, რომელიც დაეთმობა AI-ის შესაძლებლობებსა და გამოწვევებს და უზრუნველყოფს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას მოდის დიზაინის ტექნოლოგიებში.

სტატიაში წარმოდგენილია ჩვენი მცდელობა ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიებისა და პრაქტიკული მეთოდების შემუშავებისა, რომლებიც ეფუძნება AI ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროგრამის ამოცანაა:

- სტუდენტებისთვის საბაზისო წარმოდგენების შეთავაზება AI-ის მეთოდების შესახებ
- შესაბამისი ტერმინოლოგიის გაცნობა
- AI-ის გამოყენების პრაქტიკული უნარების განვითარება მარტივი ამოცანების გადასაჭრელად და სამუშაო პროცესებში ინტეგრირებისთვის
- ციფრული ნიგნიერების და ეთიკური პრაქტიკის განმტკიცება
- დამოუკიდებლად მარტივი მოდელების შექმნის სწავლება

დისციპლინის შესწავლის შედეგად სტუდენტები შეძლებენ:

- გენერაციული ნეირონული ქსელების ძირითადი პრინციპების ათვისებას;
- ობიექტზე ორიენტირებული პროექტირების საფუძვლების შესწავლას;
- “პრომპტის” ფორმულირებას და ინფორმაციული მოდელების შექმნას ხელოვნური ინტელექტის დახმარებით;
- ნეირონული ქსელების გამოყენებას პროფესიული ამოცანების გადასაჭრელად და სამუშაო პროცესებში ინტეგრირებისთვის;
- სამოსის მოდელირებისას გრაფიკული გამოსახულებების შექმნის ტექნიკის ათვისებას;
- სხვადასხვა გრაფიკულ რედაქტორთან მუშაობას.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების აკრძალვებისა და შეზღუდვების ნაცვლად, ჩვენ ვეცდებით შევიმუშაოთ ეთიკური და საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როდის და რა დოზით უნდა იქნას გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი დამოუკიდებელ სამუშაოებში, ასევე რა შემთხვევებში უნდა იყვნენ ინფორმირებული მენტორები AI სისტემების მიერ გენერირებულ შედეგებზე. ამასთან, ჩვენ დავეყრდნობით, ჩვენი აზრით, აუცილებელ პრინციპს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების წარმატებული დანერგვა დიზაინის განათლებაში დამოკიდებულია სტუდენტების მიერ გარკვეული ცოდნისა და უნარების ფლობაზე. ამიტომ, ვგეგმავთ ხელოვნური ინტელექტის საფუძვლების შესწავლის დაწყებას მეექვსე სემესტრის ბოლოს. სპეცკურსის ჩასატარებლად ვაპირებთ ნეირონულ ქსელებში მომუშავე ექსპერტების მოწვევას, რომლებიც, შესაძლოა არ იყვნენ პროფესიონალი პედაგოგები, თუმცა აქვთ AI-თან მუშაობის გამოცდილება. ისინი შეასრულებენ კურატორების როლს და თითოეული მათგანი სწავლების სხვადასხვა ასპექტზე იქნება ფოკუსირებული.

6. დასკვნა

წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, რომ საპილოტე საგანმანათლებლო პროექტმა წარმოაჩინა გარკვეული საგანმანათლებლო შესაძლებლობები თანამედროვე ცივილიზაციური გამოწვევების კონტექსტში, კერძოდ, მოდის დიზაინის სწავლების პროცესში. ამ ეტაპზე, AI-ის მხოლოდ რამდენიმე ელემენტი გამოვიყენეთ სწავლებაში. თუმცა პროექტის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ AI ტექნოლოგიებს შეუძლიათ შეცვალონ სწავლების მეთოდები და გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია მოდის დიზაინის განათლებაში შეიძლება იყოს ეფექტური მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული პედაგოგიური და თეორიული ჩარჩოს ფარგლებში.

კვლევა დაეფუძნა Design Thinking-ის კონცეფციას, როგორც შემოქმედებითი და პრობლემაზე ორიენტირებული აზროვნების ჩარჩოს, ხოლო AI ტექნოლოგიები გამოყენებული იყო ამ პროცესის მხარდამჭერ ინსტრუმენტებად.

ემპირიულმა დაკვირვებამ და სტუდენტთა ნამუშევრების ანალიზმა ცხადყო, რომ AI ხელს უწყობს იდეების გენერირების პროცესის დაჩქარებას, ალტერნატიული კონცეფციების მრავალფეროვნებას და სასწავლო პროცესის დინამიზაციას. ამასთან, კვლევამ დაადასტურა, რომ ხელოვნური ინტელექტი ვერ ცვლის დიზაინერული აზროვნების ფუნდამენტურ კომპონენტებს — ადამიანურ გამოცდილებას, ინტუიციას და კონტექსტუალურ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, Design Thinking-ის პროცესში შემოქმედებითი კონტროლი და პასუხისმგებლობა კვლავ რჩება სტუდენტებისა და პედაგოგის მხარეს.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული სამოქმედო კვლევის მეთოდოლოგია საშუალებას იძლეოდა AI-ის ინტეგრაციის პროცესის დაკვირვება მომხდარიყო რეალურ საგანმანათლებლო პრაქტიკაში, რაც უზრუნველყოფდა მიღებული მიგნებების ემპირიულ დასაბუთებას. ხარისხობრივ მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზი არ ისახავდა მიზნად შედეგების სტატისტიკურ განზოგადებას, თუმცა წარმოაჩინა კონტექსტუალური კანონზომიერებები, რომლებიც რელევანტურია დიზაინის განათლებისთვის საქართველოს კონტექსტში.

ვფიქრობთ, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია უმაღლეს განათლებაში მრავალი შესაძლებლობით გამოირჩევა, როგორც სასწავლო გარემოს მოდელირება, ინტელექტუალური სასწავლო სისტემები, ინტელექტუალური კონტენტის დაგროვება, ძირითადი ამოცანების ავტომატიზაცია და სხვა. ამის წყალობით შესაძლებელია განათლების ამოცანების გადაწყვეტა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და უნარების განვითარებას, სწავლების პერსონალიზაციასა და უკუკავშირის ინდივიდუალიზაციას.

კვლევა ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დიზაინის საგანმანათლებლო პრაქტიკაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც საფრთხე ან პედაგოგისა და სტუდენტის სრულფასოვანი ჩანაცვლება, არამედ როგორც შემოქმედებითი და შემეცნებითი პროცესის გამაძლიერებელი რესურსი. მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საფუძველი შემდგომი, უფრო ფართომასშტაბიანი კვლევებისთვის, რომლებიც მიზნად დაისახავს AI ტექნოლოგიების გავლენის სიღრმისეულ შესწავლას დიზაინის განათლების სხვადასხვა კონტექსტში.

აქვე გამოვყოფთ ჩვენთვის მთავარ გამოწვევებსაც:

- სასწავლო რესურსების შეზღუდულ ხელმისაწვდომობას
- მაღალ დანახარჯებს ტექნოლოგიების დანერგვაზე
- AI-ის გამოყენების ცოდნის დეფიციტს
- ალგორითმების ტექნიკურ შეზღუდვებს და დაკვირვებებზე დაფუძნებულ შედეგებს
- კვალიფიციური პერსონალის დეფიციტს

AI-ის ჩართულობა სწავლებაში მოითხოვს შემდგომ დისკუსიებს, კვლევას, გამოცდილების დაგროვებას და ეტაპობრივ გაუმჯობესებას. ასევე, მიგვაჩნია, რომ დღეისათვის არსებული მდგომარეობა

მარეობით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ქართულ განათლებაში მიზანშეწონილია იმ პირობით, თუ მისი ტექნოლოგიები მხოლოდ ინსტრუმენტულ როლს შეასრულებენ.

ვიმედოვნებთ, რომ სტატია საინტერესო იქნება პედაგოგებისთვის, მკვლევართათვის და პრაქტიკოს დიზაინერებისთვის და დაეხმარება პედაგოგებს, მკვლევრებსა და პრაქტიკოს დიზაინერებს უკეთ გაიგონ AI-ის როლი და გამოყენების გზები საგანმანათლებლო პრაქტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Bakradze, L., et al. 2016. The Problem of Plagiarism and Its Perceptions in Georgia. Accessed October 7, 2025. https://www.researchgate.net/publication/358069844_The_Problem_of_Plagiarism_and_Its_Perceptions_in_Georgia.
- Bello, B. 2023. "Introducing ChatGPT: A Threat to Human Creativity and Innovation?" Medium, May 29, 2023. Accessed October 8, 2025. <https://medium.com/@jonbello/introducing-chatgpt-a-threat-to-human-creativity-and-innovation-42903307065f>.
- Berryhill, Jamie, Heang Kévin Kok, Rob Clogher, and Keegan McBride. 2019. Hello, World: Artificial Intelligence and Its Use in the Public Sector. OECD Working Papers on Public Governance, no. 36. Paris: OECD Publishing. Accessed October 8, 2025. https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2019/11/hello-world_7734f030/726fd39d-en.pdf.
- Caucasus University. 2024. Ethical Norms for the Use of Generative Artificial Intelligence Tools. Tbilisi: Caucasus University. Accessed October 8, 2025. <https://cu.edu.ge/files/Docs/2024/%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/new/%28ENG%29%20AI%20Ethical%20norms.pdf>.
- Chokoraia, Tamar. 2023. "The Problem of Plagiarism in the Process of Establishing Academic Integrity Culture at Georgian Higher Educational Institutions." *Quality in Higher Education* 29 (1): 86-101. Accessed October 7, 2025. <https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100619>.
- Consortium for School Networking (CoSN). 2025. 2025 Driving K-12 Innovation Report: Hurdles, Accelerators, and Tech Enablers. Washington, DC: CoSN. Accessed October 8, 2025. https://www.cosn.org/wp-content/uploads/2025/02/2025_CoSN-Driving-K12-Innovation-Report-V15.pdf.
- Duffy, Clare, and Ramishah Maruf. 2023. "Elon Musk Warns About Artificial Intelligence." CNN, April 17, 2023. Accessed October 8, 2025. <https://edition.cnn.com/2023/04/17/tech/elon-musk-ai-warning-tucker-carlson>.
- Eristavi, D., and G. Davituri. 2021. "Khelovnuri intelektis sistemebis gamoqeneba Sakartveloshi." IDFI. Accessed October 2, 2025. <https://idfi.ge/public/upload/Article/AI%20ENG%20FULL.pdf>.
- European Commission. 2024. "Questions and Answers: What Is Artificial Intelligence?" Brussels, August 1, 2024. Accessed October 8, 2025. https://ec.europa.eu/commission/presscorner/api/files/document/print/en/qanda_21_1683/QANDA_21_1683_EN.pdf.
- Future of Life Institute. 2017. "Asilomar AI Principles." Accessed October 9, 2025. <https://futureoflife.org/open-letter/ai-principles/>.
- Gates, Bill. 2023. "The Age of AI Has Begun: Education." Gates Notes. Accessed October 8, 2025. <https://www.gatesnotes.com/The-Age-of-AI-Has-Begun>.
- Hawking, Stephen, Stuart Russell, Max Tegmark, and Frank Wilczek. 2014. "Transcending Complacency on Superintelligent Machines." *The Independent*, May 1, 2014.
- Holmes, Wayne, Kalina Porayska-Pomsta, Kenneth Holstein, Emma Sutherland, Toby Baker, Simon Bucking-

- ham Shum, Olga C. Santos, et al. 2021. "Ethics of AI in Education: Towards a Community-Wide Framework." *International Journal of Artificial Intelligence in Education* 32 (2): 504-526. Accessed October 2, 2025. <https://doi.org/10.1007/s40593-021-00239-1>.
- Newsweek. 2017. "Elon Musk and Stephen Hawking Warn of Artificial Intelligence Arms Race." Accessed October 8, 2025. <https://www.newsweek.com/ai-asilomar-principles-artificial-intelligence-elon-musk-550525>.
- Russell, Stuart J., and Peter Norvig. 2021. *Artificial Intelligence: A Modern Approach*. 4th ed. London: Pearson Education.
- Simon, Herbert A. 1996. *The Sciences of the Artificial*. 3rd ed. Cambridge, MA: MIT Press. Accessed October 2, 2025. https://monoskop.org/images/9/9c/Simon_Herbert_A_The_Sciences_of_the_Artificial_3rd_ed.pdf.
- Tegmark, Max. 2017. *Life 3.0: Being Human in the Age of Artificial Intelligence*. New York: Knopf Publishing Group.
- Toon, Nick. 2025. *How AI Thinks: How We Built It, How It Can Help Us, and How We Can Control It*. London: Penguin Books. Accessed October 8, 2025. <https://www.graphcore.ai/posts/ultraintelligence>.
- UK Government, Department for Science, Innovation and Technology. 2023. "Introduction to the AI Safety Summit." Accessed October 8, 2025. https://assets.publishing.service.gov.uk/media/65255655244f8e00138e7362/introduction_to_the_ai_safety_summit.pdf.
- Zawacki-Richter, Olaf, Victoria I. Marín, Melissa Bond, and Franziska Gouverneur. 2019. "Systematic Review of Research on Artificial Intelligence Applications in Higher Education: Where Are the Educators?" *International Journal of Educational Technology in Higher Education* 16: Article 39. Accessed October 2, 2025. <https://doi.org/10.1186/s41239-019-0171-0>.

იურიდიული განათლების ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში: პლაგიატის პარადოქსი და ეთიკური მდგრადობა სამართლებრივ პრაქტიკაში

ლევან მოსახლიშვილი
პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი

ანოტაცია

ციფრულმა ეპოქამ ფუნდამენტურად შეცვალა ცოდნის შექმნის, გავრცელებისა და გამოყენების კულტურა. განათლების სფერო, განსაკუთრებით იურიდიული განათლება, აღმოჩნდა იმ ზღვარზე, სადაც აკადემიური ეთიკის ტრადიციული სტანდარტები ეჯახება ახალ რეალობას: ციფრულ პლატფორმებზე დაფუძნებულ ცოდნის გაცვლასა და ხელოვნური ინტელექტის გავლენით ფორმირებულ ტექსტურ პრაქტიკებს. პლაგიატის საკითხი, რომელიც წარსულში მხოლოდ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან იყო დაკავშირებული, დღეს იქცა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად პროფესიული ეთიკის, სამართლებრივი სიზუსტისა და ცოდნის მდგრადობისთვის.

იურიდიული განათლება საუკუნეების განმავლობაში ემყარებოდა ორიგინალურობას, არგუმენტაციის დამოუკიდებლობას და მკაცრ ციტირების წესებს. ამავდროულად, იურიდიული პროფესია იმავე ტექსტურ სტრუქტურებზეა აგებული, რომელთა განმეორება და სტანდარტიზაცია უზრუნველყოფს სამართლებრივი სისტემის სტაბილურობასა და პროგნოზირებადობას. სწორედ აქ ჩნდება პლაგიატის პარადოქსი: ის, რაც აკადემიაში ეთიკურ დარღვევად ითვლება, იურიდიულ პრაქტიკაში ხშირად არის პროფესიული ეფექტიანობის აუცილებელი ელემენტი.

კვლევა მიმართულია ამ წინააღმდეგობის მიზეზებისა და შედეგების გაანალიზებისკენ ციფრული ტრანსფორმაციის ფონზე. ციფრულ სამყაროში იურიდიული ტექსტები, სასამართლო გადაწყვეტილებები და ხელშეკრულებების ნიმუშები ადვილად ხელმისაწვდომია, რაც ამარტივებს სწავლის პროცესს, მაგრამ ამავე დროს ართულებს ორიგინალობის ზღვრის გამოკვეთას. ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტების გამოყენებამ კიდევ უფრო გაამძაფრა კითხვები ავტორობის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის შესახებ. ამ კონტექსტში კვლევის მიზანია იმის გააზრება, თუ როგორ შეიძლება იურიდიულმა განათლებამ შეინარჩუნოს ეთიკური სტანდარტები და ამავდროულად მოერგოს ციფრული რეალობის მოთხოვნებს.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები აჩვენებს, რომ იურიდიული განათლება საჭიროებს ეთიკური სტანდარტების გადახედვას ისე, რომ ისინი ემსახურობდეს არა აკადემიურ ფორმალიზმს, არამედ სამართლებრივი პროფესიის რეალურ გამოწვევებს. საჭიროა ახალი მიდგომა, რომელიც დააბალანსებს ორიგინალობასა და სამართლებრივი ტექსტების ერთიანობას, მკაცრ აკადემიურ მოთხოვნებსა და ციფრული რეალობის მოქნილობას შორის.

პლაგიატის პარადოქსის გააზრება ციფრული ტრანსფორმაციის კონტექსტში წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიურ დისკუსიას, არამედ მდგრადი განვითარების მიზნების - ხარისხიანი განათლებისა (SDG 4) და ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბების (SDG 16) - განუყოფელ ნაწილს. იურიდიული განათლების რეფორმა, რომელიც აღიარებს ციფრულ ეთიკას, ტექსტის გაზიარების კულტურას და ცოდნის პასუხისმგებლიან გამოყენებას, შექმნის საფუძველს იურისტთა პროფესიული კულტურისთვის, რომელიც მოერგება ციფრულ რეალობას და შეინარჩუნებს ეთიკურ მდგრადობას.

საკვანძო სიტყვები: იურიდიული განათლება, პლაგიატი, სამართლებრივი პრაქტიკა, აკადემიური ეთიკა, სამართლებრივი წერა, პროფესიული პასუხისმგებლობა.

THE TRANSFORMATION OF LEGAL EDUCATION IN THE DIGITAL AGE: THE PARADOX OF PLAGIARISM AND ETHICAL SUSTAINABILITY IN LEGAL PRACTICE

Levan Mosakhlishvili

Professor, Caucasus University

Abstract

The digital era has fundamentally changed the culture of creating, disseminating, and using knowledge. The field of education, especially legal education, now stands at a point where traditional standards of academic ethics confront a new reality: the exchange of knowledge through digital platforms and textual practices shaped by artificial intelligence. Plagiarism, which was previously associated mainly with academic integrity, has become one of the major challenges for professional ethics, legal precision, and the sustainability of knowledge.

For centuries, legal education has relied on originality, independent argumentation, and strict citation rules. At the same time, the legal profession is built on the same textual structures whose repetition and standardization ensure the stability and predictability of the legal system. This is where the paradox of plagiarism emerges: what is considered an ethical violation in academia is often a necessary element of professional efficiency in legal practice.

The study aims to analyze the causes and consequences of this contradiction in the context of digital transformation. In the digital environment, legal texts, court decisions, and contract templates are easily accessible, which facilitates learning but also makes it more difficult to define the boundaries of originality. The use of AI-generated texts has further intensified questions of authorship, academic integrity, and professional ethics. In this context, the study seeks to understand how legal education can preserve ethical standards while adapting to the demands of digital reality.

The expected findings indicate that legal education needs to reconsider ethical standards so that they serve not academic formalism but the real challenges of the legal profession. A new approach is needed to balance originality with the consistency of legal texts, and strict academic requirements with the flexibility of digital reality.

Understanding the paradox of plagiarism in the context of digital transformation is not only an academic discussion but also an integral part of the Sustainable Development Goals, particularly quality education (SDG 4) and the development of strong institutions (SDG 16). A reform of legal education that recognizes digital ethics, the culture of text sharing, and the responsible use of knowledge can create a foundation for a professional legal culture that adapts to digital reality while maintaining ethical sustainability.

Keywords: legal education, plagiarism, legal practice, academic ethics, legal writing, professional responsibility.

1. შესავალი

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში იურისტის პროფესია მოითხოვს სამართლებრივი პრობლემების სიღრმისეულ ანალიზს, ნორმატიული რეგულაციების ეფექტურ გამოყენებასა და მაღალი ეთიკური სტანდარტების დაცვას. იურისტები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენს როგორც ცალკეულ პირებზე, ისე მთლიან საზოგადოებაზე, რის გამოც მათი პროფესიული საქმიანობა განსაკუთრებულ ინტელექტუალურ და მორალურ პასუხისმგებლობას ითხოვს. გლობალიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში სამართლებრივი პროცესების მართვა, დავების გადაწყვეტა და საკანონმდებლო ნორმების ინტერპრეტაცია მოითხოვს არა მხოლოდ სამართლებრივი ცოდნის კლასიკურ ფორმებს, არამედ უნარს, სამართლებრივი პრინციპები სწორად იქნეს გამოყენებული ახალ ტექნოლოგიურ და ეთიკურ რეალობაში. იურისტის პროფესიული კომპეტენცია დღეს განისაზღვრება არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმების ცოდნით, არამედ მათი პასუხისმგებლიანად, მოქნილად და სამართლებრივი სისტემის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით გამოყენების უნარით პრაქტიკაში (Twining 1997, 89).

იურიდიული განათლების მიზანია ისეთი პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ სამართლებრივად გამართული გადაწყვეტილებების მიღებას, დამოუკიდებელი არგუმენტაციის ჩამოყალიბებასა და სამართლებრივი პრობლემების პრაქტიკულ გადაჭრას (Vogenauer and Weatherill 2017, 34). თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში იურიდიული განათლების მიზანი ახალ მნიშვნელობას იძენს. დღეს იგი აღარ შემოიფარგლება მხოლოდ დოგმატური ცოდნის გადაცემით; მისი ამოცანაა სტუდენტების მომზადება ისეთი ციფრული, ეთიკური და ინტერდისციპლინარული გამოწვევებისათვის, რომლებიც სამართლის გამოყენების ახალ ფორმებს ქმნიან. თანამედროვე იურისტის პროფესიული მომზადება გულისხმობს არა მხოლოდ ნორმატიული მასალის ცოდნას, არამედ უნარს, სამართლებრივი პრინციპები ინტეგრირებულად გამოიყენოს ტექნოლოგიურ ეკოსისტემაში, სადაც სამართალი ხვდება ხელოვნურ ინტელექტს, მონაცემთა ანალიტიკას და კიბერუსაფრთხოების სტანდარტებს.

საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების თანახმად, იურიდიული განათლება ეფუძნება სამი ურთიერთდამოკიდებული კომპონენტის თანხვედრას: კონცეპტუალურ ცოდნას, პრაქტიკულ კომპეტენციასა და ეთიკურ პასუხისმგებლობას. ციფრული ეპოქის პირობებში ეს საფუძვლები ახალ მნიშვნელობას იძენს, რადგან იურიდიული განათლება აღარ ეფუძნება მხოლოდ დოგმატურ-თეორიულ მიდგომას, არამედ გარდაიქმნება ინტეგრირებულ პროცესად, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ კომპეტენციას, მონაცემთა ანალიზისა და მართვის უნარსა და ციფრული ეთიკის პრინციპებს. ამგვარი მოდელი სამართლის სწავლებას აქცევს დინამიკურ სისტემად, რომელიც მიზნად ისახავს მომავალი იურისტების მომზადებას თანამედროვე პროფესიული გამოწვევებისათვის - ინფორმაციის სიზუსტის დაცვიდან ინტელექტუალური პატიოსნებისა და პროფესიული დამოუკიდებლობის განმტკიცებამდე.

ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) სტანდარტების თანახმად, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ სწავლების ისეთი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც თეორიულ ცოდნას აერთიანებს კვლევით, ციფრულ და პრაქტიკულ კომპეტენციებთან. ამ მიდგომის მიზანია, რომ კურსდამთავრებულებმა შეძლონ სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გაანალიზება თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოში, ფლობდნენ მონაცემებთან მუშაობისა და ციფრული წყაროების ეთიკური გამოყენების უნარს და ამავდროულად იცავდნენ აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპებს. აღნიშნული პრინციპი ხაზს უსვამს სამართლის სწავლების გარდაქმნას ტრადიციული, თეორიაზე ორიენტირებული მოდელიდან ისეთ სისტემად, რომელიც ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლას, კვლევით ჩართულობას და ცოდნის პასუხისმგებლიან გამოყენებაზე დამყარებულ განათლებას (EHEA 2015, 57).

თანამედროვე იურიდიული განათლება მოითხოვს, რომ იურისტმა არა მხოლოდ იცოდეს სამართლებრივი ნორმების შინაარსი, არამედ შეძლოს მათი ეფექტური გამოყენება ახალ სოციალურ და ტექნოლოგიურ რეალობაში. სამართლებრივი სისტემების გლობალიზაციამ და ციფრულმა ტრანსფორმაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა პროფესიის სტრუქტურა: იურისტის საქმიანობა დღეს

მოიცავს საკონსულტაციო, საკანონმდებლო, მედიაციურ და პოლიტიკის შემუშავების პროცესებს, სადაც ცოდნის ინტეგრირება ტექნოლოგიურ გარემოსთან გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

ტექნოლოგიების ჩართულობამ იურიდიული განათლების მიზნებს ახალი განზომილება შესძინა: სტუდენტს დღეს უნდა შეეძლოს სამართლებრივი ინფორმაციის კრიტიკული შეფასება, ციფრულ წყაროებთან ზუსტი მუშაობა და ტექსტური მონაცემების ეთიკურად გამოყენება. ამდენად, სამართლის სწავლება გარდაიქმნება არა მხოლოდ პროფესიული უნარების განვითარებად, არამედ ინტელექტუალურ და ეთიკურ დისციპლინად, სადაც ცოდნის შექმნა, გადამუშავება და გაზიარება დაკავშირებულია ციფრული პასუხისმგებლობის კულტურასთან.

სამართლის დარგობრივი მახასიათებელი (n.d., პარ. 3.1.2) განაპირობებს, რომ იურიდიული განათლების თითოეული საფეხური უნდა იყოს მორგებული შესაბამის კვალიფიკაციას და მიზნად ისახავდეს სტუდენტის მომზადებას იმ რეალობისთვის, სადაც სამართლებრივი პრაქტიკა სულ უფრო მეტად ეფუძნება ციფრულ ინსტრუმენტებსა და ღია მონაცემთა ბაზებს. საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტმა უნდა შეიძინოს უნარები სამართლებრივი ინფორმაციის მოძიებისა და გამოყენების კუთხით, მათ შორის ციფრული პლატფორმებისა და მონაცემთა ბაზების მეშვეობით. მას უნდა შეეძლოს იურიდიული დოკუმენტების შედგენა, ხელშეკრულებებისა და ადმინისტრაციული აქტების მომზადება ისე, რომ დაცული იყოს როგორც სამართლებრივი სიზუსტე, ისე აკადემიური პატიოსნება.

სამაგისტრო საფეხურზე სწავლება მოითხოვს უფრო მაღალი დონის ინტელექტუალურ და ეთიკურ უნარებს. ეს მოიცავს არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმების ანალიზსა და გამოყენებას, არამედ დამოუკიდებელი კვლევის წარმართვას, არგუმენტაციის განვითარებასა და კომპლექსური სამართლებრივი საკითხების გადაჭრას ციფრულ გარემოში. მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე იურისტი უნდა ფლობდეს სამართლებრივი სტრატეგიების დამოუკიდებლად შემუშავების უნარს, შეძლოს სამართლებრივი პროცესების მართვა და გადამწყვეტილებების მიღება აკადემიური, ეთიკური და ციფრული პასუხისმგებლობის სტანდარტების დაცვით (სამართლის დარგობრივი მახასიათებელი n.d., პარ. 3.2.2).

2. პლაგიატის პარადოქსი იურიდიულ განათლებაში

სამართლის სწავლება თანამედროვე ციფრულ რეალობაში გარდაიქმნა ცოდნისა და ეთიკის ინტეგრირებულ პროცესად, სადაც პროფესიული კომპეტენცია განისაზღვრება არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმების ცოდნით, არამედ მათი გამოყენების კულტურით. სწორედ ამ გარემოში იჩენს თავს პლაგიატის პარადოქსი: აკადემიური ეთიკის ტრადიციული ნორმებისა და სამართლებრივი პრაქტიკის ტექსტურ რეალობას შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც თანამედროვე იურიდიული განათლების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევად იქცა.

პლაგიატის პარადოქსი იურიდიულ განათლებაში ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მაშინ, როდესაც აკადემიური სტანდარტების მკაცრი მოთხოვნები ეჯახება სამართლებრივი პრაქტიკის ტექსტურ რეალობას. უნივერსიტეტებში პლაგიატი განიხილება როგორც ცოდნის უნებლიე ან შეგნებული მითვისება, რომელიც არღვევს ინტელექტუალურ პატიოსნებას და ზღუდავს დამოუკიდებელ აზროვნებას. სამართლებრივ სფეროში კი ტექსტუალური გამეორება ხშირად წარმოადგენს პროფესიული სიზუსტისა და სამართლებრივი თანმიმდევრულობის შენარჩუნების აუცილებელ მექანიზმს.

იურიდიული აზროვნების ბუნება ემყარება პრეცედენტულობასა და განმეორებადობას; სამართალი ეფუძნება წინა გამოცდილების გადმოღებას, სტრუქტურირებასა და განმტკიცებას. სწორედ ამიტომ, იურიდიული ტექსტების კოპირება, ფორმულირების გამეორება ან ტიპური დოკუმენტების გამოყენება არ განიხილება როგორც პლაგიატი, არამედ როგორც სამართლებრივი სისტემის ერთიანობის გარანტი.

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (მუხლი 5) თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და ისინი პირად ან სხვა პირების ინტერესებზე მაღლა დააყენოს (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია 2006, მუხ. 5). შესაბამისად, სამართლებრივ პრაქტიკაში ტექსტის ორიგინალურობაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი სიზუსტე და

პრაქტიკული გამოყენებადობა. სწორედ ამიტომ, დოკუმენტების კოპირება და ადაპტაცია არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ ხშირად აუცილებელი პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის ინტერესების მაქსიმალურ დაცვას.

ადვოკატები და მოსამართლეები აღიარებენ, რომ არსებული სამართლებრივი დოკუმენტების გამოყენება ეფექტურობას, დროის დაზოგვასა და კლიენტებისთვის ხარჯების შემცირებას ემსახურება. დაბალშემოსავლიანი კლიენტებისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ყოველ დოკუმენტზე ნულიდან მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. სამართლებრივი პროფესია ორიგინალურობაზე მეტად სიზუსტესა და შედეგზეა ორიენტირებული.

3. ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტი

ციფრულმა ტრანსფორმაციამ იურიდიული განათლება აქცია დინამიკურ სისტემად, სადაც სწავლება, კვლევა და პროფესიული ეთიკა გადაკვეთილია ტექნოლოგიურ გარემოსთან. სამართლის სწავლების ტრადიციული ფორმები - ლექცია, სემინარი და ნორმატიული ტექსტის ინტერპრეტაცია - თანდათან იცვლება ჰიბრიდული მოდელით, რომელშიც ცოდნის შექმნა და გაზიარება ხორციელდება ციფრული პლატფორმების, ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა ბაზების მეშვეობით. ამ პროცესმა გააღრმავა ის დისონანსი, რომელიც არსებობს აკადემიურ ეთიკასა და პრაქტიკულ საჭიროებებს შორის: ცოდნის ხელმისაწვდომობამ გაამარტივა სწავლა, მაგრამ გაართულა ინტელექტუალური პასუხისმგებლობის ზღვრის გამოკვეთა.

ხელოვნური ინტელექტის ჩართვამ სამართლის სწავლასა და პრაქტიკაში ფუნდამენტურად შეცვალა ავტორობის ბუნება. თუ წარსულში იურიდიული ტექსტის ავტორად მიიჩნეოდა ადამიანი, რომელიც ასახავდა საკუთარ ინტელექტუალურ პოზიციას და არგუმენტაციას, დღეს ეს საზღვარი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. AI-ის მიერ გენერირებული სამართლებრივი ტექსტები აჩენს ახალ ეთიკურ საკითხს - სად მთავრდება აკადემიური დახმარება და იწყება ცოდნის არაკეთილსინდისიერი გამოყენება. სწორედ ამიტომ, სამართლის სწავლების თანამედროვე მიდგომა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ პლაგიატის პრევენციას, არამედ ციფრული ავტორობის გააზრებას, რაც გულისხმობს ცოდნის შექმნის პროცესის გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობას თითოეული ინტელექტუალური ქმედების მიმართ (Bowie 2017, 146).

ციფრულ ეპოქაში აკადემიური კეთილსინდისიერება ახალ მნიშვნელობას იძენს. იურიდიული ცოდნა ყოველთვის წარმოადგენდა საერთო ინტელექტუალური საქმიანობის შედეგს, თუმცა წარსულში ის ყალიბდებოდა უფრო ტრადიციული ფორმებით - კვლევების, დისკუსიებისა და სამართლებრივი ტექსტების ანალიზის გზით. დღეს კი ცოდნის შექმნის პროცესი ბევრად უფრო ინტეგრირებული გახდა: სამართლებრივი აზრის ფორმირებაში ერთდროულად მონაწილეობენ სტუდენტები, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები და ღია მონაცემთა ბაზები, რაც იურიდიული კვლევის სტრუქტურასა და დინამიკას არსებითად ცვლის. ციფრულ რეალობაში აუცილებელია ისეთი ეთიკური ჩარჩოების ჩამოყალიბება, რომლებიც დაიცავს ადამიანის ინტელექტუალურ წვლილს და უზრუნველყოფს ცოდნის შექმნისა და გამოყენების პროცესის გამჭვირვალობას (UNESCO 2023, 27–29).

4. ეთიკური მდგრადობა და აკადემიური კეთილსინდისიერება

თანამედროვე იურიდიული განათლების მთავარი გამოწვევა მხოლოდ აკადემიური წესების დაცვაში აღარ მდგომარეობს. უფრო მნიშვნელოვანი ხდება ის, თუ როგორ შეინარჩუნებს სწავლება ეთიკურ მდგრადობას გარემოში, სადაც ცოდნის შექმნა სულ უფრო მეტად ეფუძნება ტექნოლოგიურ საშუალებებს. ეთიკური მდგრადობა გულისხმობს არა აკრძალვებზე („არ დააკოპირო“) დაფუძნებულ ზედაპირულ კონტროლს, არამედ პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას. სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაანალიზოს გამოყენებული წყაროები, ჩამოაყალიბოს საკუთარი ინტერპრეტაცია და გააცნობიეროს განსხვავება მიღებულ ინფორმაციასა და მის ინტელექტუალურ წვლილს შორის.

ასეთ პირობებში პროფესიული და აკადემიური კეთილსინდისიერება ვეღარ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ფორმალური სტანდარტებით, რომლებიც განსაზღვრულია უნივერსიტეტებისა და პროფესიული ასოციაციების ეთიკურ კოდექსებში. თანამედროვე გარემო მოითხოვს უფრო სიღრმისეულ მიდგომას, სადაც ეთიკა ეფუძნება არა მხოლოდ წესების შესრულებას, არამედ მათ გააზრებულ გამოყენებას სასწავლო და პროფესიულ პრაქტიკაში. ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები. პირველ რიგში, სასწავლო პროცესში აუცილებელია ციფრული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების ინტეგრირება ისე, რომ სტუდენტებმა შეძლონ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება პასუხისმგებლობითა და გამჭვირვალედ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების ზღვრის შეფასების უნარის განვითარებას, როგორ განასხვავონ დახმარება და მითვისება, და როგორ უზრუნველყონ ტექსტის სიზუსტე და დამოუკიდებლობა. ამასთან, უნივერსიტეტებმა უნდა განსაზღვრონ მკაფიო წესები გენერაციული ტექსტების, მონაცემთა ბაზებისა და ციფრული წყაროების გამოყენების შესახებ, რათა ცოდნის შექმნა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, არამედ ეთიკურ და აკადემიურ სტანდარტებს.

სწორად ამ მიმართულებაზე მიუთითებს ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაციის მიდგომა, რომლის მიხედვით სამართლის სწავლება სულ უფრო მეტად ეფუძნება ტექნოლოგიურ და ეთიკურ კომპეტენციას, რაც აერთიანებს სამართლებრივ სიზუსტეს, ციფრული რესურსების გამოყენების უნარსა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობას (ELFA 2022, 18).

5. დასკვნა

პლაგიატის პარადოქსი ამგვარად გარდაიქმნება იურიდიული განათლების განვითარების კატალიზატორად. ის ცხადყოფს, რომ იურიდიული განათლება უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ აკადემიური წესების დაცვის სისტემად, არამედ როგორც სივრცე, სადაც სწავლება, კვლევა და ეთიკა ერთიანდება კრიტიკული აზროვნების, ინტელექტუალური პატიოსნებისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კულტურად. ამ გზით პლაგიატის საკითხი კარგავს აკადემიური დარღვევის ვიწრო მნიშვნელობას და გარდაიქმნება ინსტრუმენტად, რომელიც განამტკიცებს იურიდიული პროფესიის ეთიკურ საფუძველს ციფრულ ეპოქაში - იქ, სადაც ცოდნა და ტექნოლოგია ერთმანეთს ერწყმის სამართლისადმი ნდობის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Bowie, Norman E. 2017. *Business Ethics: A Kantian Perspective*. Cambridge: Cambridge University Press.
- European Higher Education Area (EHEA). 2015. *Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area*. Brussels: ENQA.
- European Law Faculties Association (ELFA). 2022. *Report on Digitalisation and Legal Education in Europe*. Brussels: ELFA Secretariat. <https://elfa-edu.org/publications>.
- Twining, William. 1997. *Law in Context: Enlarging a Discipline*. Cambridge: Cambridge University Press.
- UNESCO. 2023. *Ethics of Artificial Intelligence in Education: Challenges and Opportunities*. Paris: UNESCO Publishing. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000385055>.
- Vogenauer, Stefan, and Stephen Weatherill, eds. 2017. *General Principles of Law: European and Comparative Perspectives*. Oxford: Oxford University Press.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. 2006. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ, 15 აპრილი, 2006.
- სამართლის დარგობრივი მახასიათებელი. n.d.

კერძო სამართლისა და ტექნოლოგიების კვითა

ნინო ხარიტონაშვილი

სამართლის დოქტორი, ნოტარიუსი,
კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

ანოტაცია

თანამედროვე ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდება „ციფრულ ეპოქაში“. სამყარო იცვლება და ტექნიკური განვითარების მიღწევები იმდენად სწრაფია, რომ სამართლებრივი რეგულაციები მხოლოდ კვალდაკვალ მისდევს მათ. ციფრულმა ტექნოლოგიამ განვითარა ციფრული ეკონომიკა, ელექტრონული ბიზნესი, საქონელი, მომსახურება ხელოვნება და ელექტრონული ფული, რაც აჩენს სამართლის უზენაესობის კოდის უზენაესობით ჩანაცვლების საფრთხეს. კოდის საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ შექმნან წესების საკუთარი სისტემა, რომელიც მოქმედებს არსებული იურისდიქციების მიღმა, რამაც შეიძლება შეარყიოს სახელმწიფოებრიობის კონცეფცია. სამართლის უზენაესობა მართავს მატერიალურ სფეროს, ხოლო კოდის უზენაესობა მოქმედებს ვირტუალურ, არამატერიალურ და უკონტროლო სფეროებში, თუმცა არსებობს მათი კვეთის წერტილი – ვირტუალური გარიგების აღსრულება მატერიალურ სივრცეში ხორციელდება. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც სცადა ამ ორი პრინციპის თანაარსებობა სახელმწიფო მმართველობაში და ბლოკჩეინ ტექნოლოგიის, გონიერი კონტრაქტისა და ხელოვნური ინტელექტის კომბინაცია გამოიყენა უძრავი ქონების რეესტრის წარმოებაში.

ნაშრომში განხილულია ბლოკჩეინ ტექნოლოგიის, ჭკვიანი კონტრაქტების და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესრულების პროცესში წამოჭრილი გამოწვევები, მათი თავსებადობა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან და მოცემულია რეკომენდაციები პრობლემური საკითხების გადაჭრისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინი, ჭკვიანი კონტრაქტი, ხელოვნური ინტელექტი.

THE INTERSECTION OF PRIVATE LAW AND TECHNOLOGY

Nino Kharitonashvili

Doctor of Law, Notary, Professor at Caucasus University

Abstract

The role and significance of modern technologies are increasing in the digital age. The world is changing, and technological achievements are developing so rapidly that legal regulation can only follow them reactively. Digital technology has advanced the digital economy, electronic business, goods, services, art, and electronic money, creating the risk that the rule of law may be replaced by the rule of code. Through code, individuals can create their own systems of rules that operate beyond existing jurisdictions, which may undermine the concept of statehood. While the rule of law governs the material sphere, the rule of code operates in virtual, intangible, and uncontrolled spaces. However, these two principles intersect where virtual transactions must be enforced in the material world. Georgia is one of the first countries in the world to attempt the coexistence of these two principles in public governance and to apply a combination of blockchain technology, smart contracts, and artificial intelligence in the operation of the real estate registry.

This article examines the challenges arising in the execution of real-estate-related transactions through blockchain technology, smart contracts, and artificial intelligence, analyzes their compatibility with the United Nations Sustainable Development Goals, and offers recommendations for addressing the identified issues.

Keywords: blockchain, smart contract, artificial intelligence.

1. შესავალი

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში ინტერნეტმა უკვე გააჩინა დაპირისპირება გეოგრაფიულ საზღვრებზე დაფუძნებულ „კანონის უზენაესობისა“ და ვირტუალურ სამყაროში შექმნილ „კოდის უზენაესობის“ პრინციპებს შორის. თუ სამართლის უზენაესობა მართავს მატერიალურ სფეროს, კოდის საშუალებით შექმნილი წესები მოქმედებს არსებული იურისდიქციების მიღმა ვირტუალურ და უკონტროლო სფეროებში. ეს უფრო და უფრო აქტუალურს ხდის სამართლის სტრუქტურის ცვალებადობის საკითხს. შეცვლის ტექნოლოგიები უძველეს სამართლებრივ კონცეფციებს, რომელიც ჯერ კიდევ ძველი რომიდან იღებს სათავეს, თუ იქნება იგივე მნიშვნელობის, როგორც პაპირუსიდან ქალაქზე გადასვლა (De Filippi and Wright 2018)?

ბოლო საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ნამყვანი სახელმწიფოების ინსტიტუტები აწყობილია ხელისუფლების დანაწილების თეორიით, რომელიც ხანდახან ემსგავსებოდა ფიქციას, სადაც საკანონმდებლო შტო ქმნის საკანონმდებლო ბაზას ორი სხვა ხელისუფლებისათვის და შესაბამისად მათი დამოუკიდებლობის ფარგლები კანონმდებლის შეხედულებითაა განსაზღვრული. თუმცა დღეს სახელმწიფო კონტროლისაგან თავის დასაღწევად ვირტუალურ სამყაროში შექმნილია თავისუფალი სივრცე, სადაც სახელმწიფო ვერ ახორციელებს თავის მნიშვნელოვან ფუნქციას – გადასახადების აკრეფას, ეკონომიკურ კონტროლს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რეალური სახელმწიფო ინსტიტუტების ადგილს იკავებს მეორე ფიქცია ვირტუალური სამყაროს სახით, რომლის კონტროლი სახელმწიფოებს არ ძალუძთ, ვინაიდან კაცობრიობაში მომწიფდა იდეა ახალი ეკონომიკური ფორმაციისთვის.

თუმცა ეს ორი სისტემა ურთიერთქმედებენ იმ ფარგლებში, რამდენადაც ურთიერთდაკავშირებული არიან. ნებისმიერი შეთანხმების საგანი კვლავ მატერიალურია და საჭიროებს აღსრულებას

მატერიალურ სამყაროში. „საზოგადოებრივი ურთიერთობების“ რეგულირება ამ ორ ნორმატიულ სისტემას შორის კვეთაზე გადის. მათ ან კონკურენცია უნდა გაუწიონ ერთმანეთს, ან ითანამშრომლონ და მიაღწიონ ურთიერთთავსებადობას. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი მხოლოდ ერთია: სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ვირტუალურ სამყაროსთან ინტეგრირება, ვინაიდან კონკურენციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის იდეას, არამედ უფრო გლობალურ საკითხებსაც, როგორიცაა, მაგალითად, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები(10, 16) (De Filippi and Wright 2018).

კვლევები აჩვენებს, რომ ტექნოლოგია სულ უფრო მისაღები ხდება საჯარო სექტორისთვის. მაგალითად, ესტონეთში ბლოკჩეინი ელექტრონული ესტონეთის პროგრამის საფუძველია, რომელიც აერთიანებს საჯარო სერვისებს ერთი ციფრული პლატფორმის საშუალებით. საქართველოშიც უკვე დანერგილია ელექტრონული მმართველობა. ყველა ძირითადი რეესტრი, როგორიცაა მოძრავი და უძრავი ქონების, სამენარმეო, სამოქალაქო, სანოტარო და სხვა რეესტრები ელექტრონულია. ყველა მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ელექტრონული სერვისი პორტალზე: www.my.gov.ge (BDO Georgia n.d.; NAPR n.d.).

2. ბლოკჩეინ ტექნოლოგია და ჭკვიანი კონტრაქტები უძრავი ქონების ტრანზაქციებში

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ბლოკჩეინის ტექნოლოგიური მიღწევა უძრავი ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაციისას გამოიყენა. საჯარო რეესტრმა 2016 წლიდან უძრავი ქონების რეგისტრაციის ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სისტემის საცდელი პროექტი შეიმუშავა. დღეისათვის უძრავ ქონებაზე ამონაწერის შესახებ ინფორმაცია ბლოკჩეინ სისტემაში აისახება. ბლოკჩეინის ქსელში უძრავ ქონებაზე ამონაწერის ნამდვილობის გადამოწმება ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია სპეციალურ ვებგვერდებზე: www.blockchain.info, www.blocktrail.com, www.btc.com (NAPR n.d.).

ბლოკჩეინის ბაზაში ინფორმაციის განთავსება ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ჩარევა და სახელმწიფო რეესტრში მონაცემების რაიმე ფორმით შეცვლა გამორიცხულია. ამ თანამშრომლობის არსი მგომარეობს თავად სახელმწიფოს გაკონტროლების მექანიზმის შექმნაში და შესაბამისად, კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების დაცვის გარანტია. ერთხელ განხორციელებული ტრანზაქციის ჩანაწერის შეცვლა შეუძლებელია ყველა მომდევნო ტრანზაქციის ბლოკის შეცვლის გარეშე. ერთ კონკრეტულ მონაცემში უკანონო მანიპულაციის ნებისმიერი მცდელობისას ქსელის ყველა კომპიუტერი საეჭვო მოქმედებას ავტომატურად ბლოკავს (NAPR n.d.).

საქართველოში ბლოკჩეინ ტექნოლოგიის განვითარების მეორე ფაზა ჭკვიანი კონტრაქტების (Smart Contracts / „სმარტ“ კონტრაქტი) დანერგვას გულისხმობდა. გონიერი კონტრაქტების სისტემის საშუალებით ყიდვა-გაყიდვის შეთანხმება მხარეებს ციფრულ ფორმატში უნდა განეხორციელებინათ. ციფრული კონტრაქტების, ელექტრონულად ხელმოწერილი PDF დოკუმენტების (ე.წ. ელექტრონული კონტრაქტების) შემდეგ „სმარტ“ კონტრაქტი კიდევ უფრო წინ გადადგმული ნაბიჯია ტექნოლოგიებისა და სამართლის კვეთაში. ეფექტიანობა და საფასური ცენტრალური ასპექტებია გონიერი კონტრაქტების გამოყენებაზე დისკუსიისას. თუმცა ტერმინი „ჭკვიანი კონტრაქტი“, რომელიც კომპიუტერული მეცნიერისა და კრიპტოგრაფის ნ. საბოს ქმნილებაა 1990-იან წლებში, სულაც არ ნიშნავს ჭკვიანურს, რადგან კონტრაქტს შეიძლება ეწოდოს „ჭკვიანი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტომატიზაცია აგებულია გარკვეულ ხელოვნურ ინტელექტზე („AI“). ჭკვიანი კონტრაქტის გამოყენება დაფუძნებულია რამდენიმე არსებით მახასიათებელზე, როგორიცაა თვალსაჩინოება, შემოწმებადობა, პრივატულობა და აღსრულებადობა, რაც გამომდინარეობს ბლოკჩეინის ტექნიკური პარამეტრებიდან. ამ სისტემების დიზაინის მიზნები და პრინციპები გამომდინარეობს სამართლებრივი პრინციპებიდან და ეკონომიკური და უსაფრთხო პროტოკოლების თეორიებიდან. ჭკვიანი კონტრაქტები განსაკუთრებით ინოვაციური გახდა, მას შემდეგ, რაც გამოიყენება ბლოკჩეინ ტექნოლოგიასთან ერთად. ციფრული ვაჭრობის პალატამ ბიზნესის წარმართვის გზების გასაუმჯობესე-

ბლად მოახდინა ქვეყანი კონტრაქტების აღიარების ინიცირება, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანა კონტრაქტების გაგებას, განვითარებას და მიღებას (NAPR n.d.; Woebeking 2019; Clifford Chance 2018; Ene 2020; Szabo 1996; Szabo 1997; Chamber of Digital Commerce n.d.).

ამგვარი კონტრაქტების უპირატესობად მიჩნეულია ორ მხარეს შორის გარიგების დადების საშუალება მესამე მხარის დადასტურების გარეშე. კლასიკური გაგებით ხელშეკრულება, როგორც ორ პირს შორის გარიგება, არ წარმოადგენს ავტონომიურ მოვლენას. მის შესრულებაში, უმრავლეს შემთხვევებში, ერევა მესამე პირი, რომელიც ახდენს გარიგების პირობათა ფორმირებას (ადვოკატი), ადასტურებს ხელშეკრულების პირობებს (ნოტარიუსი), ან/ და ახორციელებს საშუაშალო ფუნქციებს (კომერციული ბანკი, სახელმწიფო დაწესებულება ან სხვა სახის შუამავალი). თავდაპირველად, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების მიერ ერთგვარ საფრთხედ შეიძლება აღქმულიყო ქვეყანი კონტრაქტები, თუმცა სახელმწიფო სერვისებში მათი დანერგვა იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იურიდიული პროფესიებში შესაძლებელია აღნიშნული ტექნოლოგიის ინტეგრირება. თანამედროვე ეტაპზე ყველაზე გავრცელებულია კონტრაქტების შერეული მოდელი, როდესაც ხელშეკრულების ნაწილი შედგენილია ბუნებრივ ენაზე, ხოლო ნაწილი მოცემულია “სმარტ” კონტრაქტის სახით. შესაბამისად, თუ სამომავლოდ დაინერგება უძრავი ქონების განკარგვასთან მიმართებაში “სმარტ” კონტრაქტების გამოყენება, მოსახლეობის ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მიზანშეწონილი იქნება მათი დანერგვა მოხდეს განსაკუთრებით ფრთხილად და ინფორმირებულად. ამ ეტაპზე უნდა აღინიშნოს რომ კლასიკური სახით “სმარტ” კონტრაქტების დანერგვა არ განხორციელებულა, მიუხედავად მათი დანერგვის დაანონსებისა. საპირწონედ შეიქმნა ე.წ. ქართული პროდუქტი – გონიერი კონტრაქტი, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი (Khikhadze n.d.; UINL 2016).

3. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დანერგა ინოვაციური სერვისი – გონიერი კონტრაქტი. სააგენტოს ვებგვერდზე გაცხადებულია, რომ გონიერი კონტრაქტის საშუალებით მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ელექტრონულად არის შესაძლებელი უძრავი ქონების შეძენა/გასხვისება. ხოლო გონიერი კონტრაქტი არის სანდო, უსაფრთხო და სწრაფი მომსახურება, რომელიც ავტომატიზაციის ხარჯზე ზოგავს როგორც მომხმარებლის, ისე სერვისის მიმწოდებლის დროით და ფინანსურ რესურსს. აღნიშნული ტრანზაქცია რეგულირებულია კანონქვემდებარე აქტით – საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციით, რომლის მე-13 მუხლს დაემატა მე-10 და 11-ე პუნქტები, რომელთაც აქვს ერთგვარად საპილოტე ხასიათი აქვთ და რომელთა შესაბამისად: (NAPR n.d.)

სააგენტო უფლებამოსილია დაინტერესებული პირისა და ადმინისტრაციულ წარმომადგენელში მონაწილე სხვა პირის (მოწმე, ექსპერტი და სხვ.) ვინაობა დაადგინოს დისტანციური იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ალგორითმით ვერიფიკაციის გზით ფიზიკური პირის სახისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემთა ბაზასთან შედარებას. თუ დაინტერესებული პირის ვინაობა დისტანციური იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ვერ დადგინდა, სააგენტო განცხადებას არ დაარეგისტრირებს (Ministry of Justice of Georgia 2019).

აპლიკაციის ანოტაციის მიხედვით აღნიშნული პროგრამა მოიცავს სამ საფეხურს: პირველი ნაბიჯია გონიერი კონტრაქტის აპლიკაციის მეშვეობით ელექტრონული ხელშეკრულების შექმნა; მეორე ქმედებაა მოქალაქის დისტანციური იდენტიფიკაცია და მის მიერ ხელშეკრულების ელექტრონული ხელმოწერით და სწორედ ამ პროცესში გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი; 3. რეგისტრაციის იღებს რეგისტრაციის შესახებ გადამწმენილებას და თანხა ავტომატურად ირიცხება გამყიდველის ანგარიშზე (NAPR n.d.).

პირველ რიგში სამსჯელოა რამდენად შეესაბამება ამგვარი ტრანზაქცია საჯარო რეესტრის ფუნქციას – სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლი ადგენს საჯარო რეესტრის დანიშნულებას, რომლის თანახმად საჯარო რეესტრის ძირითადი ფუნქცია არის მონაცემთა აღრიცხვა, ამ შემთხვევაში

კი საჯარო რეესტრი ხელშეკრულების დამმონებლის ფუნქციას ითავსებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ აპლიკაციაში ჩაშენებულია ხელოვნური ინტელექტი ამონებს იდენტიფიკაციას: ახდენს პიროვნების ფოტოსა და დოკუმენტზე არსებული ფოტოს დადარებას ერთმანეთთან და განსაზღვრავს, რამდენად ერთი და იგივე ადამიანია; ასევე ამონებს სიცოცხლიანობას, კერძოდ პიროვნების ავთენტურობას და დინამიური სელფის მეშვეობით ადასტურებს, რომ კამერის მეორე მხარეს ნამდვილად ცოცხალი ადამიანია; იდენტიფიკაციის პროცესი გულისხმობს დადგინდეს, რომ მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არსებობს, ის ვალიდურია და მომხმარებელი ფიზიკური პირი შეესაბამება დოკუმენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს. ამ მიზნით, გამოიყენება ინტეგრირებული პროცესი, რაც გულისხმობს იდენტიფიკაციას და მომხმარებლის შემდგომ ვერიფიკაციას სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზებში (Dörfler 2022; NAPR n.d.).

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 13 მარტს ევროპარლამენტის მიერ დამტკიცებული ხელოვნური ინტელექტის აქტის შესაბამისად, რომელიც ახდენს ხელოვნური ინტელექტების კატეგორიზაციას, დაუშვებელი რისკის ხელოვნურ ინტელექტს განეკუთვნება სისტემები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ ადამიანების ბიომეტრიული იდენტიფიკაცია და კატეგორიზაცია; ადამიანების დისტანციური, რეალურ დროში ბიომეტრიული იდენტიფიკაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ დაუშვებელი რისკის ხელოვნური ინტელექტის აკრძალვა არ არის აბსოლუტური და მისაღებია რიგ გამონაკლის შემთხვევებში მაგალითად, ოპერატიული სამძებრო სამუშაოებში. თუმცა რამდენად წარმოადგენს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქცია გამონაკლისის საფუძველს, ასევე სამსჯელო საკითხია (European Union 2024).

ზემოაღნიშნული ბრძანების დატალური ანალიზით იკვეთება შემდეგი გამოწვევები:

- კანონმდებლობაში ჯერ არ განხორციელებულა სახის ამომცნობი ალგორითმის ლეგიტიმაცია, მიუხედავად ამისა, ის უკვე გამოიყენება საჯარო სერვისებში. მართალია სახის ამომცნობი სისტემა საკმარისად ამცირებს არასწორი იდენტიფიკაციების რისკს, მაგრამ აუცილებელია არსებობდეს სამართლებრივი ნორმები, რომელიც განსაზღვრავს მის ჩარჩო პრინციპებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო აქტით მისი რეგულირება.

- მნიშვნელოვანია ასევე პასუხისმგებლობის საკითხი – რამდენად იღებს სახელმწიფო თავის თავზე პასუხისმგებლობას, თუ ალგორითმი გამოვა მწყობრიდან და გამოიწვევს ზიანს. ამ შემთხვევაში სამომავლოდ შესაძლოა მნიშვნელობა მიენიჭოს ხელოვნური ინტელექტის სამართალსუბიექტურობის საკითხს, როგორც ევროპარლამენტის მიერ რობოტიკის შესახებ სახელმძღვანელო რეზოლუციით დაინიჭირდა, კერძოდ შეექმნათ ელექტრონული პიროვნება „ინტელექტუალური“ რობოტული არტეფაქტებისთვის. თუმცა ვინაიდან ადამიანის უფლებაუნარიანობა თანდაყოლილი თვისებაა ღირსების მსგავსად, ხელოვნური ინტელექტის იურიდიული უფლებაუნარიანობა ვერ იქნება ბუნებრივი და შეიძლება იყოს მხოლოდ ნორმატიული, იურიდიული პირის მსგავსად. ევროპარლამენტის მიერ შეკვეთილ კვლევასაც, რომელშიც ჩამოყალიბდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს კიდევ ერთი, ახალი იურიდიული პირი – ელექტრონული პირი, რომელიც შეძლებს უფლებაუნარიანობის შეძენას შესაბამის რეესტრში რეგისტრაციით, და მის მიერ თვითგანვითარების მიღწევის შემთხვევაში დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხიც. ჯერჯერობით, საწყის ეტაპზე, სახელმწიფო სერვისების განვითარების მიზნის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებელ პირად უნდა განისაზღვროს სახელმწიფო, მაგრამ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს მისი შემქმნელი. ეს მიდგომა შეესაბამება ევროკავშირის ფორუმზე წამოჭრილ მოსაზრებას, რომლის თანახმად ამ ეტაპზე ხელოვნური ინტელექტის იურიდიული პიროვნების მინიჭება საჭირო არაა, რადგან მის ქმედებებზე პასუხისმგებლობა უკვე არსებულმა პირებმა უნდა აიღოს (Negri 2021; Ziemianin 2021; European Commission 2019).

- აღსანიშნავია, რომ გონიერ კონტრაქტს არ ახასიათებს “სმარტ” კონტრაქტის მთავარი მახასიათებელი – მესამე მხარის ჩაურევლობა, რაც მას ფაქტობრივად უტოლებს ელექტრონულ სანოტარო მოქმედებას, იმ განსხვავებით, რომ ნოტარიუსი ონლაინ სანოტარო მოქმედების შესრულებისას ამონებს პირის ნებასაც, ხოლო საჯარო რეესტრის თანამშრომელი ისმენს მხარეთა მიერ გაცხა-

დებულ ნებას, მისი შემონახვისა და ნამდვილობის დადგენის გარეშე. ცვლილების თანახმადაც, გარიგების შინაარსის გაცნობის შემდეგ მხარეებმა მკაფიოდ უნდა განაცხადონ, რომ გარიგება შეესაბამება მათ ნებას და ხელს აწერენ მას ელექტრონულად. სააგენტოს უფლებამოსილი პირი გარიგების მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობას ამოწმებს დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შტამის დასმით. დათქმა საინტერესოა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შემდგომში, ინსტრუქციის თანახმად, სააგენტოს თანამშრომელი მხოლოდ ხელმოწერას დაამოწმებს და კანონით მას ნების გამოვლენის შემონახვის უფლება არ აქვს, ხოლო ნების გამოვლენის შემონახვა პირდაპირ უკავშირდება სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის რეალიზაციას და წარმოადგენს კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების მთავარ ბირთვს. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა არ შეესაბამება “სმარტ” კონტრაქტის კონცეფციას და უბრალოდ ახდენს “სმარტ” კონტრაქტის მთავარი მახასიათებლის – პრივატულობის უზღუდვებელყოფით ინტერნეტის მეშვეობით კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების დამოწმებას ნების ნამდვილობის შემონახვის გარეშე. ეს ადასტურებს იმას, რომ ჯერჯერობით ინტერნეტი ახალი მოედანია ძველი თამაშებისთვის და ვერ ცვლის სამართლის სტრუქტურას.

- ასევე საინტერესოა ხელოვნურ ინტელექტთან უკვე პრობლემატურად დასახელებული მიკერძოების საკითხი და მისი მიმართება სხვადასხვა მოწყვლად ფენასთან. ევროპარლამენტის რეგულაციამ ხაზი გაუსვა ხელოვნური ინტელექტის მიერ საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციას. ჩნდება კითხვა – შეძლებს თუ არა უფლებამოსილი პირი თავისი უფლების განხორციელებას თუ სახის ამომცნობა სისტემა მის დისკრიმინაციას მოახდენს? ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ უფრო და უფრო ვითარდება სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია, რომლის მთავარი ლაიტმოტივი სოციალური ყველა წევრის, მათ შორის მოწყვლადი პირების უფლებების თანაბრად დაცვაა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ყველა წევრის გათვალისწინების და ჩართულობის ტენდენცია შეიმჩნევა არა მხოლოდ სამართლის, არამედ ეკონომიკურ მეცნიერებაშიც, სადაც აღარაა პოპულარული “laissez-faire” დოქტრინა, რომელიც გულისხმობს ინდივიდებისა და საზოგადოების ეკონომიკურ საქმეებში მინიმალური სამთავრობო ჩარევის პოლიტიკას. დღეისათვის ეკონომიკაში ნელ-ნელა ფეხს იკიდებს პლურალიზმის თეორია, რომელიც გულისხმობს მრავალი თვისებისა და მრავალფეროვანი ინტერესების თანაარსებობას. ეკონომისტთა მოსაზრებით, ადამ სმიტის პრინციპი “უხილავი ხელი” წარმატებით შეიძლება შეიცვალოს ნების “წონასწორობის თეორიით”: საზოგადოებისთვის საუკეთესო სტრატეგია არის ის, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის თითოეული წევრი ითვალისწინებს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვათა ინტერესებს.“ რადგან სამართალი და ეკონომიკა ურთიერთგანმაპირობებელი სოციალური მოვლენებია, აღნიშნული ეკონომიკური დოქტრინა თავისთავად მოითხოვს შესაბამის სამართლებრივ მიდგომას; მიდგომას, რომელიც საზოგადოების სხვა წევრების ინტერესებსაც გაითვალისწინებს. შესაბამისად, წმინდა კაპიტალისტურ-მერკანტილური საზოგადოება, რომელიც უპირატესობას ფინანსურად პრივილეგირებულებს ანიჭებს, აღარაა აქტუალური და ამ ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მე-10 მიზანს, უთანასწორობის შემცირებას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ალგორითმის გამჭვირვალობის საკითხი: ამიტომ სახის ამომცნობი ალგორითმის გამჭვირვალობის სტანდარტიც უნდა იყოს მაღალი. სახელმწიფო სერვისების სწორად გამოყენება ასევე პირდაპირ უკავშირდება გაეროს მე-16 მიზანს (მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები); შესაბამისად, აუცილებელია გამჭვირვალე და თანასწორობის უზრუნველყოფი კოდექსის შექმნა და მოსახლეობის ინფორმირება (European Parliament 2021; Encyclopaedia Britannica n.d.; Kharitonashvili 2021; United Nations 2015; CEPEJ 2018).

- განხილვას საჭიროებს ასევე ხელმოწერის საკითხი. ინსტრუქციის 581 მუხლი ითვალისწინებს გარიგების დადების სპეციალურ წესს: ხელმოწერის დამოწმებაზე უფლებამოსილი სააგენტოს თანამშრომლის თანდასწრებით, ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნილ გარიგებაზე მხარის ხელმოწერა შესაძლებელია არ აკმაყოფილებდეს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუ გარიგების დადება ხდება კომუნიკაციის დისტანციური ელექ-

ქტრონული საშუალების გამოყენებით და უზრუნველყოფილია გარიგების მხარეების პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი. საქართველოში, როგორც აღინიშნა გარიგების დამონმების წერილობითი ფორმა მოიაზრებს პირად ხელმოწერას, რომელთანაც გათანაბრებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა კანონის საფუძველზე. ამ შემთხვევაში უძრავი ქონების განკარგვის გარიგებაზე იდება სსგს-ს ბაზაში დაცული პირის ხელმოწერა ავტომატურად. შესაბამისად, სადისკუსიო საკითხია კანონქვემდებარე აქტით გამონაკლისების დადგენა მასზე იერარქიულად მაღლა მდგომ სამართლებრივ აქტში – კანონში; კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში. კვლავ ჩნდება კითხვა: ჩაითვალება თუ არა ეს გარიგება წერილობით დადებულიად და წინააღმდეგობაში ხომ არ მოვა სამოქალაქო კოდექსთან, რომელიც განსაზღვრავს გარიგებაზე ხელმოწერის წესს და ალტერნატივად განიხილავს მხოლოდ კვალიფიციურ ხელმოწერას (Ministry of Justice of Georgia 2019)?

4. დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროგრამა არ შეესაბამება “სმარტ” კონტრაქტის კონცეფციას და უბრალოდ ახდენს ხელშეკრულების მთავარი მახასიათებლის – პრივატულობის უგულვებელყოფით ინტერნეტის მეშვეობით ხელშეკრულების დამონმებას ნების გამოვლენის ნამდვილობის შემონმების გარეშე და ასევე კანონით ხელმოწერისათვის დადგენილი წესის გვერდის ავლით.

ვინაიდან უძრავ ქონებასთან მიმართებაში უკვე გამოიკვეთა სამართლისა და ტექნოლოგიების კვეთა, სამართლებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების დამონმების მიმართ საქართველომ გაიზიაროს ევროპული მიდგომები, სადაც ნაკლები ყურადღება ექცევა სისწრაფეს და უპირატესობა ენიჭება უსაფრთხო სამოქალაქო ბრუნვას. ტექნოლოგიური სიახლეების ისეთ მნიშვნელოვან სფეროში დანერგვისას, როგორიცაა სანივთო სამართალი, უპირველესად უნდა მოხდეს ჯერ ამ ტექნოლოგიების ზოგად სამართლებრივ ჩარჩოში ჩასმა და შემდეგ მათი დანერგვა. შესაბამისად, უძრავ ქონებაზე გარიგებების დამონმებისათვის ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით სახის ამომცნობი სისტემის გამოყენებამდე უნდა განხორციელდეს სახის ამომცნობი სისტემის მარეგულირებელი ნორმების და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ტრანზაქციების განხორციელების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე.

ამ პროცესში საყურადღებოა, რომ ალგორითმი, რომლითაც იმუშავებს სახის ამომცნობი სისტემა, იყოს გამჭვირვალე, რათა გამოირიცხოს სახელმწიფო რეესტრში მანიპულირების ყოველგვარი ეჭვი და რისკი, რათა უზრუნველყოფილი იყოს გაეროს მდგრადი განვითარების მე-10 და მე-16 მიზანი.

ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს პასუხისმგებლობის საკითხი იმ შემთხვევისთვის, თუ სისტემა გამოვა მწყობრიდან, მოხდება პირის ნებაზე მანიპულირება ან კიბერშეტევის შედეგად ქონება განიკარგება არაუფლებამოსილი პირის მიერ. შესაბამისად, საწყის ეტაპზე ხაზი უნდა გაესვას სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების საკითხს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- BDO Georgia. n.d. “Blockchain in the Public Sector.” Accessed November 20, 2021. [https://www.bdo.ge/ka-ge/publikaciebi/mtavari-publikaciebi/blokcheini-saxelmcifo-sectorshi-\(eng\)](https://www.bdo.ge/ka-ge/publikaciebi/mtavari-publikaciebi/blokcheini-saxelmcifo-sectorshi-(eng)).
- Biswal, A. n.d. “Types of Artificial Intelligence.” Simplilearn. <https://www.simplilearn.com/tutorials/artificial-intelligence-tutorial/types-of-artificial-intelligence>.
- CEPEJ (European Commission for the Efficiency of Justice). 2018. European Ethical Charter on the Use of Artificial Intelligence in Judicial Systems and Their Environment. Strasbourg: Council of Europe. <https://rm.coe.int/presentation-note-en-for-publication-4-december-2018/16808f699d>.

- Chamber of Digital Commerce. n.d. "Smart Contracts: Is the Law Ready?" Smart Contracts Alliance. <https://digitalchamber.org/policy-positions/smart-contracts/>.
- Clifford Chance. 2018. Smart Contracts: Legal Framework and Guidelines for Policymakers. Translated with support from GIZ. <http://lawlibrary.info/ge/books/2019GIZ-GE-Smart-Contracts.pdf>.
- Consultative Council of European Judges (CCJE). 2011. Opinion No. 14: Justice and Information Technologies (IT).
- De Filippi, Primavera, and Aaron Wright. 2018. Blockchain and the Law: The Rule of Code. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Dörfler, Viktor. 2022. "Artificial Intelligence." In The SAGE Encyclopedia of Theory in Science, Technology, Engineering, and Mathematics. Thousand Oaks, CA: SAGE. https://www.researchgate.net/publication/352062502_Artificial_Intelligence.
- Encyclopaedia Britannica. n.d. "Laissez-faire." <https://www.britannica.com/topic/laissez-faire>.
- Ene, Charlotte. 2020. "Smart Contracts – The New Form of the Legal Agreements." Proceedings of the 14th International Conference on Business Excellence, 1206-1210. <https://doi.org/10.2478/picbe-2020-0113>.
- European Commission. 2019. Liability for Artificial Intelligence and Other Emerging Digital Technologies. Luxembourg: Publications Office of the European Union. <https://doi.org/10.2838/573689>.
- European Parliament. 2021. "Use of Artificial Intelligence by the Police: MEPs Oppose Mass Surveillance." September 30, 2021. <https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20210930IPR13925/use-of-artificial-intelligence-by-the-police-meps-oppose-mass-surveillance>.
- European Union. 2024. Artificial Intelligence Act. Official Journal of the European Union, July 12, 2024. <https://artificialintelligenceact.eu/>.
- Guarnieri, Carlo, Patrizia Pederzoli, and Cheryl A. Thomas. 2002. The Power of Judges: A Comparative Study of Courts and Democracy. Oxford: Oxford University Press.
- Kamyshanskiy, Vladimir, Dmitry Stepanov, Irina Mukhina, and Dina Kripakova. 2021. "Digital Society, Artificial Intelligence and Modern Civil Law: Challenges and Perspectives." SHS Web of Conferences 109: 01016. <https://doi.org/10.1051/shsconf/202110901016>.
- Kharitonashvili, Jemal. 2021. "Economics through the Prism of Pluralism." Journal Association "SEPIKE" 29: 47.
- Khikhadze, L. n.d. "Future Development of Blockchain Technology and Digital Communications in Modern Global Business." <https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/568/Future%20development%20of%20blockchain%20technology%20and%20digital%20communications%20in%20the%20modern%20global%20business.pdf?sequence=1&isAllowed=y>.
- Kozyrev, A. n.d. Central Economics and Mathematics Institute. <https://www.researchgate.net/publication/337937063>.
- Ministry of Justice of Georgia. 2019. Order No. 487 of December 31, 2019, on the Approval of the Instruction on Public Registry. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4764812?publication=16>.
- NAPR (National Agency of Public Registry of Georgia). n.d. "Blockchain Technology." <https://napr.gov.ge/p/1515>.
- NAPR (National Agency of Public Registry of Georgia). n.d. "Smart Contract." <https://www.napr.gov.ge/ka/smart-contract>.
- NAPR (National Agency of Public Registry of Georgia). n.d. "Smart Contracts." <https://napr.gov.ge/p/1712>.
- Negri, Sergio M. C. Avila. 2021. "Robot as Legal Person: Electronic Personhood in Robotics and Artificial Intelligence." Frontiers in Robotics and AI. <https://doi.org/10.3389/frobt.2021.789327>.
- Reiling, Dory. 2020. "Courts and Artificial Intelligence." International Journal for Court Administration 11 (2): 8. <https://doi.org/10.36745/ijca.343>.

Szabo, Nick. 1996. "Smart Contracts: Building Blocks for Digital Markets."

Szabo, Nick. 1997. "Formalizing and Securing Relationships on Public Networks." *First Monday* 2 (9). <https://doi.org/10.5210/fm.v2i9.548>.

UINL (International Union of Notaries). 2016. Recommendations to Member Notaries' National Chambers and National Councils. 28th International Congress of Notaries, Paris, October 19-22, 2016.

United Nations. 2015. Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development. A/RES/70/1. <https://undocs.org/A/RES/70/1>.

Woebeking, Maren K. 2019. "Smart Contracts – The New Form of the Legal Agreements." https://www.researchgate.net/publication/343701390_Smart_contracts_-_the_new_form_of_the_legal_agreements.

Ziemianin, Karolina. 2021. "Civil Legal Personality of Artificial Intelligence: Future or Utopia?" *Internet Policy Review* 10 (2).